ალია

70 თეთრი

N32/3348/ 25-29 მარტი 2016 წ

ფასი 70 თეთრი

ორშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## პროკურატურამ პრემიერის გაფრთხილება „დაიკიდა“?



რატომ არ იძიებენ ფარულ გადაღებაზე თვეების წინ შეტანილ საქმეებს? 12

# რატომ მოატყუა „ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ ღარიბაშვილის დაბრუნებაზე ხალხი?

ვის და რატომ დასჭირდა აჟიოტაჟის ატეხა?




7

ჯერ ბუსუსებიანი პრეზერვატივიო, ეხლა კანონის გამკაცრება... მაინც ვერ იჭერთ და რა აზრი აქვს?



3

# ძალოვანი სტრუქტურების ჩინოვნიკებს ქონებრივი დეკლარაციის შევსება აღარ მოუწევთ

რა შუაშია სახელმწიფო საიდუმლოებასთან თანამდებობის პირების შემოსავლები? 5

რუსეთში მათხოვრობა კანონით დასჯადი ხდება, რა იგეგმება, ამ მხრივ, საქართველოში?



8

# შს მინისტრის მოადგილე ავტოდილერებმა ტყუილში ამხილეს

ექსპრემიერ ღარიბაშვილის და პრემიერ კვირიკაშვილის წინააღმდეგ ავტოდილერებს სარჩელები შეაქვთ



9

„450 ლარში 1100 ლარს ითხოვს „ვივუსი“ ერთ თვეში, ნორმალურია?!“

vivus.ge
ფული თანამედროვე ხალხისთვის

10

მძღოლები „სითი პარკს“ სასამართლოში პროცესებს უგებენ

C.T.PARK

6

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

გაბაშვილმა — ჩვენ ხომ მამაძაღლები ვართ, მაგრამ „ოცნებაში“ უფრო დიდი მამაძაღლები არიანო



3

თბილისში ავტობუსების მარშრუტები დროებით იცვლება



10

„ტყიდან საძინებლამდე 10-კილომეტრიანი მილი დაგვაპროექტებინა, სუფთა ჟანგბადი უნდა ვისუნთქოო“ — ივანიშვილის გატაცებები



8

რაზე შეთანხმდნენ ირაკლი ოქრუაშვილი „თავისუფალი დემოკრატები“ და „ნაციონალური მოძრაობა“



11

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ოქრუაშვილი: „მაესტროში“ თანხა მაქვს გადახდილი, ამის ვიდეო-აუდიომასალა გამაჩნია

– წლის განმავლობაში რაღაც გარკვეული სიცხადე და სინათლე იქნება შეტანილი ამ საკითხში. მე არ მინდა ახლა დეტალებზე საუბარი იმიტომ, რომ, თუ პროცესები ისე განვითარდა, რომ გარკვეული იურიდიული პროცედურები იქნა წამოწყებული, ბუნებრივია, ადვოკატები ითხოვენ, ხოლმე პოლიტიკურმა განცხადებებმა არ გადაწიოს პროცესები. მე არ ვიჩქარებ განცხადების გაკეთებას ამაზე, – ამის შესახებ გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველმა ირაკლი ოქრუაშვილმა, ტელეკომპანია „ჯიდიეს“-ის გადაცემა „20/30“-ში განაცხადა.

– ბუნებრივია, ჩემი პრეტენზიები მაქვს „მაესტროსთან“ მიმართებაში. წილზე გამაჩნია პრეტენზიები, სადაც გარკვეული თანხა მაქვს გადახდილი და ამის დოკუმენტები გამაჩნია. ვიდეო და აუდიომასალაც მაქვს.

რაც შეეხება „რუსთავი 2“-ს, მასთან მიმართებაში საინტერესო იქნება არსებული დავა, ისევე როგორც გარკვეული დრო იქნება საჭირო იმისთვის, ჩემი პრეტენზია დავაფიქსირო, – განცხადა ოქრუაშვილმა.



ოქრუაშვილი სამომავლო გეგმებზეც საუბრობს და არ გამორიცხავს, რომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს.

მისი თქმით, არჩევნებში მონაწილეობას ის დამოუკიდებლად აპირებს, თუმცა ეს იქნება გორში თუ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სადაც სკოლა დაამთავრა, ჯერ გადაწყვეტილია არ აქვს.

– ნაძალადევში გავიზარდე, საკმაოდ დიდი სამეგობრო მყავს. არჩევნებში ნაძალადევში არასდროს მიმიღია მონაწილეობდა. ცოტა უცხოა ჩემთვის, მაგრამ არ ვიცი, ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს. ადრეა ამაზე საუბარი. ჯერ 7 თვეა, არჩევნებამდე, – განაცხადა ოქრუაშვილმა. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# სააკაშვილი: ნორმალური ხელისუფლება ასე იტყოდა: არ გინდათ ციხეში? მოიტანეთ ფული!

– რაზე ვლაპარაკობთ ჩვენ საერთოდ? იმ ხალხზე, რომლებიც რაღაც შემთხვევითობის გამო მოხვდნენ რადაში თუ იმ ხელისუფლებაზე, რომელიც, ასევე, რაღაც ჯგუფებისგანაა ფორმირებული და იმ რადასთან არიან შეკრულები, რომელმაც დიდი ხანია, ხალხში ავტორიტეტი დაკარგა?! – ოდესის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის ხელისუფლება კიდევ ერთხელ გააკრიტიკა ტოქშოუ „ვეჩერნი პრაიმში“.

– ნებისმიერმა კანდიდატმა უნდა ისარგებლოს საზოგადოების მხრიდან ნდობით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. არ მგონია, რომ უკრაინა, მიუხედავად იმისა, რომ ოლიგარქიული არხი არსებობს, ყველას გაანადგურებს, რადგან თუ ყველას გაანადგურებ, აღარავინ იქნება, ვისაც წინააღმდეგობას გაუწევ. არის ბევრი ახალგაზრდა და იმის ნაცვლად, რომ მათ მისცენ შანსი, ააშენონ ახალი ქვეყანა, ისინი ამაგრებენ თავიანთ კლანს, ინარჩუნებენ თავიანთ აქტივებს, კვლავ ითვისებენ სახელმწიფო ქონებას, რადგან უკრაინას რეალურად მართლა ცოტა რამ დარჩა.

ბევრი ამბობს, რომ დაიწყება მასობრივი რეპრესიები – რა სისულელეა! უბრალოდ, არ უნდა არსებობდნენ ხელშეუხებელი ადამიანები. მაგალითად, ახმეტოვი რომ ჩასვა ციხეში, ყველაფერი თავის ადგილას დადგება, რადგან ის უკრაინული კორუფციის სიმბოლოა. ამ ეტაპზე მასზე მიდის ვაჭრობა, რომ შეგიძლიათ დონბასის მეთაურად დანიშნონ, ასეთი საუბარი არ უნდა წარიმართოს.

იცით, როგორ ხდება, საერთოდ? შენ ან მთლიან ფულს დებ ამ სტრუქტურაში, ყველგან გზებს აშენებ, სადაც დანგრეულია, დონბასის იმ ნაწილში, რომელსაც ჩვენ ვაკონტროლებთ, ქმნი სამუშაო ადგილებს და თუ გინდა, ოთხივე მიმართულებით წადი. ააშენე ინფრასტრუქტურა, გადაუხადე ბიუჯეტს და იარე ოთხივე მიმართულებით, ვის სჭირდები, მაგრამ, თუ არ იხდი, მაშინ კანონის მიხედვით პასუხი უნდა აგო, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.



მიხეილ სააკაშვილი: კივალიოვი უნდა ჩასვან თუ არა? – უკაცრავად, მაგრამ არის ბევრი ადამიანი, რომლებთან დაკავშირებითაც ეჭვი არავის ეპარება, როგორ მოიპოვეს თავიანთი ქონება და რა მეთოდებით მოვიდნენ.

მე არ ვარ სისხლისმსმელი, მაგრამ მათ არ უნდა მოახდინონ უკრაინული სახელმწიფოს შანტაჟირება. რა მეთოდებით გამოიმუშავა ფული ახმეტოვმა?! მათ ფული იშოვეს ქურდობით, ბანდიტობით, მკვლელობით, ჩვენ ყველამ ვიცით, ხომ გეუბნებით, მე სისხლისმსმელი არ ვარ, იარონ ოთხივე მიმართულებით, ჩვენი შანტაჟირება კი არ უნდა მოახდინონ, რომ გვეუბნებიან, მოგვეცით ძალაუფლება, თორემ გაგანადგურებთო, ნორმალური ხელისუფლება ასე არ დაგელაპარაკება. დაელაპარაკები სხვანაირად, იცით, როგორ ეტყვის? არ გინდათ ჩაჯდომა? მოიტანეთ ფული! ახლა მიდის განხილვა, ვინ გახდება პრემიერ-მინისტრი, ვინ აიყვანს თავისთან ავაკოვს, ხელისუფლება თუ არა. ავაკოვი ციხეში უნდა იჯდეს, რაც ჩემში არანაირ ეჭვს არ იწვევს. (ipress.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# „ეს არის გაგრძელება იმ თავდასხმებისა, რასაც ხელისუფლება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების მიმართ ახორციელებს“



ეკა ბესელიასა და გედევან ფოფხაძის ინიციატივის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ძალაში საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნების შემდეგ შევა.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში გამოცხადებისთანავე შედის.

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში შესატან ცვლილებებს უმცირესობის დეპუტატი, ხათუნა გოგორიშვილი ეხმაურება:

– თუ ჩვენ გავიხსენებთ ბოლო პერიოდში დატრიალებულ მოვლენებს, თუ გავიხსენებთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ერთი საათით ადრე იქნება თუ ერთი საათით გვიან, როგორი მნიშვნელობა ჰქონდა, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ერთადერთ რამეს აჩვენებს, რომ პირველი – ხელისუფლება ძალიან შეშინებულია იმ უკანონო და უაზრო ქმედებებით, რასაც ახორციელებს და მეორე – ეს არის გაგრძელება იმ თავდასხმებისა და ზეწოლისა, რასაც დღევანდელი ხელისუფლება და მასთან დაკავშირებული ვითომ არასამთავრობო ორგანიზაციები საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების მიმართ ახორციელებენ, – განაცხადა გოგორიშვილმა. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ვის ვიხილავთ „ოცნების“ სიაში



„ქართული ოცნების“ გენერალურმა და აღმასრულებელმა მდივნებმა მომავალი საპარლამენტო სიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით ისაუბრეს.

კახა კალაძის განცხადებით, კონსულტაციები სიასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ გრძელდება, თუმცა სიაში აუცილებლად იქნებიან ახალი სახეები, ახალგაზრდები, ასევე, საარჩევნო სიაშიც და მაჟორიტარულ კანდიდატებად აუცილებლად იქნებიან წარდგენილი ქალებიც.

– იქნება ცნობილი სახეც, ზოგი შეიძლება ნაკლებად ცნობილი, მაგრამ წარმატებული ახალგაზრდა. ასევე, დიდ ყურადღებას ვუთმობთ ქალბატონებს და მიგვაჩნია, რომ მისასალმებელია, რაც მეტი ქალი იქნება ჩართული პოლიტიკაში, – განაცხადა კალაძემ.

„ოცნების“ გენმდივნის თქმით, არ არის გამორიცხული, სიაში სპორტსმენებიც იყვნენ, რადგან სპორტსმენიც წარმატებული ადამიანია.

როგორც ირაკლი კობახიძე აცხადებს, არსებობს სამი სფერო, რომელიც პრიორიტეტულია და აქცენტი სწორედ ამ სფეროს სპეციალისტებზე გაკეთდება:

– სიას რაც შეეხება, არ არის მიზანშეწონილი ჩვენთვის სახელებისა და გვარების დაკონკრეტება. ამისგან შეგნებულად ვიკავებთ თავს. ჩვენი მთავარი პრიორიტეტი გახლავთ გუნდის გაძლიერება იმ სფეროებში, სადაც პარლამენტს განსაკუთრებული ყურადღება მართებს. სამი პრიორიტეტული მიმართულებაა კანონშემოქმედებითი, ეკონომიკური და საგარეო სფერო და ამაზე გაკეთდება აქცენტი, – განაცხადა „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ. ასევე, მან არ გამორიცხა, რომ სიაში შესაძლოა, აღმოჩნდნენ საზოგადოება „20/30“-ის ექსპერტებიც.

როგორც კახა კალაძე აცხადებს, ბიძინა ივანიშვილმა თანამდებობა თავისი ნებით დატოვა და შესაბამისად, ვიცე-პრემიერი გამორიცხავს, რომ ის პოლიტიკაში კვლავ დაბრუნდეს.

– საარჩევნო სიაში ბიძინა ივანიშვილის ყოფნას გამოვრიცხავ. როდესაც ის მოვიდა პოლიტიკაში, მაშინვე განაცხადა, რომ მოვიდოდა, გაიმარჯვებდა და რამდენიმე ხნის შემდეგ თანამდებობას დატოვებდა. მან შეასრულა თავისი სიტყვა. ზოგადად, ასეთი რაღაცები არ ხდება ხოლმე. ამ ადამიანმა თავისი ნებით დატოვა თანამდებობა. ასე რომ, ის ისევ დაბრუნდეს პოლიტიკაში, არ არის სწორი, – განაცხადა კალაძემ.

მართალია, როგორც კალაძე ამბობს, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნებას არ აპირებს, თუმცა კობახიძე აცხადებს, რომ მას საარჩევნო სამზადისში ჩართვის გეგმები აქვს.

– ბატონმა ბიძინამ თავად განაცხადა, რომ ის აქტიურად ჩაერთვება ჩვენს, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო სამზადისში, თუმცა რა ფორმით მოხდება ეს, ამაზე ჯერჯერობით საუბარი არ ყოფილა. ეს, პირველ რიგში, ბატონ ბიძინაზეა დამოკიდებული. ამაზეც, ბუნებრივია, იქნება გუნდში მსჯელობა, – განაცხადა კობახიძემ.

ასევე, კობახიძე ირაკლი ღარიბაშვილის „ქართულ ოცნებაში“ დაბრუნების თემასაც გამოეხმაურა და განმარტა, რომ მასთან კონსულტაციები დღის წესრიგში არ დგას.

– ირაკლი ღარიბაშვილთან კონსულტაციები შეიძლება თეორიულად გაიმართოს, მაგრამ დღის წესრიგში ეს საკითხი არ დგას, – განაცხადა კობახიძემ. (newsposts.ge; news.ge; pia.ge; ipress.ge)

# „თავი მეგონა „ქართული ოცნების“ სათავო ოფისის სათათბირო ოთახში“



„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ნიკა მელია ცესკოში გამართულ შეხვედრას დაესწრო, სადაც საარჩევნო ოლქების საზღვრებთან დაკავშირებით, პრეზენტაცია გაიმართა.

– სამწუხაროდ, თავი მეგონა „ქართული ოცნების“ სათავო ოფისის სათათბირო ოთახში. იცით, რომ დიდუბის მოსახლეობის ნაწილი, საბურთალოს მოსახლეობის ნაწილი და გლდანის მოსახლეობის ნაწილი აირჩევს ერთ მაჟორიტარს. მიხვდა ცესკო, რომ ეს უხერხულობას გამოიწვევს – იმიტომ, რომ მაჟორიტარს რა უნდა დაარქვა – ამიტომ, თბილისში არჩეულ მაჟორიტარს აღარ ერქმევა, დავუშვათ, დიდუბის მაჟორიტარი. მიენიჭება ნუმერაცია. მაგალითად, დიდუბის რაიონის მცხოვრები აირჩევს მაჟორიტარ №1-ს. შეიძლება გავიხედოთ და მოდის მაჟორიტარი №2.

ორი საარჩევნო უბანი, სადაც წინა არჩევნებზე, მაგალითად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოუგო „ქართულ ოცნებას“, აიღეს და მიუერთეს ახლა ვაკეს. არადა ამის აუცილებლობა არ იყო, – განაცხადა მელიამ. (news.ge)

# პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერებით დაშანტაჟების მორიგი მსხვერპლი




მოქალაქე მაია არნოუპი პროკურატურას მიმართავს და გამოძიებას ითხოვს. არნოუპის განცხადებით, პირი, რომელთანაც ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა, მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ჩანაწერებით აშანტაჟებს.

– ულამ იაჰია ნაზართან მქონდა ახლო მეგობრული ურთიერთობა, შემდეგ ჩვენ ჩამოგვიყალიბდა ინტიმური ურთიერთობა, რომელმაც ჩაიწერა ეს ყველაფერი და გამოიყენა ჩემი შანტაჟის მიზნით. მან ჩემს არასრულწლოვან ქალიშვილს აჩვენა ჩემი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები. როდესაც მე გავთხოვდი, ის იძულებულს მხდიდა, რომ, თუ ხელს მოვაწერდი ჩემს მეუღლესთან, ის მას ამ კადრებს აჩვენებდა. მივმართე მთავარ პროკურორ ირაკლი შოთაძეს, თუ გამოძიება არ დაიწყება, ვაცხადებ, რომ პროკურატურის წინ ვიწყებ შიმშილს, – განაცხადა არნოუპმა. (news.ge)

## პანკისის ხეობაში არასრულწლოვანთა ქორწინებას აღარ გააფორმებენ



პანკისის ხეობაში ტრადიციული ისლამის მეჩეთებში არასრულწლოვანთა ქორწინებას აღარ გააფორმებენ. ამის შესახებ პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს ხელმძღვანელმა ხასო ხანგოშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ხეობის უხუცესები აღნიშნულ საკითხზე დიდი ხანი მსჯელობდნენ.

– მივიღეთ გადაწყვეტილება, ტრადიციული ისლამის მეჩეთების იმამებმა აღარ დაარეგისტრირონ არასრულწლოვანთა ქორწინება. აღნიშნულზე მსჯელობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ჯერ ერთი, 18 წლამდე გოგონა სკოლის მოსწავლეა და მისთვის ოჯახური ტვირთი მძიმეა. მან უნდა შეძლოს სწავლის დასრულება. მეორე არის ის, რომ ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარე, ოჯახში ქალის როლი საკმაოდ საპასუხისმგებლოა და არასრულწლოვნისთვის ეს ზედმეტად დიდი პასუხისმგებლობაა. და მესამე, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა უკვე კრძალავს არასრულწლოვანთა ქორწინებას, – განმარტა ხასო ხანგოშვილმა.

მისივე განმარტებით, ბოლო პერიოდში ტრადიციული ისლამის მეჩეთებში თითქმის აღარც ხდებოდა არასრულწლოვანთა ქორწინების გაფორმება, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილების გამოცხადება ვითარებას უფრო მეტად შეცვლის. (ინტერპრესნიუსი)

## „ყველა მივეჩვიოთ გადასახადების გადახდას, სატარიფო ოაზისები აღარ უნდა არსებობდეს“

ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე წყლის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით გოგირდის აბანოების მესვეურების პროტესტს გამოეხმაურა. ექსპერტი მიიჩნევს, რომ გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდას ყველა უნდა მიეჩვიოს.

– ყველა უნდა მივეჩვიოთ გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდას. ყველამ უნდა ვიცოდეთ, რომ საგადამხდელო წესრიგი და კულტურა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს ამ ქვეყანაში და ექსკლუზიური, პრივილეგირებული მდგომარეობა, რაც ზოგიერთ ბიზნესსტრუქტურებს წარსულში ჰქონდა, უნდა დამთავრდეს. ყველა ჯანსაღი ბიზნესურთიერთობა სწორედ ამ პრინციპზეა დაფუძნებული, – განაცხადა კალანდაძემ.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ გოგირდის აბანოების მესვეურების ამგვარი პროტესტი და ულტიმატუმები ყოვლად უადგილოა და მათი ქმედება, პირველ რიგში, თავად ამ კომპანიებსა და იქ დასაქმებულ ადამიანებს დააზარალებს. (pia.ge)

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



„ალიას“ „სტრატეგიული კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი, **პეტრე მამრაძე** ესაუბრა:

**— პირადი და ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე პასუხისმგებლობა მკაცრდება. როგორ ფიქრობთ, რა აზრი აქვს გამკაცრებას, თუკი რეალურად ვერ პოულობენ დამნაშავეებს?**

– რეალურად, ჭეშმარიტად ნაკლები აზრი აქვს. თუმცა, აზრი აქვს იმ მხრივ, რომ ვინც მიგნების და დასჯის. ვიყოთ ობიექტურები, ცანაწერებთან დაკავშირებული საკითხების გამოძიება ძალიან რთულია.

**— რის გამოა ეს აჟიოტაჟი?**

– შიგნით გუნდში აჟიოტაჟი გამოიწვია იმან, რომ ბევრს მიაჩნდა და საბოლოო ჯამში, ღარიბაშვილი იმიტომაც გადადგა – რომ წამგებიანია გუნდისთვის მისი კოალიციაში ყოფნა, მას კომუნიკაციის უნარი არ აქვს, არ უსმენს თანაგუნდელებს. როცა ღარიბაშვილი წავიდა, იმასაც მეუბნებოდნენ, უნდა დავიჭიროთო. პრემიერს ამის თქმის უფლება არ აქვს და ასეთი ბევრი მომენტი შემიძლია ჩამოვთვალო. პირდაპირ გეტყვით: მე დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, იქნება თუ არა ღარიბაშვილი გუნდში.

**— ბაღების თანამშრომლები და მშობლები აქციებით იმუქრებიან. ამით ხელისუფლება მხარდამჭერებს კარგავს და რაში აწყობთ?**

– მე ჯერჯერობით არავითარი კონკრეტული ინფორმაცია არ გამაჩნია იმის თაობაზე, რომ ეს მართლაც ასეა. მოარული ხმები გამიგია, მაგრამ არა იყვნენ აყვანილები სამსახურებში, რომ საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ.

მე მოვიყვანე კონკრეტული მაგალითი იმისთვის, რომ არ უნდა გვიკვირდეს, საზოგადოებაში აპრიორი არის მოლოდინი – როცა რაღაც მოხსნები და დანიშვნები იწყება წინასაარჩევნოდ, ეს არის არჩევნების გასაყალბებლად გაკეთებული. ასეც რომ არ იყოს, ძალიან ძნელია, ამაში ადამიანები გადაარწმუნო, რადგან ამდენი წელია, ასე ხდება და რაღა ახლა იქნება სხვაგვარად? ამიტომ, ალბათ, სჯობდა, ხელისუფლებას მეტი სიფრთხილე გამოეჩი-



# ჯერ ბუსუსებიანი პრეზერვატივიო, ეხლა კანონის გამკაცრება... მაინც ვერ იჭერთ და რა აზრი აქვს?

ამას აკეთებს, ამ დანაშაულს ვინც სჩადის, როცა იცის, სასჯელი მკაცრია და ფიქრობს, თუნდაც მცირე ალბათობა რომ იყოს მისი გამოაშკარავებისა და დასჯის, უფრო მეტად დაფიქრდება. მაგრამ მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, რომ დამნაშავეებსა და პოტენციურ დამნაშავეებზე ყველაზე ქმედითად მოქმედებს არა კანონში გაწერილი სასჯელების სიმკაცრე, არამედ ის, რამდენად ქმედითია გამოძიება. როცა ადამიანმა იცის, რომ, თუ დანაშაულს ჩაიდენს, გამოიძიებენ და ადრე თუ გვიან მოუწევს პასუხისგება – ეს უფრო გაცილებით ქმედითია, ვიდრე თუნდაც ის, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილით დასჯა იყოს ამ დანაშაულზე, მაგრამ იცოდნენ, რომ მცირე ალბათობაა მათი რომ აი, ამოიღო ამ კაცმა ხმა, კონსტიტუციაში უნდა იყოს ჩანაწერი, ოჯახი არის კაცისა და ქალის ერთობა და ამის გამო გადააყენეს, ეტყობა, დასავლეთის დავალებითო, რაც არის სრული ტყუილი. იმის გამო მოაცილეს ღარიბაშვილი, რომ ივანიშვილს ბევრი უმტკიცებდა – საჭიროა, გაცილებით ქმედითი პრემიერი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის ატმოსფეროს და იმ ქმედებას, რომელიც ბოლო თვეებში იქნება აუცილებელი, რათა „ოცნების“ კატასტროფულად დაცემული რეიტინგი მაღლა ავიდესო. მიმაჩნია, რომ ის კარგი პრემიერი არ იყო, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო მისი თუნდაც ანტიკონსტიტუციური განცხადება მორატორიუმის შესახებ – პოლიტიკოსები არ კონკრეტული ფაქტები, მაგრამ ხაზი მინდა გავუსვა სხვა რამეს: საქართველოში, თუნდაც „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე, საზოგადოებაში ეს მოლოდინი, რომ არჩევნების წინ ცდილობენ, თითქმის ყველა ადგილას, სადაც კი ეს შესაძლებელია – ის ადამიანები დანიშნონ, ვინც რეალურად მათი აქტივისტები არიან და იმუშავებენ კოლექტივებთან, რომ მივიდნენ არჩევნებზე და ხმა მისცენ ხელისუფლებას – ეს მოლოდინი და მრწამსი არსებობს. ჩვენ გვახსოვს, როგორ მოქმედებდა თბილისის მერია და გამგეობები მთელი საქართველოს მასშტაბით; ჩვენ გვახსოვს, რომ ათასობით ადამიანი საქმდებოდა ვითომ დასაქმების პროგრამით, მაგრამ მერე ირკვეოდა, ესენი მხოლოდ იმიტომ ნა. ჯერ ერთი, ასეთი რაღაც არ უნდა ჩაიდინოს, რადგან საბოლოოდ ხმები დააკლდება. აი, ეს ჭკუაც ვერ ისწავლა საქართველოში ვერც ერთმა ხელისუფლებამ, რომ ასეთი ხელოვნური მეთოდებით, საბოლოო ჯამში, მხოლოდ აგებს და ხმები კი არ ემატება, აკლდება. რა თქმა უნდა, იგივე ბაგა-ბაღში თუ ადამიანს რაიმე დანაშაული აქვს ჩადენილი და მოსახსნელია, უნდა მოხსნა და შეიძლება პასუხისგებაშიც იყოს მისაცემი, მაგრამ მე დავადასტურებ ამას: თბილისში და მთლიანად საქართველოში არის განწყობა, რომ, რა თქმა უნდა, ახლა დაიწყებენ მოხსნა-დანიშვნებს იმისთვის, რომ ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერები იყვნენ თანამდებობაზე, ხელფასები ჰქონდეთ და აგიტაციასაც ეწეოდნენ და კონტროლსაც.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 31 წლის დედამ 2 მცირეწლოვანი შვილი ბალიშით გაგუდა



31 სოფია ციგანკოვას, რომელსაც ბრალად ედება 2 მცირეწლოვანი შვილის მოკვლა, შესაძლოა, სამუდამო პატიმრობა შეეფარდოს.

ტეხასის ქალაქ ფორტუერტის სასამართლომ აშშ-ში მცხოვრები უკრაინელი პიანისტის, ვადიმ ხოლოდენკოს მეუღლეს ბრალი ოფიციალურად წაუყენა.

31 წლის სოფია ციგანკოვას შვილების – 5 წლის ნიკასა და 1 წლის მიკაელას მკვლელობაში ადანაშაულებენ, რაც ტეხასის შტატის კანონმდებლობით სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს.

შემზარავი შემთხვევა 17 მარტს მოხდა.

ვადიმ ხოლოდენკო, რომელიც მეუღლესთან გაშორებული იყო, შვილების სანახავად ყოველდღე მიდიოდა. პიანისტი 17 მარტს ნიკას სკოლაში წასაყვანად მივიდა, სახლში კი შემზარავი სურათის მომსწრე გახდა – ორივე გოგონა გარდაცვლილი დახვდა. გოგონებს სახეზე ბალიში ჰქონდათ დაფარებული, თვითონ დედა კი სამზარეულოში, დასისხლიანებული, მუხლებზე იყო დამხობილი.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სოფია ციგანკოვამ შვილები მოკლა და სხეულზე თვითდაზიანებებიც მიიყენა.

სასამართლო სხდომაზე მან დანაშაული არ აღიარა, თუმცა განაცხადა, რომ ჭრილობები თვითმკვლელობის მიზნით მიიყენა.

როგორც გაირკვა, დაქორწინებამდე, მარია ფსიქიატრთან დადიოდა. გოგონების გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე კი ის ფორტუერტის ერთ-ერთ ფსიქიატრიულ კლინიკას ესტუმრა. (ნიუპოსტი)

## ტერაქტების დასაგეგმად მომზადებული 600-მდე ტერორისტი ევროპის ტერიტორიაზე გადანაწილდა



დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანია, დანია, შვედეთი – ეს იმ ქვეყნების ჩამონათვალია, სადაც „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ტერაქტების მოწყობისთვის სპეციალურად გაწვრთნილი 400-ზე მეტი ტერორისტი იმყოფება.

აღნიშნულ ინფორმაციას „ასოშეიტედ პრესი“ დაზვერვის სამსახურის წარმომადგენელზე დაყრდნობით ავრცელებს. მისი მონაცემებით, ტერორისტებს ასაფეთქებელ მოწყობილობებთან მუშაობასა და თვალთვალის პროცედურებში ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე მდებარე ბანაკებში ამზადებდნენ.

დაზვერვის ინფორმაციით, ერთ ჯგუფში არიან გაერთიანებულნი იმ დაჯგუფების ტერორისტები, რომლებმაც პარიზის ტერაქტების სერია განახორციელეს. ისინი გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, დანიასა და შვედეთში გადანაწილდნენ.

როგორც ცნობილია, ტერორისტების კიდევ ერთი ჯგუფი მათ თურქეთიდან შეუერთდა.

ერაყის დაზვერვის სამსახურის ინფორმაციით, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები ევროპის აეროპორტებსა და სარკინიგზო სადგურებში 2 თვის მანძილზე ტერაქტებს გეგმავდნენ. ასევე, როგორც ცნობილია, არსებობს კიდევ 3-კაციანი თვითმკვლელ ტერორისტთა ჯგუფი, რომლებიც ახალ თავდასხმებს გეგმავენ. (pia.ge)

## „ცხელ ხაზზე შემოდის არაერთი ზარი, რომ ბაღის ადმინისტრაცია არ იტოვებს აღსაზრდელებს“

თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი განთავისუფლებულ დირექტორებს პროცესების პოლიტიზებაში ადანაშაულებს. თემურ თორდინავას განაცხადებით, ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, ვინც ხელს უშლის ბაღების მუშაობას.

– ცხელ ხაზზე შემოდის არაერთი ზარი, რომლითაც მშობლები გვატყობინებენ, რომ ბაღის ადმინისტრაცია არ იტოვებს აღსაზრდელებს. მშობლები არიან შეშფოთებულები და გვთხოვენ, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესების უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი ზომები გავატაროთ.

გვინდა მოგმართოთ, რომ, თუ კიდევ გაგრძელდება სააღმზრდელო პროცესების ჩაშლის მცდელობა, ნებისმიერი თანამშრომელი უმკაცრესად აგებს პასუხს საბავშვო ბაღის წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად.

მოგიწოდებთ, მთელი პასუხისმგებლობით და კეთილსინდისიერად მოეკიდოთ თქვენს სამუშაოს, დაკისრებულ მოვალეობას და ნუ ჩაერთვებით პროცესების პოლიტიზების მცდელობაში, – განაცხადა თორდინავამ. **(news.ge)**

## გაბაშვილმა — ჩვენ ხომ მამაძაღლები ვართ, მაგრამ „ოცნებაში“ უფრო დიდი მამაძაღლები არიანო

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი წარდგა.

საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი გოკა გაბაშვილი პირადი და ოჯახური საიდუმლოს ხელყოფაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს და აცხადებს, რომ მოქმედებისკენ მას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმაც უნდა მოუწოდოს.

– არა თამარ ქალდანი, არამედ სახელმწიფო ინსტიტუტები უნდა იყვნენ ორიენტირებული იმაზე, რომ ის, რაც ხდება ქვეყანაში, არ ხდებოდეს. რა თქმა უნდა, ყოველთვის, ამის ჩაწერა, თვალთვალი, მიყურადება, იყო პრობლემა, მაგრამ ეს მარაზმი ახალ დონეზეა აწეული – ეს არის პირდაპირ დაშანტაჟება ადამიანებისა და მერე გამოქვეყნება, ამის განთავსება სოციალურ ქსელებში.

ამ ვითარებაში, რა თქმა უნდა, თამარ ქალდანი ძალიან აქტიური უნდა იყოს და უნდა მოითხოვოს სახელმწიფოსგან მოქმედება, მაგრამ პირველ რიგში, უნდა იმოქმედოს პროკურატურამ, უნდა იმოქმედოს სამართალდამცავმა სტრუქტურებმა, უნდა იმოქმედოს გამოძიებამ, – განაცხადა გაბაშვილმა. (news.ge)

## რატომ არ აისახა ხორბლის გაიაფება პურის ფასზე



მეხორბლეთა ასოციაციის ინფორმაციით, ადგილობრივ ბაზარზე ტომარა ფქვილის ფასი 8-9 ლარით შემცირდა, რაც მეტწილად მსოფლიო ბირჟებზე ხორბლის საერთაშორისო ფასების კლებითაა გამოწვეული.

სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით, ქვეყანაში ახლა პური, საშუალოდ, 5 თეთრით იაფი უნდა ღირდეს, თუმცა ხორბლის გაიაფებას პურის გაიაფება არ მოჰყვა.

რატომ არ აისახა ფქვილის ფასის კლება პურის ღირებულებაზე? ამის შესახებ რადიო „პალიტრის" გადაცემა „საქმეში" ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე ლევან სილაგავამ და პურის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძემ ისაუბრეს.

ლევან სილაგავას თქმით, ბოლო პერიოდში მსოფლიო ბაზარზე განვითარებულმა მოვლენებმა წისქვილკომბინატებს საშუალება მისცა, ერთი ტომარა პირველი ხარისხის ფქვილის ფასი, რომლისგანაც პური ცხვება, 44 ლარიდან 36 ლარამდე შემცირებულიყო. მისივე ვარაუდით, ფქვილის ღირებულების 20-პროცენტიანი შემცირება მცირედით მაინც უნდა ასახულიყო პურის ფასზე, რაც არ მოხდა და დღეს არსებული პურის ღირებულება არ შეესაბამება საბაზრო ფასს.

თავის მხრივ, პურის მწარმოებელთა ასოციაციის თავმჯდომარე მალხაზ დოლიძე ბოლო 10 წლის განმავლობაში ვერ იხსენებს შემთხვევას, როცა პურის ფასის კორექტირება მოხდა და აცხადებს, რომ მეპურეებს ფასების შენარჩუნება ზოგჯერ გაკოტრების ფასადაც უჯდებოდათ.

– პურის ფასი ბოლო წლებში არც შემცირებულა და არც მომატებულა. სოციალურის გარდა, პური პოლიტიკური პროდუქტიცაა. მაშინ, როცა ფქვილის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა, წინა ხელისუფლებამ დაიბარა მეპურეები და მკაცრად გააფრთხილა, რომ პურის ფასზე ეს არ ასახულიყო. მაშინ ბევრი მეპურე გაკოტრდა, ნაწილი კი დღესაც ვალებს იხდის, – აცხადებს მალხაზ დოლიძე.

მისივე თქმით, პურის წარმოებაში ბევრი პრობლემაა, მათ შორის ისიც, რომ მწარმოებლები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დანადგარებით მუშაობენ და ქარხნები გასაახლებელია. მალხაზ დოლიძის განცხადებით, ფასების ლიბერალიზაციის პირობებში, შეუძლებელია, ვინმემ მწარმოებელს ღირებულების შემცირება უკარნახოს. მისი თქმით, ყველა შემცირებულ ფქვილის ფასზე აპელირებს და ამ დროს არავის ახსენდება 30 პროცენტით გაძვირებული ელექტროენერგია. **(bpn.ge)**

## სააკაშვილი: მეც ნაფტალინი ვიქნები, რა თქმა უნდა



ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში უცხოელი „ნაფტალინიანი" პოლიტიკოსების თანამდებობაზე დანიშვნის წინააღმდეგია. ასე გამოეხმაურა ის ოლეგ ლიაშკოს ინიციატივას უკრაინის პრემიერად ლეშეკ ბალცეროვიჩის დანიშვნის შესახებ, რომელსაც 1989-1991 წლებში პოლონეთის ვიცე-პრემიერის პოსტი ეკავა.

– ამბობენ, ახლა ჩვენ ჩამოვიყვანთ უცხოელ რეფორმატორებს, ამოვიღებთ ნაფტალინიდან რომელიღაც აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, მინისტრს, შეიძლება კარგი ხალხია და ზოგიერთი მათგანი ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ, მაგრამ უკრაინაში რა შუაში არიან? – განაცხადა სააკაშვილმა ტელეკომპანია 112-თან ინტერვიუში.

როგორც **Forbes**-ის რუსულენოვანი გამოცემა წერს, სააკაშვილმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ლეშეკ ბალცეროვიჩმა თავად განაცხადა, რომ არ აპირებს უკრაინის პრემიერის პოსტის დაკავებას.

ჟურნალისტის კომენტარზე, რომ უკრაინის პრეზიდენტმა პოროშენკომ სწორედ საქართველოს პრეზიდენტობის გამოცდილების გამო დანიშნა ის ოდესის გუბერნატორად, სააკაშვილმა უპასუხა, რომ ის ორი მაიდანის წევრი იყო და თანაც აქტიურ პოლიტიკაში იყო ჩართული.

– 10 წლის შემდეგ მეც ნაფტალინიანი ვიქნები, რა თქმა უნდა, – განაცხადა სააკაშვილმა.

## ჰოდა, ყველაფერი რომ იცით და არაფერს აკეთებთ, იმიტომ ხართ გასაკრელები!!!



პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების გამოქვეყნებაზე კომენტარს აკეთებს ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე. კალაძის განცხადებით, ამ კადრების გამოქვეყნება პირდაპირი დარტყმაა საქართველოს მთავრობაზე და ამით თუ ვინმე ზიანდება, ზიანდება საქართველოს მთავრობა.

– დაველოდოთ გამოძიებას. ეს არის ძალიან რთული პროცესი. ზოგადად, როდესაც ხდება ასეთი ვიდეოების ატვირთვა, მათი გამოძიება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ჩვენ ძალიან ბევრი განცხადება მოვისმინეთ ამასთან დაკავშირებით და დავრწმუნდით იმაში, რომ იოლი გამოსაძიებელი საქმე არ არის. თუმცა ვფიქრობ, პროკურატურამ ყველაფერი უნდა გააკეთოს საქმის გამოძიებისთვის. როგორც ვიცი, ამაში ჩართულია სხვადასხვა ქვეყნის საგამოძიებო უწყებები, რათა ძალიან სწრაფად იქნას აღმოჩენილი, ვისი მხრიდან იქნა გავრცელებული ეს საშინელი კადრები. ეს არის მორალური განადგურება ადამიანებისა, რაც ძალიან მძიმეა.

ისიც, ვიცით, ვინც ამას აკეთებდა და წერდა ამ კადრებს გარკვეული წლების განმავლობაში და ჩვენ ვიცით, ზოგადად, ამას ვინ აკეთებდა და ვისი ხელწერაა ეს ყველაფერი, – განაცხადა კახა კალაძემ. (პირველი რადიო)

## სალაჰ აბდესლამი ბელგიის პოლიციასთან აღარ თანამშრომლობს და საფრანგეთში ექსტრადირებას ითხოვს



პარიზის ტერაქტების მთავარი ორგანიზატორი სალაჰ აბდესლამი, მისი ადვოკატის ინფორმაციით, ბელგიის პოლიციასთან აღარ თანამშრომლობს და საფრანგეთში ექსტრადირებას მოითხოვს. თავდაპირველად აბდესლამი საფრანგეთში ექსტრადირებაზე უარს აცხადებდა. ტერორისტის ექსტრადირების საკითხს სასამართლო 31 მარტს განიხილავს.

26 წლის სალაჰ აბდესლამი 4-თვიანი ძებნის შემდეგ ბრიუსელში, 18 მარტს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს. ის ამ დროისთვის ბრიუგეს მკაცრი რეჟიმის ციხეში იმყოფება. (პირველი რადიო)

## ᲗᲐᲛᲐᲠ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ: „საჭიროა რეფორმის ახალი ეტაპი და ამ პროცესში მთავარი ფუნქცია ქვეყნის კერძო სექტორმა უნდა შეასრულოს"

**პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ტექნოლოგიურ პარკში პროფესიული განათლების რეფორმის ახალი ეტაპის გეგმა წარადგინა, რომელიც მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. რეფორმის ახალი ეტაპი საგანმანათლებლო პროცესის დამსაქმებლის ჩართულობით წარმართვას, პრაქტიკული სწავლების გაძლიერებას და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს.**




როგორც ცნობილია, მთავრობის ახალი ოთხპუნქტიანი გეგმა ეკონომიკის, განათლების, სივრცით მოწყობისა და მმართველობის რეფორმებს მოიცავს და ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას გულისხმობს.

პროფესიული განათლების ახალი პერსპექტივები დამსწრე საზოგადოებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ გააცნო. მინისტრის თქმით, სისტემის საფუძვლიანი მომზადება 2013 წელს დაიწყო და სწორედ ამ დროიდან მოყოლებული დღემდე, სისტემაში განხორციელდა ის ცვლილებები, რომლის შედეგად საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობაში ჩართულ ქვეყნებს შორის, ერთ-ერთი წარმატებულია. სულ ცოტა ხნის წინ კი, ევროპული განათლების ფონდმა, საქართველოში ინკლუზიური პროფესიული განათლება შეაფასა, როგორც შედეგზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი, ეფექტური და ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა.

მინისტრი მიიჩნევს, რომ საჭიროა რეფორმის ახალი ეტაპი და ამ პროცესში მთავარი ფუნქცია ქვეყნის კერძო სექტორმა უნდა შეასრულოს:

**– პროფესიული განათლება უკვე მზად არის რეფორმის ახალი ეტაპისთვის, რომელიც პროფესიულ განათლებაში საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემურ დანერგვას გულისხმობს. განვლილი პროცესი წარიმართა სამინისტროს სტრატეგიული პარტნიორის, ევროკავშირის წარმომადგენლობის დიდი მხარდაჭერის ფონზე. ამასთანავე, პროფესიული განათლების რეფორმას აქვს ძლიერი მხარდაჭერა ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის, გაეროს განვითარების პროგრამის, შვეიცარიის განვითარების სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების, ასევე, ესტონეთისა და ნორვეგიის განათლების სამინისტროების მხრიდან. თვისებრივი ცვლილებების განხორციელებისას სამინისტროს გვერდით იდგნენ სოციალური პარტნიორები და რომ არა მათი აქტიური მონაწილეობა, დღეს არ იქნებოდა შესაძლებელი, გვესაუბრა თანამშრომლობის ახალ ეტაპზე,** – განაცხადა მინისტრმა და გაწეული დახმარებისთვის ყველა ორგანიზაციის წარმომადგენელს მადლობა გადაუხადა. მან მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრსაც, რომელიც ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარებას პრიორიტეტი მიანიჭა და საზოგადოებას მთავრობის ხედვა გააცნო პროცესების შემდეგ განვითარებასთან დაკავშირებით.

როგორც პრეზენტაციაზე პრემიერმა განაცხადა, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ქვეყნის უნარს – მუდმივად ვითარდებოდეს, ქმნიდეს დოვლათს, ზრდიდეს პროდუქტიულობას და იყოს კონკურენტუნარიანი, ეს კვალიფიციური და ეფექტური სამუშაო ძალაა.

მისივე თქმით, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წინაშე მდგარი გამოწვევების საპასუხოდ 2013 წლიდან ხორციელდება პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც უკვე მიღწეულია კონკრეტული შედეგები. თუმცა, საჭიროა რეფორმის ახალი ტალღა, რომელიც კიდევ უფრო მეტი ინტენსივობით წარმართავს ყველა იმ პროცესს, რომელიც უკავშირდება პროფესიული განათლების დაკავშირებას ქვეყნის ეკონომიკასთან, ბიზნესთან, საინვესტიციო პროექტებთან, ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, რეგიონების განვითარების საჭიროებებთან. ამასთანავე, სისტემამ წარმატებით უნდა უპასუხოს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის გამოწვევებს და გაიზიაროს ის საერთო ევროპული მიდგომები, რომელთა მეშვეობითაც ქართველი ახალგაზრდები კონკურენტუნარიანები იქნებიან არა მხოლოდ ქვეყნის შრომით ბაზარზე, არამედ მის ფარგლებს გარეთ.

პრემიერმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ეს ახალი ინიციატივა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იყოს აღქმული, როგორც სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ვალდებულების დაკისრება კერძო სექტორისთვის. ის დაფუძნებულია თანასწორ პარტნიორობასა და ორმხრივ სარგებელზე. კერძო სექტორის სარგებელი იქნება მაღალკვალიფიციური და მოტივირებული სამუშაო ძალა, რაც აუცილებელია კომპანიის წარმატებული ფუნქციონირებისთვის, ხოლო სახელმწიფოს სარგებელი იქნება შემცირებული უმუშევრობა და დასაქმების გაზრდილი მაჩვენებელი.

მისივე თქმით, საქართველოს რეგიონებში არსებობს განვითარების დიდი პოტენციალი და თანამშრომლობის ფარგლებში, აუცილებლად უნდა იყოს განხილული რეგიონული საჭიროებების შესაბამისად კოლეჯების დაფუძნებისა და განვითარების საკითხი. ეს მნიშვნელოვანია რეგიონებში არსებული ბიზნესის ხელშეწყობისთვის და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისთვის.

დღეს, საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიმართულია იქით, რომ შეიცვალოს მიდგომა – საზოგადოების მხრიდან თვითდასაქმებული ადამიანი აღქმული იყოს, როგორც წარმატებული მეწარმე. სწორედ ამ პრიორიტეტს დაეფუძნება საგანმანათლებლო პოლიტიკაც, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების სფეროში. უნდა შეიქმნას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სამეწარმეო იდეების (სტარტაპების) მხარდამჭერი მექანიზმები რა თვალსაზრისითაც, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობასა და მათ შეთანხმებულ მოქმედებებს.

*ნინო ჩხენკელი*

## ტერორისტის ფოტორობოტი



ბელგიური გამოცემა „DHnet.be" ბრიუსელის ტერაქტებში სავარაუდო მონაწილის ფოტორობოტს აქვეყნებს. ფოტორობოტზე აღბეჭდილია ადამიანი, რომელიც ტერორისტი ძმების იბრაჰიმ და ჰალიდ ელ-ბაკრაუების მოკავშირე იყო. სავარაუდოდ, სწორედ ეს ადამიანი მოხვდა სათვალთვალო კამერების ობიექტივში. მას ღია ფერის ქურთუკი აცვია და ქუდი ახურავს. მისი ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. უცნობია ისიც, საერთოდ ცოცხალი თუ არა იგი. (პირველი რადიო)

## პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე პასუხისმგებლობა მკაცრდება

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში მზად არის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე პასუხისმგებლობის გამკაცრებასა და შესაბამისი ქმედების მძიმე კატეგორიის დანაშაულში გადაყვანას ითვალისწინებს. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსში დაგეგმილია ცვლილებები, რომლის თანახმადაც სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლიდან პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის გამიჯვნა ხდება. პროექტის მიხედვით, კოდექსს ახალი მუხლი ემატება, რომელიც ითვალისწინებს პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფაზე მკაცრი სასჯელების განსაზღვრას. კომიტეტის მიერ მომზადებული პროექტის თანახმად, პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა, გამოყენება, გავრცელება ან ხელისწვდომობის სხვაგვარად უზრუნველყოფა დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 7 წლამდე.

პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება და გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებული ნაწარმოების, ინტერნეტის, მათ შორის სოციალური ქსელის, მასობრივი მაუწყებლობის ან სხვა საჯარო გამოსვლის მეშვეობით, იქნება დასჯადი თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 8 წლამდე.

აღნიშნული ქმედება ჩადენილი ანგარებით, არაერთგზის გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას – თავისუფლების აღკვეთით 6-დან 9 წლამდე.

ამასთანავე, პროექტის მიხედვით, ზემოაღნიშნული ქმედება ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელსაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ამ საიდუმლოს დაცვა ევალებოდა, ან რომელმაც აღნიშნული ქმედება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინა – დაისჯება თავისუფლების აღკვეთით 7-დან 10 წლამდე ვადით. (ინტერპრესნიუსი)



# ძალოვანი სტრუქტურების ჩინოვნიკებს ქონებრივი დეკლარაციის შევსება აღარ მოუწევთ

## რა შუაშია სახელმწიფო საიდუმლოებასთან თანამდებობის პირების შემოსავლები?




ლევან ჯავახიშვილი

577 51-73-37


დღემდე საქართველოში თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები ხელმისაწვდომი იყო და მედიის მეშვეობით, საზოგადოება საქმის კურსში იყო, კონკრეტული თანამდებობის პირს, მის ოჯახს, რა ქონება და შემოსავალი ჰქონდა. თუმცა, კონკრეტული თანამდებობის პირების დეკლარაციები ხელმიუწვდომელი გახდება. 2015 წლის 27 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც, კანონს დაემატა დათქმა, რომ საჯაროდ ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს იმ თანამდებობის პირთა დეკლარაციები, „რომლის თანამდებობას „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საიდუმლოების გრიფი აქვს მინიჭებული“ (ცვლილება ძალაში 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან შევა). რა შუაშია სახელმწიფო საიდუმლოებასთან თანამდებობის პირების შემოსავლები?

ამასთანავე, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის აღნიშნული ჩანაწერი ძალზე ბუნდოვანია და მთავრობას ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებს, შეზღუდოს წვდომა ქვემოჩამოთვლილ იმ თანამდებობის პირთა დეკლარაციებთან, რომლებსაც დღეს ეკისრებათ ვალდებულება, წარადგინონ დეკლარაციები საჯარო სამსახურის ბიუროში. ესენია: 1. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე; 2. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე; 3. საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების დეპარტამენტების, ბიუროების, მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე, მათთან გათანაბრებული პირები; 4. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების, მათში შემავალი მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსები და მათი მოადგილეები, აგრეთვე, მათთან გათანაბრებული პირები; 5. საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტებისა და სამსახურების ხელმძღვანელები და მათთან გათანაბრებული პირები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, საოლქო და რაიონული პროკურორები.

როგორც ხედავთ, არცთუ მცირეა იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომელთაც, ეს ცვლილება შეეხებათ. სრული აბსურდია იმის მტკიცება, რომ ქონებრივი დეკლარაცია დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში კონფიდენციალურ თანამშრომლებს გაამჟღავნებს – ასეთია დღეს ამ საკანონმდებლო ცვლილების მომხრეთა არგუმენტი. ყველამ კარგად ვიცით, რომ ნორმალურ ქვეყნებში კონფიდენტების ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა სახის მონაცემები ისედაც საჯარო და ხელმისაწვდომია. უშიშროების საბჭოს მდივანი და მისი მოადგილე, კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის უფროსი, შსს-ს სამმართველოს უფროსები ან თბილისისა თუ აჭარის პროკურორები რომელი კონფიდენტები მყვანან, რომ მათ ქონებრივი დეკლარაცია არ შეავსონ? ეს საკანონმდებლო ცვლილება სერიოზული კორუფციის წყაროს გაჩენისა და თანამდებობის პირების მიერ, კერძო ქონების დამალვის საშუალებას იძლევა და სხვას არაფერს.

დავუშვათ, შსს-ს კონკრეტული დეპარტამენტის უფროსი მოხვდა ამ სიაში და მისი მონაცემები ხელმიუწვდომელი გახდა. ჩვენ ვერასდროს გავიგებთ, ეს პიროვნება რამდენ ხელფასს, სახელფასო დანამატსა და პრემიას იღებდა. ზოგიერთი სამსახურის უფროსები გამოიწერენ ათეულ თუ ასეულ ათასობით პრემიასაც და ამას ჩვენ, გადასახადების გადამხდელები, ვერასდროს გავიგებთ, კონკრეტული თანამდებობის პირების სხვა შემოსავლების შესახებ, მათი ოჯახის წევრების შემოსავლების შესახებ. მეტიც, თანამდებობის პირს ამ პოსტზე მუშაობის პერიოდში, შესაძლოა, გაუჩნდეს ოფიციალურ შემოსავალზე მეტი ქონება, შესაძლოა, მან ქათამი აიღოს და, დავუშვათ, სახლი, აგარაკი იყიდოს, მაგრამ ამას ვერასდროს გავიგებთ, რადგან ის ვალდებული აღარ იქნება, საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია გაასაჯაროოს და ხალხს ანგარიში ჩააბაროს. ეს კანონი საუცხოო საშუალებაა იმისა,

**თანამდებობის პირს ამ პოსტზე მუშაობის პერიოდში, შესაძლოა, გაუჩნდეს ოფიციალურ შემოსავალზე მეტი ქონება, შესაძლოა, მან ქათამი აიღოს და, დავუშვათ, სახლი, აგარაკი იყიდოს, მაგრამ ამას ვერასდროს გავიგებთ, რადგან ის ვალდებული აღარ იქნება, საკუთარი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია გაასაჯაროოს და ხალხს ანგარიში ჩააბაროს**

რომ ჩვენმა ჩინოვნიკებმა ბიუჯეტი უარესად გაღლიტონ, ვიდრე ღლეტენ, მიიღონ არალეგალური შემოსავალი, ამის ხარჯზე დააგროვონ დიდი ქონება და ეს არსად დააფიქსირონ.

შევარდნაძის დროს მახსოვს, კონკრეტულ თანამდებობის პირებს 200-300 დოლარი ჰქონდათ ხელფასი, მაგრამ პოსტებს რომ ტოვებდნენ, მერე ირკვეოდა, რომ მილიონების პატრონები იყვნენ. ეტყობა, ახლაც სწორედ იმ პერიოდს ვუბრუნდებით, როცა თანამდებობის პირთა შემოსავლები გაუმჭვირვალე და უკონტროლო იყო. კიდეც გაჩნდებიან ჩვენში მილიონერი ყოფილი ჩინოვნიკები და ვერასდროს გავიგებთ, როგორ იშოვეს მათ ეს ფული. ასევე, საზოგადოებისთვის უცნობი იქნება კონკრეტული თანამდებობის პირები უცხოურ მივლინებებში რამდენ თანხას და რაში დახარჯავენ. ჯერ ეს ინფორმაცია საჯაროა და მავანი დიდმოხელენი, ბიუჯეტის ხარჯზე უიქენდებს იწყობენ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში და როცა ეს კანონი ამოქმედდება, მათ დეკლარაციებს „საიდუმლო გრიფი“ რომ დაედება, წარმოიდგინეთ, რას „გაგულავდებიან“.

მოკლედ, შესაძლოა, ასეულობით თანამდებობის პირის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის, მათი შემოსავლების კონტროლის საზოგადოებრივი მექანიზმი სრულიად მოიშალოს. ასეთი დემოკრატიით აპირებს ბიძინა ივანიშვილი დასავლეთის გაოცებას? ისეთ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, ისეთი ჩინოვნიკები რომ გვყავდეს, რომლებიც ნდობას იმსახურებენ, იქნებ ამაზე თვალიც დაგვეხუჭა, მაგრამ არა, ესენი ნდობას არ იმსახურებენ. კვირა არ გავა, რომელიმე საჯარო უწყებაში უზარმაზარი პრემიებისა და სახელფასო დანამატების გამოწერის ფაქტები არ გახმაურდეს, იმ დროს, როცა ნახევარი საქართველო შიმშილობს, ჩვენი საჯარო მოხელეები ბიუჯეტს ეხარბებიან და მოსწრებაზე არიან, სამან პოსტებზე არიან, ბიუჯეტის ხარჯზე ცდილობენ, ცხოვრება მოიწყონ და ახერხებენ კიდეც ამას.

თუ ეს კანონი ამოქმედდა, ბიუჯეტის უკონტროლოდ ფლანგვის გარდა, კიდევ ერთ უსიამოვნო მომენტს წავაწყდებით – უსაფრთხოების სამსახური თავის ე.წ. ოდეერებს კარგად შენიღბავს. ისინი, სადაც ჩანერგილები არიან, იმ უწყებაში ავსებენ ქონებრივ დეკლარაციას. არასამთავრობო ორგანიზაციამ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ სწორედ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე განთავსებული ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის შედეგად გამოარკვია, რამდენად ჰქონდათ კავშირი განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის თანამდებობის პირებს ე.წ. „ოდეერის“ საქმიანობასთან. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ გეგუჩაძის 2016 წლის 7 მარტს განთავსებული ქონებრივი დეკლარაციის მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული პიროვნება 2015 წელს იყო „სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს ოფიცრები უშიშროების საკითხებში“ სამმართველოს უფროსი. ამავე 2015 წელს, ზურაბ გეგუჩაძე ასევე გახლდათ სუს-ის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის მეოთხე მთავარი სამმართველოს უფროსი. ახლა, დავუშვათ, ზურაბ გეგუჩაძისთანა „ოდეერებს“ დანიშნავენ ნებისმიერ სახელმწიფო უწყებაში ისეთ თანამდებობაზე, რომელიც ახალი კანონით მას აღარ დაავალდებულებს ქონებრივი დეკლარაციის გასაჯაროებას და შესაბამისად, არასამთავრობო სექტორსა და მედიას ამ მეთოდით „ოდეერების“ გამოვლენის შანსი მოესპობათ. ესეც კიდევ ერთი ანტიდემოკრატიულობის გამოხატულება ამ კანონისა.

„ალიამ“ საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს, ზაქარია ქუცნაშვილს შემდეგი კითხვით მიმართა: ამ კანონის ამოქმედებით, სავარაუდოდ, შეიქმნება პრივილეგირებულ ჩინოვნიკთა კასტა, რომელთა შემოსავლების, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ საზოგადოებას არაფერი ეცოდინება. რატომ ართმევთ ხალხს უფლებას, იცოდნენ ყველა იმ ჩინოვნიკის ქონებრივი მდგომარეობა, რომელიც ხალხისვე ჯიბიდან ფინანსდება? არ თვლით, რომ ცვლილება ბევრ ჩინოვნიკს უკანონო შემოსავლების მიღების სტიმულს გაუჩენს?

ზაქარია ქუცნაშვილი: „ზოგადად, რა თქმა უნდა, თქვენი შეშფოთება არ არის უსაფუძვლო. თუმცა, თუ დათქმას მივაქცევთ ყურადღებას, მანდ ორი რამეა. პირველი, რომ საუბარი ეხება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონის“ თანახმად, საიდუმლო გრიფმინიჭებულ ქონებასა და შემოსავალს. უცხოეთში არსებობს ორი სახის რეზიდენტურა, ერთი ღია და მეორე დახურული. ინფორმაცია ღია რეზიდენტურის შესახებ აქვს ყველა საელჩოს, ვინ არის მივლინებული უსაფრთხოების სამსახურიდან უცხოეთში, არიან ფარული რეზიდენტები. წარმოიდგინეთ ახლა, რომ სახელმწიფომ ამ ფარული რეზიდენტებისთვის შეიძინოს რაიმე ქონება და მათ ჩვენ მოვთხოვოთ, გამოაკრან დეკლარაციის ბიუროში. თუნდაც მათი სამივლინებო ხარჯების გასაჯაროება ავიღოთ, რომელთა ხარჯვა, დეკლარაციაში მითითებულთან, შესაძლოა, ხშირად შეუსაბამო იყოს. რადგან ფარულ ხარჯებთან გვაქვს საქმე. ეს არ იქნება სწორი. ეს კანონი არ შეეხებათ მინისტრებს, დეპუტატებს, გამგებლებს, გუბერნატორებსა და სხვა საჯარო პირებს, რომელთაც მცირედი შეხება აქვთ სახელმწიფო საიდუმლოებასთან. რაც შეეხება მეორეს, ეს არის კანონის ამოქმედების თარიღი. 2017 წლის სექტემბრამდე ჯერ წელიწად-ნახევარია. მოგეხსენებათ, 2017 წლის 1-ლი იანვრიდან უნდა ამოქმედდეს კანონი, რომელიც გააკონტროლებს, რამდენად შესაბამისობაშია თანამდებობის პირების შემოსავალი და მათი ქონება, მათი აქტივები შეესაბამება თუ არა მათ შემოსავლებს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ამ მხრივ, ჩვენ წინ მივიწევთ და არა – უკან ვიხევთ“.

მოდით, მაშინ აქვე ისაც ვთქვათ, რომ ერთია, რა წერია კანონში და მეორეა – სახელმწიფო მოხელეთა დიდ ნაწილს სულ ფეხებზე ჰკიდია, კანონის მოთხოვნები და ვინ გამოიყენებს ამ ცვლილებას ქონების დასამალად, არავინ იცის...

## ბრიუსელის ტერაქტმა 4 წლის ტყუპები დააობლა — ისტორია, რომელმაც მსოფლიო შეძრა



ბრიუსელის ტერაქტებისას დაღუპული პერუელი ადელმა ტაპია რუისის ისტორიამ მსოფლიო შეძრა. მისი ფოტოები გამოცემების პირველ გვერდებზე იბეჭდება. რუისი ოთხი დაღუპულიდან ერთ-ერთია, რომლის იდენტიფიცირებაც ბელგიის ხელისუფლებამ ამ დროისთვის მოახდინა. ადელმა რუისი 37 წლის იყო, წარმოშობით პერუელი, ბელგიაში ოჯახთან ერთად საცხოვრებლად 9 წლის წინათ ჩავიდა. ის ქმარ-შვილთან ერთად ნიუ-იორკში მიფრინავდა.

– მას ორი ქალიშვილი ჰყავდა, ტყუპი გოგონები მორინი და ალონდრა. ისინიც დედასთან ერთად აეროპორტში იმყოფებოდნენ და სააღდგომო არდადეგებზე ნიუ-იორკში ჩვენი დის მოსანახულებლად მიფრინავდნენ. ამ ტერაქტმა სამუდამოდ შეცვალა მათი ცხოვრება, – ამბობს გარდაცვლილის ძმა.

4 წლის ტყუპები და ტაპია რუისის ქმარი სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ. აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე გოგონები მამასთან ერთად ტერაქტის ადგილიდან ოდნავ მოშორებით სათამაშოდ გავიდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ერთ-ერთი გოგონა დაიჭრა.

ოფიციალური მონაცემებით, ბრიუსელის ტერაქტებისას 40 ქვეყნის მოქალაქე დაიღუპა და დაშავდა. (primenewsgeorgia.ge)

## ისრაელის დაზვერვის მინისტრი — ბელგიელები შოკოლადის ჭამას უნდა შეეშვან



ისრაელის დაზვერვის მინისტრი ისრაელ კაცი აცხადებს, რომ, თუ ბელგია გააგრძელებს შოკოლადის ჭამას, დატკბება ცხოვრებით და ამაყად გამართავს ალლუმებს, როგორც დიდი ლიბერალები და დემოკრატები და არ მიაქცევს ყურადღებას იმ მუსლიმანებს, რომლებიც იქ არიან და ტერორისტული აქტების ორგანიზებას ახორციელებენ, მანამდე ამ ბრძოლაში არაფერი გამოუვათ.

ბელგიაში სახელმწიფო გლოვის ფონზე, უსაფრთხოების სამსახურების მიმართ კრიტიკა გრძელდება.

აშშ-ის დაზვერვის ერთ-ერთმა ოფიცერმა ასევე განაცხადა, რომ ბელგიის უსაფრთხოების სამსახურები „ბავშვებივით გულუბრყვილოები“ არიან. (euronews.ge)

## რადოვან კარაჯიჩს საერთაშორისო ტრიბუნალმა 40 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა



საერთაშორისო ტრიბუნალმა ბოსნიელი სერბების ლიდერს რადოვან კარაჯიჩს 1992-1995 წლებში ბოსნიის ომში გენოციდისა და სამხედრო დანაშაულისთვის 40 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიბისი“ ავრცელებს.

სასამართლომ კარაჯიჩი დამნაშავედ ცნო 1995 წელს სრებრენიცაში მუსლიმანების მასობრივი მკვლელობის ორგანიზების საქმეზე, რასაც 7 ათასზე მეტი მამაკაცი ემსხვერპლა.

კარაჯიჩი, ასევე, დამნაშავედ ცნეს მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმებსა და მკვლელობაში ქალაქ სარაევოს ალყის დროს. მთლიანობაში, რადოვან კარაჯიჩი 11 ბრალდებიდან 10-ის მიხედვით დამნაშავედ ცნეს. ის მრავალი წლის განმავლობაში იმალებოდა. მისი დაკავება მხოლოდ 2008 წელს მოხერხდა. (ინტერპრესნიუსი)

## ვანდალიზმი მცხეთაში — ჯვრის მონასტერზე თურქული, არაბული და ლათინური წარწერები გაჩნდა!

მოქალაქე ნინო ანდრიასოვა საკუთარ „ფეისბუკ“-გვერდზე წერს, რომ მცხეთაში, ჯვრის მონასტერზე ვანდალიზმის ფაქტები ნახა – წარწერები თურქულ, არაბულ და ლათინურ ენებზე.

– 23.03.2016 – დღეს ვიყავი სტუმრებთან ერთად ჯვარზე და რა ვნახე – ჯვრის კედლებზე წარწერები თურქულად, არაბულად და როგორც ხედავთ, ლათინურად არის... როგორ შეიძლება ასე???

თუ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, საქმე გვაქვს ძალიან მძიმე დანაშაულთან, რომელიც კონკრეტული კულტურულ-რელიგიური ძეგლის შეურაცხყოფას სცდება და შესაბამისმა სამსახურებმა ყველაფერი უნდა მოიმოქმედონ, რომ ამის ჩამდენები კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯონ და ასევე, შეიმუშაონ პრევენციის მექანიზმი, რათა მომავალში აღარ განმეორდეს მსგავსი ფაქტი საქართველოს ტერიტორიაზე, – წერს ნინო ანდრიასოვა.

როგორც მოგვიანებით კულტურის სამინისტროში განმარტეს, საქმეში ჩაერთო შსს და მოკვლევაც დაიწყო. (zneoba.ge; kvira.ge)

# მძღოლები „სითი პარკს“ სასამართლოში პროცესებს უგებენ



ლაურა აბრამია
591 97-67-09

**„სითი პარკს“ სასამართლო დავა კიდევ ერთმა მოქალაქემ მოუგო. გიორგი კუჭავა 28 იანვარს დაჯარიმდა. ჯარიმა მან უკანონოდ ჩათვალა და იმ დღესვე მერიის სპეციალურ სამსახურში სარჩელი შეიტანა. ორი მოსმენის შემდეგ მოქალაქეს მიუვიდა შეტყობინება, რომ დავა მის სასარგებლოდ გადაწყდა.**

**„ალია“ გიორგი კუჭავას დაუკავშირდა:**

– ყიფშიძის ქუჩაზე მეყენა მანქანა. „სითი პარკის“ მონიშნულ ზოლში არ იყო ადგილი, გადავედი მოპირდაპირე მხარეს, არმისული ნიშნამდე „გაჩერება აკრძალულია“ დაახლოებით 50 მეტრში. მეორე მხარესაც ყოფილა ნიშანი, მაგრამ მე თურქეთის საელჩოს მხრიდან შევედი, საიდანაც ეს ნიშანი არ ჩანს. იქვე არის პატარა ჩიხი, საგზაო მოძრაობის წესების თანახმად, როდესაც ჩიხია ან გზაჯვარედინი, ნიშანი კარგავს მოქმედების ძალას, რაც შეიძლება ბევრმა არ იცის. კანონშიც ასეა – რაც არ არის აკრძალული, ასე ვთქვათ, ნებადართულია. მეც არ ვარღვევდი საგზაო მოძრაობის წესებს და არც სხვა სატრანსპორტო საშუალებებს ვუქმნიდი პრობლემას. იქნებოდა დღის 2 საათი. მართალია, ეს იყო 10-ლარიანი ჯარიმა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ არ მეკუთვნოდა.

**— ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები არიდებენ თავს ამ**



**სახის ჯარიმის გამო ჩივილს და მაინც იხდიან, ეზარებათ სასამართლოში სირბილი... შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები?**

– ეს არ იყო პირველი შემთხვევა, კანონმორჩილი ადამიანი ვარ, რამდენჯერმე გავატარე და გადავიხადე, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მაშინაც უკანონოდ დამაჯარიმეს. მოკლედ, ავდექი და იმავე დღეს ვიჩივლე. პირველი მოსმენა ჩატარდა 23 თებერვალს, მეორე მოსმენა კი – 17 მარტს. „სითი პარკის“ წარმომადგენელი ამტკიცებდა, ის ადგილი ნიშნის მოქმედების არეალიაო. მე წარმოვადგინე ვიდეომასალა, სადაც დეტალურად აღვწერდი და ვასაბუთებდი, რომ ასე არ იყო. პირველ მოსმენაზე „სითი პარკს“ დაევალა, რომ მათაც წარედგინათ კონტრარგუმენტირებული ვიდეომასალა. 17 მარტის მოსმენისას არ ჰქონდათ ეს მასალა და მოვიტანთო, თქვეს, მაგრამ სასამართლოს მხრიდან მიეთითათ, რომ აქამდე უნდა წარედგინათ. მოკლედ, ზუსტად გუშინ (23 მარტს) მომივიდა მერიიდან შეტყობინება, რომ სარჩელი ჩემს სასარგებლოდ დაკმაყოფილდა.

**— ბატონო გია, რომ არ გცოდნოდათ ზედმიწევნით საგზაო მოძრაობის წესები, ალბათ, თქვენს სიმართლეს ვერ დაამტკიცებდით, არა? სამწუხაროდ, ყველამ არ იცის ასე კარგად წესები და კანონები.**

– დიახ, ასეა, თუმცა ის კი არასწორი მიდგომაა, რომ 10 ლარზე ვერ ვიჩივლებო, როცა ამბობენ. მოქალაქეებმა სისტემურად უნდა შეუტიონ „სითი პარკს“. აი, არც ისე დიდი ხნის წინ ერთმა ჩემმა ახლობელმა – მალხაზ შელიამ მოიგო კიდევ ერთი დავა. თავის დროზე „სითი პარკის“ მიერ გადაყვანილი მანქანის 70 ლარი გადაიხადა, მაგრამ წავიდა და იჩივლა. მთელი 7 თვე მიმდინარეობდა დავა და საბოლოოდ ჩემმა ახლობელმა მოიგო. მას უკან დაუბრუნდა გადახდილი თანხა! ასე რომ, მოქალაქეებმა თავად თუ არ ვიბრძოლეთ „სითი პარკის“ წინააღმდეგ, ხომ ხედავთ, უკვე უმართავია სიტუაცია.

**აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ ამ დღეებში „სითი პარკთან“ სასამართლო დავა კიდევ ერთმა მოქალაქემ მოიგო — მამუკა მჭედლიშვილმა, მერიასთან რომ ვერაფერს გახდა, სასამართლოში მერიასაც და „სითი პარკსაც“ ერთდროულად უჩივლა. დაახლოებით 6-თვიანი დავის შემდეგ მან პროცესი მოიგო. აი, რას ყვება ის სააგენტო „ფოსტალიონთან“ საუბრისას:**

– „სითი პარკის“ სადგომებზე პარკირების 6-თვიანი გადასახადი გადახდილი მქონდა, მაგრამ მანქანაზე ჯარიმები მაინც მხვდებოდა. რამდენჯერმე გავაფრთხილე, მივუტანე კიდევაც გადახდის ქვითარი, მაგრამ მაინც გააგრძელეს ჯარიმების გამოწერა. ბოლოს გადამამისამართეს მერიის ტრანსპორტის სამსახურში, სადაც ნაწილობრივ გამიუქმეს ჯარიმები და მხოლოდ 220 ლარი ჩამომაწერეს. ამის შემდეგ მივმართე სასამართლოს, რომელიც 24 მარტს ჩატარდა. მოსამართლე იყო დავით წერეთელი. სასამართლო სხდომაზე „სითი პარკის“ წარმომადგენლები არ მოვიდნენ. ავტომანქანაზე თავიდან ტრანზიტული ნომრები მქონდა და აქედან დაიწყეს ჯარიმების წერა, მაგრამ განბაჟების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ და ახალ ნომრებზეც გააგრძელეს. ჯამში გამოვიდა 490 ლარი, მაგრამ სასამართლომ ეს თანხა მთლიანად გააუქმა. 5-ჯერ მივმართე „სითი პარკს“, წარვუდგინე გადახდის ქვითრები, მაგრამ არც ერთი მიმართვა ყურად არ იღო. მერიამ ნაწილობრივ კი გაითვალისწინა, მაგრამ დანარჩენი თანხის გადახდაც არ მეკუთვნოდა. ვარჩიე, ჩემი სიმართლე სასამართლოში დამემტკიცებინა და მერიასაც და „სითი პარკსაც“ მოვუგე პროცესი. მე ერთადერთი არ ვარ, ვისაც ეს კომპანია უსამართლოდ მოექცა ან ექცევა, მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლია სასამართლოში სირბილი? სადაც გაუვათ, გაუვათ, რა ენაღვლებათ?! მინდა მივმართო მოქალაქეებს, ვისაც ანალოგიური პრობლემა აქვს, აუცილებლად მიმართონ სასამართლოს. 100 პროცენტიდან ასივე 100 პროცენტით მოგებული საქმეა და არ აპატიონ ამ ორგანიზაციას და მერიას მსგავსი უკანონობები.

## მიხეილ სააკაშვილი — სიამოვნებით მექნებოდა გავლენა პროცესებზე



ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში მის საპრეზიდენტო ამბიციებს არ ადასტურებს. გამოცემა „ნოვაია გაზეტასთან“ ინტერვიუში, კითხვაზე – კიევში ბევრს საუბრობენ თქვენს საპრეზიდენტო ამბიციებზე, სააკაშვილი პასუხობს:

– ვინ? ამბიცია რომელ ქვეყანაში? უკრაინაში ეს გამორიცხულია, – აღნიშნა სააკაშვილმა და კითხვაზე, სურს თუ არა პრეზიდენტობა, უპასუხა, რომ – არა.

– უკრაინაში შეუძლებელია, ყველაფერი ერთმა ადამიანმა აკეთოს. აქ სხვა ფსიქოლოგიაა. ეს რუსეთი არ არის და არც საქართველოა. მაგრამ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მექნებოდა გავლენა პროცესებზე, ამ სურვილზე უარს არ ვამბობ, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## დევნილებმა სამინისტროსთან აქცია გამართეს




„დევნილთა პარტიამ“ დევნილებთან ერთად სამინისტროსთან ყვითელი ბარათებით გამაფრთხილებელი აქცია გამართა. დევნილები საცხოვრებელი ფართების დაკანონებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. ამასთანავე, სამინისტროს მათი პრობლემების იგნორირებაშიც ადანაშაულებენ.

აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ პლაკატები: „შეიცვალოს სამარცხვინო კრიტერიუმები“, „ვიწვევთ სუბარს დებატებში“, „ღირსეული საცხოვრებელი პირობები ყველა დევნილს“, „დევნილთა დევნის სამინისტრო“.

როგორც „დევნილთა პარტიის“ თავმჯდომარე ლელა გულედანი აცხადებს, თუ სამინისტრო მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, სამინისტრო უკვე წითელ ბარათს მიიღებს, რასაც პერმანენტული მოჰყვება. ლელა გულედანმა მინისტრი სოზარ სუბარი დებატებში პირდაპირ ეთერში გამოიწვია, რათა სუბარმა საჯაროდ გასცეს პასუხი ყველა იმ პრობლემას, რომლებიც დევნილებს დაუგროვდათ. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## გალის მოლაპარაკებები აღდგება — რა შეთანხმებებს მიაღწია ქართულმა მხარემ ჟენევაში



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ჟენევაში დასრულებულ საერთაშორისო კონსულტაციების მორიგ რაუნდთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. უწყების ინფორმაციით, შეხვედრაზე მიღწეულ იქნა პრინციპული შეთანხმება 4-წლიანი პაუზის შემდეგ გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის აღდგენის თაობაზე:

– 2016 წლის 23 მარტს გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 35-ე რაუნდი. გაიმართა ორი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, სადაც მოლაპარაკებების მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით იყვნენ წარმოდგენილნი.

ხანგრძლივი კონსულტაციებისა და ძალისხმევის შედეგად, მიღწეულ იქნა პრინციპული შეთანხმება, გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის აღდგენის თაობაზე. 4-წლიანი წყვეტის შემდეგ მექანიზმის აღდგენა სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯია ადგილზე სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, რაც ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის ფუნდამენტური უფლებების დაცვას.

ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 36-ე რაუნდი გაიმართება 2016 წლის 14-15 ივნისს, – აღნიშნულია საგარეო უწყების განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## ბელგიის ტერაქტის შედეგად დაშავებული 61 ადამიანის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა



ბრიუსელში განხორციელებულ ტერაქტებს, ბოლო ოფიციალური მონაცემებით, 31 ადამიანი ემსხვერპლა, დაშავებულია დაახლოებით 300-მდე ადამიანი. ბელგიის ჯანდაცვის მინისტრის თქმით, შესაძლოა, ტერაქტის მსხვერპლთა რაოდენობა კიდევ გაიზარდოს, რადგან დაშავებული 61 ადამიანის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ბრიუსელში ანდერლეხტის რაიონში ეჭვმიტანილთა ძებნის ოპერაცია მიმდინარეობს. ოფიციალური ინფორმაციით, ნაპოვნია კომპიუტერი, სადაც აღმოჩენილი მიმოწერა, სავარაუდოდ, იმ პირებს ეკუთვნით, რომლებიც „ისლამურ სახელმწიფოსთან“ არიან კავშირში.

რაც შეეხება უშუალოდ ბრიუსელს, ტერაქტის შემდეგ უპრეცედენტო უსაფრთხოების ზომებია მიღებული და ყველა ქვეყნის საზღვრები, ავია და რკინიგზის მაგისტრალები განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ არის აყვანილი. (ნიუპოსტი)

## ვლადიკავკაზში ანსამბლ „რუსთავის“ კონცერტების გამო ცხინვალში აქციებით იმუქრებიან




საქართველოს სახელმწიფო ანსამბლ „რუსთავისა“ და ანსამბლ „ბანის“ მიერ 25-27 მარტს ვლადიკავკაზში დაგეგმილ კონცერტებს, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში“ აპროტესტებენ. საზოგადოებრივი მოძრაობა „ოსების უმაღლესი საბჭოს“ განცხადებით, ისინი ამ კონცერტის გამართვას ყველანაირი ხერხით შეეწინააღმდეგებიან, რადგან აღნიშნული ანსამბლი 2008 წლის ომის დროს საქართველოს ხელისუფლების მხარდამჭერ კონცერტებს მართავდა.

– მათ, ვინც ომის დროს ახლობლები დაკარგეს, ჭრილობები ჯერაც არ შეხორცებიათ. ეს მკრეხელობაა მათ წინაშე, ვინც დაიღუპა. გარდა ამისა, ჩრდილოეთ ოსეთში გლოვაა. 40 დღეც არ გასულა მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის მეთაური ტამერლან აგუზაროვი გარდაიცვალა. ჯერ ადგილობრივი კულტურის მოღვაწეებიც არ მართავენ კონცერტს და რატომ ვაძლევთ საქართველოს ამის უფლებას? ჩვენ ყველანაირ ზომას მივიღებთ, რომ ეს კონცერტი არ შედგეს.

აქვე დავსძენთ, რომ 21 მარტს თბილისში რუსეთის საელჩოს წინ შედგა მიტინგი ნადეჟდა სავჩენკოს მხარდასაჭერად, რომელიც რუსეთის მოქალაქეების მკვლელობაშია ბრალდებული. ამ აქციაში ერთ-ერთი ქართული ანსამბლიც მონაწილეობდა. ეს ანსამბლები არა მარტო ოსების წინააღმდეგ გამოდიან, არამედ მთელი რუსეთისაც, – ნათქვამია ორგანიზაციის განცხადებაში.

აღნიშნულ საკითხს გამოეხმაურა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვიც. მისი თქმით, „საქართველოს თემა“ „სამხრეთ ოსეთის“ საზოგადოებისთვის მტკივნეულია და ამ საკითხს მეტი ყურადღებით მოპყრობა სჭირდება.

– ნათელია, რომ ქართველი არტისტების მიწვევა ჯდება რუსეთის იმ საერთო სტრატეგიაში, რომლის მიზანსაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების აღდგენა და კავკასიაში რუსეთის გავლენის გაძლიერება წარმოადგენს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანებს, რომლებმაც ქართული ფაშიზმის საშინელებები გადაიტანეს, ჯერ კიდევ არ შეხორცებიათ ჭრილობები და მზად არ არიან ოსეთზე ქართველი ხელოვანების კულტურული დემარშისთვის, თუნდაც მის ჩრდილოეთ ნაწილში, – ნათქვამია თიბილოვის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## რატომ მოატყუა „ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ ღარიბაშვილის დაბრუნებაზე ხალხი?

### ვის და რატომ დასჭირდა აჟიოტაჟის ატეხა?



ნინო სამხარაძე
599 71-14-22



როგორც მოსალოდნელი იყო, ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ ინფორმაციამ მისი ოპონენტები ააწრიალა, გუშინ, მთელი დღის განმავლობაში ჩვენ ვისმენდით უამრავ განცხადებებს.

აღმოჩნდა, რომ პარტია „ქართული ოცნების“ ძირითადი შემადგენლობა პარლამენტში ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების მომხრეა, თუმცა პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ, რომელმაც ირაკლი ღარიბაშვილთან მოლაპარაკებების რაუნდი დააანონსა, „პლასტინკა გადააბრუნა“ და გუშინ განაცხადა, რომ მისი სიტყვები არასწორად იქნა გაგებული, იგი აბსოლუტურად სხვა რამეს გულისხმობდა. ეს ახალგაზრდა, უკვე მერამდენედ უშვებს შეცდომას და აბრალებს ჟურნალისტებს, თითქოს ისინი ვერ იგებენ მის ნათქვამს. ჩემო ირაკლი, ჩამოყალიბდით და შემდგომ ისე აკეთეთ განცხადებები, პრობლემა არის თქვენში და არა, ჟურნალისტებში.

ბევრს ჯერ ისიც არ დავიწყებია, ირაკლი კობახიძემ საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, მამის ტოლა ადამიანებს რომ მიაყენა უაპელაციოდ შეურაცხყოფა და კატეგორიულ ტონში განაცხადა, სპორტსმენები, მსახიობები და რეჟისორები ველარ მოხვდებიან სიაში, მათი ადგილი პარლამენტში არ არისო, რის გამოც მას ბოდიშების მოხდა მოუწია.

სიმართლე უნდა ითქვას და სიმართლე არის ის, რომ ის სპორტსმენები, მსახიობები და რეჟისორები, ავად თუ კარგად, საკუთარ საქმეს აკეთებდნენ, იბრძოდნენ რეჟიმის წინააღმდეგ და მათ მიიღეს ის, რაც ირაკლი კობახიძისგან განსხვავებით, დაიმსახურეს. მისი არსებობის შესახებ ჩვენ მხოლოდ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში შევიტყვეთ და ისიც, რომ ის იყო ნინო ბურჯანაძის პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, გია კობახიძის შვილი, რომელმაც პარტია 2015 წელს იმიტომ დატოვა, რომ მისი შვილი „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი გახდა.

ღარიბაშვილის შესაძლო დაბრუნებაზე, ზოგიერთი ალტყინებული პოლიტიკოსის და ექსპერტისგან განსხვავებით, კატეგორიული და ალბათ, ობიექტური განცხადება გააკეთა გია ხუხაშვილმა: „კაცი იყო პარტიის თავმჯდომარე, თავისი კარიერის პიკზე იყო და რა სტატუსით უნდა დაბრუნდეს? მესმის, რომ პოლიტიკაში ყველაფერი ხდება, მაგრამ სისულელესაც თავისი საზღვარი აქვს... ღარიბაშვილზე წარსულშიც არ ვიყავი დიდი აზრის, მის მომავალსაც ვერ ვხედავ...“

**ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩეველი, პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი „ალიას“ კითხვებს პასუხობს:**

**— ვის დასჭირდა ასეთი ინფორმაციის გავრცელება ყოფილ პრემიერზე, ეს ზონდაჟისთვის ხომ არ იყო გაკეთებული, რომ ხალხის რეაქცია შეემოწმებინათ?**

– აბსოლუტურად ალოგიკური მეჩვენება ირაკლი ღარიბაშვილის „ქართულ ოცნებაში“ რეინტეგრაცია. მე ვფიქრობ, ეს იყო ჭიქაში ატეხილი ქარიშხალი, გარკვეული მიზეზებით, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ბოლო პერიოდში სხვადასხვა მედიასაშუალებებით საკმაოდ სერიოზული შეტევა დაიწყო და კითხვის ნიშნები გაჩნდა ირაკლი ღარიბაშვილის გარემოცვასთან დაკავშირებით. ეს უკავშირდება ფარული ჩანაწერების გავრცელებას. შესაძლოა, ღარიბაშვილს გაუჩნდა ეჭვი, რომ ამ კამპანიასთან „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა რაღაც კავშირი, რაც მის წინააღმდეგ იყო მიმართული. „ოცნებამ“ ამით გააკეთა ტაქტიკური სვლა, რათა დაემტკიცებინა, რომ ამ კამპანიასთან მას კავშირი არ აქვს.

**— ივანიშვილმა თავის დროზე განაცხადა, რომ ირაკლი ღარიბაშვილს აქვს რესურსი, შექმნას დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია და ჩემს რესურსსაც მივახმარო. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა ქვეტექსტი იყო ამ გზავნილში და ისევ იმყოფება თუ არ ღარიბაშვილი ივანიშვილის ორბიტაზე?**

– ივანიშვილის ნათქვამი აღვიქვი ნეგატიურად, ეს იყო ერთგვარი ნიშნისმოგებით ნათქვამი, პოლიტიკაში მოდიან იმისთვის, რომ შემდეგ ხელისუფლებაში აღმოჩნდნენ. ადამიანი იყო სახელისუფლებო ძალის თავმჯდომარე და წავიდა ისე, რომ არც ერთი პრეტენზია და არც ერთი საყვედური არ უთქვამს. სრული აბსურდია, მან შექმნას ალტერნატიული ძალა, ასეთი რამ პოლიტიკაში, როგორც წესი, არ ხდება. მართალია, საქართველოში ყველაფერი დასაშვებია, მაგრამ აბსურდსაც აქვს საზღვარი. მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილმა ღარიბაშვილს ამ განცხადებით მიანიშნა, რომ მის გარემოცვას, რომელსაც იმ პერიოდში გაუჩნდა განსაკუთრებული ამბიციები, უთხრა, თუ ასეთი მაგრები ხართ და საკუთარი პოლიტიკის გატარება შეგიძლიათ, ცდილობთ, დამოუკიდებელი თამაშები აწარმოოთ, მაშინ შექმენით პარტია. დაიწყეთ ნულიდან და რაც გინდათ, ის გააკეთეთ. არ მგონია, რომ ღარიბაშვილისთვის ეს სასიამოვნოდ მოსასმენი ინფორმაცია ყოფილიყო.

**— თქვენ იყავით პირველი, ვინც განაცხადა, რომ ყველა თანამდებობის პირმა უნდა დატოვოს თანამდებობა, თუკი იციან, რომ მათ შესახებ კომპრომატები არსებობს. ვინც არ იცის, რომ მასზე არსებობს კომპრომატები, რა უნდა გააკეთოს?**

– არ მიგულისხმია, ყველამ დატოვოს თანამდებობა, ვისზეც არსებობს მსგავსი კომპრომატი, ვინც მზად არ არის, გაუძლოს ასეთი ტიპის შანტაჟს, მათ ვურჩიე გადადგომა. თანაც ნუ წარმოვიდგენთ ისე, რომ მხოლოდ სექსკომპრომატები აქვთ გადაღებული. ამ ფირებში შეიძლება იყოს კადრები, როგორ მოიხმარენ ნარკოტიკებს, ასევე, ნუ გამორიცხავთ, რომ იქ იყო დანაშაულის ნიშნების შემცველი საუბრები, პოლიტიკური კომბინაციები. ასე რომ, ეს არ არის მარტივი, ხელწამოსაკრავი ამბავი.

**— თქვენი აზრით, თამაზ მეჭიაურის განცხადება, რომ ღარიბაშვილის დაბრუნება ურჩევნია კოალიციის მთელ ფრაქციასაც კი, ხომ არ იყო გამიზნული ხიდაშელის მიმართ, რომელსაც გადადგომისკენ მოუწოდა, რადგან ვიცით, რომ იმ მუქარაში ხიდაშელია მოხსენიებული.**

– ნუ ჩავიციკლებით მარტო „რესპუბლიკურ პარტიასა“ და თინა ხიდაშელზე. მოდით, ასე ვთქვათ, დღეს სახელმწიფოს ინტერესშია კოალიციის დაშლა. საერთოდ, თუ ევროპისკენ მივდივართ, ევროპული სტანდარტები გულისხმობს, რომ ყველა პარტია ცალ-ცალკე უნდა გადიოდეს არჩევნებზე, იღებდეს ხალხის მანდატს და ამ მანდატის საფუძველზე ქმნიდეს კოალიციას. ახლა ყველა უკანა კარიდან შეძრომას ცდილობს და ივანიშვილის რესურსის ხარჯზე პარლამენტში მოსვლას.

**— კოალიცია, ფაქტობრივად, დაშლილია და ამას სჭირდება იურიდიული გაფორმება. თქვენი აზრით, ეს როდის მოხდება?**

– ძალიან მიჭირს „ქართული ოცნების“ ლოგიკით ახსნა, ხშირ შემთხვევაში იქ ლოგიკა არ არის და მეჩვენება, რომ მაზოხისტებივით იქცევიან. „ქართულ ოცნებას“ სხვა პოლიტიკური სუბიექტები რა აქტივს აძლევენ, ჩემთვის გაუგებარია. მე ვფიქრობ, რომ ერთადერთი გამოსავალია, უმრავლესობის დაშლა და თუკი ახლავე დაიწყება, ეს იქნება ძალიან კარგი. „ოცნებას“ შემიძლია, რჩევა მივცე, რომ არჩევნებამდე ექვსი თვით ადრე კოალიცია დაშალონ, მოგეხსენებათ, რომ კონსტიტუციით, არჩევნებამდე ბოლო 6 თვის განმავლობაში კოალიციის დაშლა უკვე რიგგარეშე არჩევნებს აღარ იწვევს, პოლიტიკური კრიზისი აღარ შეიქმნება, როცა დაინიშნება არჩევნები, ეს იქნება 1-ლი თუ 29 ოქტომბერი, ამ დღიდან მოხდეს 6 თვის გადმოთვლა, მოილაპარაკონ და დაშალონ კოალიცია. ყველა პარტია ცალ-ცალკე გავიდეს არჩევნებზე, ეს იქნება ძალიან დემოკრატიული ნაბიჯი და ჩვენ მივიღებთ მულტიპარტიულ პარლამენტს. ჩვენ უნდა ვნახოთ, რომელი პარტია რა ღირს.

„კაცი იყო პარტიის თავმჯდომარე, თავისი კარიერის პიკზე იყო და რა სტატუსით უნდა დაბრუნდეს? მესმის, რომ პოლიტიკაში ყველაფერი ხდება, მაგრამ სისულელესაც თავისი საზღვარი აქვს... ღარიბაშვილზე წარსულშიც არ ვიყავი დიდი აზრის, მის მომავალსაც ვერ ვხედავ...“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ქვეყნის მასშტაბით საპოლიციო კონტროლი გრძელდება



შს მინისტრის ბრძანებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ე.წ. საპოლიციო შემოწმება ხორციელდება.

უწყების პრესსამსახურის განმარტებით, შემოწმება დანაშაულის პრევენციას ისახავს მიზნად.

საპოლიციო შემოწმებები საქართველოში პერიოდულად ტარდება. როდემდე გაგრძელდება აღნიშნული ღონისძიებები, უცნობია. (ნიუპოსტი)

## რუდი ჯულიანი: ჰილარი კლინტონი ISIS-ის დამფუძნებელია



**FoxNews**-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ნიუ-იორკის ყოფილი მერი რუდი ჯულიანი სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. ჯულიანის თქმით, „კლინტონი **ISIS**-ის დამფუძნებელი წევრია, რადგან ის იყო სახელმწიფო მდივანი აშშ-ს ერაყიდან გამოსვლისას და მან ჯარების გამოყვანას, როგორც ადმინისტრაციის წევრმა, შეუწყო ხელი“.

ჯულიანი, რომელიც რესპუბლიკელია, ასევე, აცხადებს, რომ „კლინტონი იმ ადმინისტრაციის წევრი იყო, რომელმაც ერაყი მიატოვა და მის მაშინდელ ლიდერს საშუალება მისცა, ქვეყანა მიწასთან გაესწორებინა. ამან საშუალება მისცა შიიტებს, შესაბამისი არჩევანი გაეკეთებინათ, ხოლო კლინტონმა საჭირო დროს თავი აარიდა სირიაში ჯარების შეყვანას“.

– მან ხელი შეუწყო **ISIS**-ის შექმნას, ის მისი დამფუძნებელი წევრია, – განაცხადა ჯულიანიმ.

გადაცემის წამყვანის შენიშვნაზე, რომ კლინტონს იმ დროს არ ჰქონდა გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება და ერთადერთი, რაც შეეძლო გაეკეთებინა, იყო ის, რომ გადამდგარიყო, ჯულიანიმ უპასუხა „ეს არის ის, რასაც ყველა პატრიოტი გააკეთებდა“. (euronews.ge)

## „ღარიბაშვილს ვხედავ ყველგან, სადაც არის ჩვენი გუნდი“



„ქართული ოცნების“ საარჩევნო სია შეიძლება რადიკალურად შეიცვალოს. ამაზე ღიად პოლიტიკოსები არ საუბრობენ და არც ადასტურებენ ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნებას მათ გუნდში.

ღარიბაშვილის დაბრუნებას, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ეკა ბესელია მიესალმება:

– ირაკლი ღარიბაშვილს ვხედავ ყველგან, სადაც არის ჩვენი გუნდი. ვისურვებდი, რომ ის იყოს ჩვენს გუნდთან ერთად საარჩევნო პროცესში, – განაცხადა ბესელიამ.

გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის დატოვება თამაზ მეჭიაურსაც მოუწევს.

– თუ გუნდს მიაჩნია, რომ მე მისთვის სარგებლობა ვერ მომაქვს და ზარალია ჩემი იქ ყოფნა, რა თქმა უნდა, ამას მე მივიღებ ჩვეულებრივად, – აცხადებს მეჭიაური

როგორც ცნობილი გახდა, „ქართული ოცნების“ ახალ სიაში თამარ ჩუგოშვილს, მირიან გოგიაშვილს, არჩილ თალაკვაძეს, გრეტა წიწავას, რამილა ალიევასაც ვიხილავთ. (ნიუპოსტი)

## ბელგიის შს მინისტრმა პოსტის დატოვება გადაწყვიტა, პრემიერმა მისი გადადგომა არ დააკმაყოფილა

ბრიუსელის ტერაქტების შემდეგ ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა, იან იამბონმა პოსტის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა პრემიერ-მინისტრმა შარლ მიშელმა მისი გადადგომა არ დააკმაყოფილა.

ცნობისთვის – თურქეთის ხელისუფლებამ ბელგიას გასულ წელს ბრიუსელის ტერაქტების ერთ-ერთი შემსრულებელი იბრაჰიმ ბაკრაუი გადასცა და გააფრთხილა, რომ ის საშიში პიროვნება იყო, თუმცა ბრიუსელმა ამ გაფრთხილების იგნორირება მოახდინა. (პირველი რადიო)

## „ტყიდან საძინებლამდე 10-კილომეტრიანი მილი დაგვაპროექტებინა, სუფთა ჟანგბადი უნდა ვისუნთქოო“ — ივანიშვილის გატაცებები



ჟურნალისტ ესმა კუნჭულიას თბილისელი ტაქსის მძღოლი, რომელიც ბაკურიანში ექსპრემიერის სახლის დაპროექტებაში მონაწილეობდა, საინტერესო ამბებს უყვება:

– ხის გაგრძელება... (აი, საიდან დაწყებულა) ტაქსის მძღოლი ნაღდი დიპლომიანი შემხვდა... დინჯი, განათლებული, მეორე დიპლომი არ უხსენებია... საცობმა გვაცალა და ყველაფერზე მოვასწარით საუბარი, ლარზე, დოლარზე, ტერორზე, ანტიტერორზე, კულინარიაზე და ხეზეც.

ეგ რა არისო: ბაკურიანში სახლს რომ ვუშენებდითო, ინჟინრების დიდი გუნდი მიგვიყვანა და ტყიდან საძინებლამდე 10-კილომეტრიანი მილის გაყვანა დაგვაპროექტებინაო – ულრანი ტყიდან სუფთა ჟანგბადი უნდა ვისუნთქოო...

უკვე ვიწყებდით სამუშაოებსო, როცა ვიღაცამ „გადაგვარჩინაო“, ეჭვის ჭია გაუღვიძესო: ამ 10-კილომეტრიან მილს ვინ დაიცავს, ხომ შეიძლება რომელიმე მონაკვეთზე თქვენმა მტერმა გახვრიტოს და შხამიანი გაზი შემოგიშვათო...

მე ვერის „ანტრესთან“ ჩამოვედი, ყავა არ შემერგო, გამიცივდა, დაკრეჭილი ვიცინოდი...

**P.S.** მომატყუა ვითომ? რაში დასჭირდებოდა? თუმცა ზღვის ზედაპირზე ტაატით მონარნარე ტიტახეები თვალით რომ არ დაგვენახა და ტაქსის მძღოლს მოეყოლა, ხომ არ დავუჯერებდით? გარდა ამისა, მისია ფული და რომელ მილსაც უნდა, იმას შეიყვანს საძინებელში... – წერს ესმა კუნჭულია. (ნიუპოსტი)



მარიკა არღვლიანი
551 81-55-88

# რუსეთში მათხოვრობა კანონით დასჯადი ხდება, რა იგეგმება, ამ მხრივ, საქართველოში?







მოსკოვის შსს-ს მთავარმა განყოფილებამ მოსკოვის საქალაქო დუმასა და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში კანონპროექტი შეიტანა, რომლის თანახმადაც, ის ადამიანები, რომლებიც მოსკოვის ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში იმათხოვრებენ, სოლიდური თანხით დაჯარიმდებიან. კერძოდ, ჯარიმის ოდენობა 1000-დან 5000 რუბლამდე მერყეობს, რაც დაახლოებით 15 და 70 დოლარია შესაბამისად, ხოლო გაცილებით მეტი თანხა – 500 000 რუბლია გათვალისწინებული ე.წ. მათხოვრების ქსელის მეთვალყურეებისთვის.

ფაქტია, მოწყალების მთხოვნელთა სიმრავლე საქართველოსაც აწუხებს. მით უმეტეს, რომ მათი რიცხვი ბოლო წლებში საკმაოზე მეტად გაიზარდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათი უმეტესობა ქართველი არ არის და შეიძლება შეხვდეთ, ვთქვათ, პაკისტანელ ან ბანგლადეშელ ადამიანებს, რომლებსაც თუ ხურდას არ მისცემ, შეიძლება შეგაფურთხონ კიდეც.

დავინტერესდით, რამ გამოიწვია ამ ადამიანების ასეთი ტემპებით ზრდა საქართველოში და ზოგადად, თუ იგეგმება რაიმე სიტუაციის გამოსასწორებლად?

**„ალია“ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თემურ მაისურაძეს ესაუბრა:**

– ეს ძალიან რთული საკითხია და კვლევები სჭირდება. ერთ-ერთი ფაქტორია ის, რომ ეს ხალხი შემოდიოდა საზღვარგარეთიდან, აქ რჩებოდნენ და ხდებოდნენ ყოველგვარი აღრიცხვის გარეთ. ფაქტი იყო ის, რომ ძალიან ბევრი ადამიანი საქართველოში აგზავნიდა შვილებს, მათ შორის შეძლებული ოჯახებიც, რომ ისინი სამხედრო სავალდებულო სამსახურისთვის აერიდებინათ. ეს ხალხი აქ ბინებს ქირაობდა, ცხოვრობდა და ასე შემდეგ. ამასთანავე, საქართველოში შემოდიოდნენ ადამიანები, რომლებიც ამჟამად აქ არალეგალებად იმყოფებიან და სახელმწიფოს აღრიცხული არ ჰყავს.

**— არ გააჩნიათ არანაირი დოკუმენტაცია, რომელიც მათ მოქალაქეობას დაამტკიცებს?**

– წინა ხელისუფლების პირობებში საქართველოში თავისუფალი იყო შემოსვლა და ისინი შემოვიდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან. შემოსვლისას ყველას ექნებოდა პასპორტი, შემოსვლის შემდეგ კი, ალბათ, კარგავს ან მალავს დოკუმენტებს გამიზნულად და მერე კი ძალიან ძნელია, დაადგინო, ვინ არის, რა წარმოშობის, საიდან და ამ დროს იძულებული ხდები, ან შენს ქვეყანაში მისცე მოქალაქეობა, ან მისცე უფლება, არალეგალურად იცხოვროს ყოველგვარი კანონის გარეშე. რა თქმა უნდა, ასეთი ცხოვრება ზოგისთვის მისაღებია, ზოგისთვის – არა. მაგალითად, ბოშებისთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს რომ არ ჰქონდეთ პირადი ნომრები.

**— დაახლოებით რამდენი ასეთი არალეგალი იმყოფება საქართველოში? თუ ჰყავს აღრიცხული სახელმწიფოს ან თუ აპირებს, აღრიცხოს?**

– ამის აღრიცხვა ძალიან ძნელია. საქართველოში მოსახლეობის ბოლო აღწერის შემდეგ 700 000-ით ნაკლები მოქალაქე ცხოვრობს აქ, ვიდრე ცხოვრობდა წინა აღწერის დროს, მაგრამ არავინ აკონტროლებს იმას, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პიროვნებები, ვინც საქართველოში შემოვიდა, წავიდა თუ არა უკან. მაგალითად, ჩამოვიდა ერთ-ერთი პიროვნება საქართველოში და დაკარგა საბუთები – მას აწყობს, რომ დაკარგოს ყველანაირი დოკუმენტი, რაც მისი პიროვნების გამოაშკარავებაში დაეხმარება სახელმწიფოს და ის ამბობს, რომ აქ ცხოვრობს დიდი ხანია. ასეთი ბევრი ცხოვრობს ჩვენთან, ვისაც არანაირი საბუთი არ აქვს და ვერ უმტკიცებ, რომ ის საზღვარგარეთიდან არის შემოსული. ასე რომ, ის რჩება ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია ყოველგვარი პირადი მონაცემების გარეშე ცხოვრება.

**— ანუ შეუძლებელია, სახელმწიფომ აღრიცხოს მათი რაოდენობა, დაადგინოს, რომელი სახელმწიფოდან არიან შემოსულები და მოახდინოს მათი დეპორტაცია?**

– შეუძლებელია, იმიტომ, რომ საქართველოში რეალურადაც ცხოვრობენ ბოშები, რომლებიც სოციალურ სისტემაზე ამბობენ უარს. ადამიანები, რომლებიც არ ითხოვენ და არც სჭირდებათ არც დაბადების, არც პირადობის და არც რაიმე სახის მოწმობა. ანუ ესენი არიან ადამიანთა ის კატეგორია, რომლებიც ისედაც არ იყვნენ აღრიცხულნი. ამას კიდევ დაემატნენ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ ინფორმაცია, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა, საქართველო, სადაც შეგიძლია ცხოვრება ისე, რომ არ იყო სოციალურად აღრიცხული.

**— ბატონო თემურ, მათი ქმედებები დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. მაგალითად, ისინი ქირაობენ ბავშვებს, შემდეგ აძინებენ და დაატარებენ ქუჩა-ქუჩა და ვაგონ-ვაგონ... სიცივეში ტოვებენ პატარებს — ხშირად შიშვლებს, რომ მეტი ფული მისცეს ხალხმა. მათ არავინ სჯით ამ ქმედებებისთვის.**

– არ არის მოქალაქე და ვერც დასჯი... საქართველოს კანონი რას ამბობს? ამბობს იმას, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, დაიცვას თავისი ქვეყნის კანონი. ის კი არ არის მოქალაქე, პირადობა არ აქვს და არაფერი...

**— ანუ რაც უნდა დამიშაოს, გამოდის, პასუხს ვერ მოვთხოვ?! ხშირია შემთხვევა, თუ ფული არ მიეცი, შესაძლოა, უკაცრავად და, შეგაფურთხონ, ან მოგეხვიონ ფეხზე და არ გაგიშვან, ან დაგწყევლონ და რაიმე გესროლონ. ბევრი წვრილმანი ქურდია და ისინი დანაშაულს მეტწილად ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიაზე სჩადიან...**

– ასეთი სიტუაცია, ფეხზე რომ შემომეხვივნენ პირადად ვნახე თურქეთში, მთელი მსოფლიო მოვლილი მქონდა და ასეთი პრეცედენტი მხოლოდ იქ ვნახე და არ არის გამორიცხული, სოციალურად აღურიცხავ ამ ადამიანებს მიეცათ შესაძლებლობა და გადმოვიდნენ საქართველოში. სააკაშვილისდროინდელმა ე.წ. ვიზალიბერალიზაციამ, რომ თითქოს ძალიან ბევრი ტურისტი შემოდიოდა საქართველოში, აი, ასეთი უარყოფითი შედეგი გამოიწვია.

**— ანუ საქართველოში შემოსული თითოეული ადამიანი აღირიცხებოდა, როგორც ტურისტი და არა როგორც ადამიანი, რომელიც აქ არალეგალი ხდებოდა და ისევ საქართველოს მოქალაქეებისგან ითხოვდა მოწყალებას?**

– სამწუხაროდ, ყველა უცხოელი, ვინც საქართველოში შემოდის, აღირიცხება, როგორც ტურისტი.

**— ბატონო თემურ, მოსკოვის შსს-ს მთავარმა განყოფილებამ შეიტანა კანონპროექტი მოსკოვის საქალაქო დუმაში, რომლის თანახმადაც, ქუჩებში მოწყალების მთხოვნელები სოლიდური თანხით დაჯარიმდებიან...**

– ის იმიტომ მათხოვრობს, რომ კაპიკი არ აქვს და რომ დავაჯარიმებთ, ვთქვათ, ჩვენ, საიდან გადაიხდის?

**— ბევრისთვის რომ მათხოვრობა ბიზნესია? ნუ, ვთქვათ, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობა დაევალოთ.**

– კარგი, ვთქვათ, ჯარიმის ღირებულების იძულებითი სამუშაო შეასრულა, მერე რაღას იზამს? წავა და ისევ მოწყალების თხოვნას დაიწყებს. ეს არის ადამიანი, რომელსაც არ ეშინია მსგავსი კანონების, სოციალურად არ ეშინია ასეთი ჯარიმების, რადგან არ აქვს თუნდაც პირადი ნომერი. ასეთი დაჯარიმების ეშინია ადამიანს, რომელსაც აქვს რაიმე სახის შემოსავალი, ამ ჯარიმით უფუჭდება საბანკო საქმე და ასე შემდეგ... მათ კი ეს ყველაფერი არ ადარდებთ, რადგან სოციალურად აღურიცხავები არიან და არ გააჩნიათ არანაირი საბუთი. ამდენად, ჯარიმა რომც დავაწესოთ, ამით რა?!

**— რა და ის, რომ იქნებ შეეშინდეთ მაინც და აღარ იყოს მოწყალების ამდენი მთხოვნელი. ბოლოს და ბოლოს, რა გამოდის, სახელმწიფო ამ საკითხთან მიმართებაში უძლურია?**

–¬სახელმწიფომ ეს ადამიანები უნდა დააყენოს სოციალურ აღრიცხვაზე, ან უნდა გაუკეთოს დეპორტაცია, მაგრამ სად გაუკეთებს ასეთ ადამიანებს დეპორტაციას, როდესაც არ ვიცით, საიდან არიან ისინი წარმოშობით?

**— გამოსავალი არსებობს ამ პრობლემისგან თავის დასაღწევად?**

– ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ მოხდეს ამ ადამიანთა სოციალიზაცია, ხოლო სხვა მსგავსი პიროვნებებისთვის შეიზღუდოს შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე. ასეა, სააკაშვილის ვიზალიბერალიზაციის თავისუფალმა რეჟიმმა, სამწუხაროდ, ეს დაგვიტოვა.

## სულ ვამბობდი, რომ ქადაგიძე არის საფრთხე — თამაზ მეჭიაური



თამაზ მეჭიაური საქართველოს პრეზიდენტს, ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტსა და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში ადანაშაულებს.

– სულ ვამბობდი ამას, რომ ქადაგიძე არის საფრთხე და მისი ყოფნა ხელს უშლის ლარის გამყარებას. წავიდა და დაემთხვა, ხო? ქადაგიძის აზრს ემთხვეოდა პრეზიდენტის ვეტო. მერე ეს გადავლახეთ, ახლა საკონსტიტუციო სასამართლომ გაგვიუქმა. რატომ არ დასვით საკითხი იმაზე, რომ ესენი რაღაც საეჭვოდ ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებს იღებენ სინქრონში, – განაცხადა თამაზ მეჭიაურმა. (ნიუპოსტი)

## ნადირაშვილი: არ მგონია, რომ ჰაკიმ ფაშას შეეშინდება და ახალ ვიდეოს აღარ ატვირთავს



ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ინიციატივას უმცირესობის წევრი ირმა ნადირაშვილი გამოეხმაურა. დეპუტატი მიიჩნევს, რომ მხოლოდ კანონის გამკაცრება გამოსავალი ვერ იქნება.

– ჩვენ გვაქვს დღეს რეალობა, რომ ყველა წითელი ზღვარი გადალახულია და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია შეიძლება მოხვდეს ინტერნეტსივრცეში. კანონის გამკაცრება ამას ვერ უშველის, იმიტომ, რომ არსებული კანონმდებლობითაც კი არავინ დასჯილა დღემდე. მე მაინტერესებს, ცხრა წლით ვის ჩასვამენ ციხეში, ჩოკუტაევს თუ ჰაკიმ ფაშას. დღემდე არც ერთ რეალურ ადამიანზე, ვინც ეს კადრები გაავრცელა, საზოგადოებამ არაფერი არ იცის, ამიტომ ეს კანონის გამკაცრებაც არის ფარსი, იმიტომ, რომ არ მგონია, რომ ჰაკიმ ფაშას შეეშინდება და ახალ ვიდეოს აღარ ატვირთავს, – განაცხადა ნადირაშვილმა.

პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე პასუხისმგებლობა მკაცრდება, ინიციატივა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა მოამზადა. ეკა ბესელიას განცხადებით, პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის ფაქტი მძიმე კატეგორიის დანაშაული ხდება. (news.ge)

## რუსეთი ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გააქტიურებით შეშფოთებულია — რუსეთის საგარეო უწყება



რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ჟენევის დისკუსიების მორიგ რაუნდთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

რუსეთის საგარეო უწყების განცხადებით, ჟენევის დისკუსიებზე რუსეთის, ასევე, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთისა და დე ფაქტო აფხაზეთის წარმომადგენლებმა, საქართველო-ნატოს შორის თანამშრომლობის გააქტიურების გამო შეშფოთება გამოთქვეს.

– თბილისის მხრიდან ორივე დამოუკიდებელი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული პრეტენზიების გათვალისწინებით, ქართული არმიის პოტენციალის გაძლიერება და ნატო-საქართველოს ერთობლივი სამხედრო წვრთნების ზრდა, სოხუმსა და ცხინვალში საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს, ასევე, საფრთხეს უქმნის კავკასიაში ვითარების სტაბილიზაციისკენ მიმართულ ძალისხმევას. ამავდროულად, სამხრეთ ოსეთმა შეშფოთება გამოთქვა საქართველოში, პანკისის ხეობის რაიონში „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტების მომზადების შესახებ არსებული ინფორმაციის გამო, – ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ შეხვედრა კონსტრუქციულ სამუშაო გარემოში გაიმართა.

– სოხუმს, თბილისსა და ცხინვალს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი გახდა 10 მარტს პატიმრების სამმხრივი გაცვლა. ამავდროულად, მოსკოვში შეშფოთებულები არიან საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე პროვოკაციების გაგრძელების გამო. კონკრეტულად, გამაფრთხილებელი საინფორმაციო ნიშნების დაზიანების, ასევე, საქართველოს მოქალაქეებისა და ევროკავშირის მისიის დამკვირვებლების სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არასანქცირებული შეღწევის გამო, – ნათქვამია განცხადებაში.

ჟენევის მოლაპარაკებების რაუნდი საქართველოს, რუსეთის, აშშ-ს, გაეროს, ეუთოს, ევროკავშირისა და დე ფაქტო რესპუბლიკების წარმომადგენლების მონაწილეობით, ჟენევაში 22-23 მარტს გაიმართა. (ნიუპოსტი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, შალვა ხუციშვილმა პარლამენტის საკომიტეტო სხდომაზე მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაციის აკრძალვის სავარაუდო თარიღად 2017 წლის 1-ელ იანვარს ასახელებს.

რაც შეეხება მთავრობის საკანონმდებლო პაკეტის კიდევ ერთ სიახლეს, რომელიც მართვის მოწმობებზე 100-ქულიანი სისტემის დაწესებასა და ჯარიმების დაგროვების შედეგად, ქულების განულების შემთხვევაში, მართვის მოწმობის გაუქმებას ითვალისწინებს, ხუციშვილმა განმარტა, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები, რომ მართვის მოწმობის გაუქმების ნაცვლად, მოხდეს მისი გარკვეული ვადით ჩამორთმევა, ხოლო თუკი მძღოლს ჩამორთმეული მოწმობის ვადაზე ადრე დაბრუნების სურვილი ექნება, ის გამოცდას ჩააბარებს.

რა კითხვები ჰქონდათ არასამთავრობო ორგანიზაციებს კანონპროექტთან დაკავშირებით? რა კითხვებს ვერ უპასუხა მინისტრის მოადგილემ? რა ხდება რეალურად, ვისი და რა ინტერესები ტარდება აღნიშნული კანონპროექტის გატანით?

**„ალიას“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკო ტრანსპორტ ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორი, ვასო ურუშაძე ესაუბრა:**

– ხუციშვილის განცხადებით, მარჯვენასაჭიანების აკრძალვა გადავადდება 2016 წლის ბოლომდე. ის ამბობს, რომ ეს მოხდა ბიზნესსექტორთან შეთანხმებით და მათი ინტერესების გათვალისწინებით, რაც არის ტყუილი და ამაში ბატონი ხუციშვილი ამხილეს კიდეც ბიზნესმენებმა. მათ ჰქონდათ შეხვედრა, მაგრამ ვადებზე არანაირი შეთანხმება არ შემდგარა. ავტოიმპორტიორები ითხოვდნენ, რომ მინიმალური ვადა, ორი წელი მაინც მიეცათ მათთვის, რეალურად კი მიიღეს, რამდენიმე თვე.

სამინისტროს მოტივაცია არის ის, რომ ეს გადავადება ახალი წლის დასაწყისამდე მოხდა, იმიტომ, რომ ამით ბიზნესსექტორის ინტერესები გაითვალისწინეს, რაც არის ტყუილი, რეალურად, რის გამოც შს სამინისტრომ უკან დაიხია, არის ის, რომ შეეშინდათ მოახლოებული არჩევნების. დაინახეს საზოგადოების დიდი საპროტესტო ტალღა, ვისზეც ეს ინიციატივა უარყოფითად აისახებოდა, დისკუსია გაიმართა პარტიის წევრებს შორის, პოლიტიკურ დონეზე, რამდენად წამგებიანი იქნებოდა ამ ინიციატივის დაკანონება მათთვის.

**— რა კითხვები გქონდათ არასამთავრობოებს ხუციშვილთან და თუ იყო საკითხები, რასაც ვერ უპასუხა?**

– რამდენიმე კითხვა გვქონდა მინისტრის მოადგილესთან. როცა რაღაც სიახლე შემოდის, ეს ხომ უნდა იყოს გამოწვეული რაიმე საერთაშორისო ვალდებულებებით. ჩვენ გვქონდა კითხვა მინისტრის მოადგილესთან – რამდენ საერთაშორისო კონვენციას ვართ მიერთებული მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და რომელიმე კონვენციაში თუ არის საუბარი საჭის მდებარეობაზე. მინისტრის მოადგილემ თქვა, რომ შეზღუდვა არ იმოქმედებს სპორტულ მანქანებზე და იმ ტიპის ავტომობილებზე, რომელიც ტურისტულ ბიზნესში გამოიყენებაო. როდესაც საუბრობენ, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილი არის საფრთხის შემცველი, მაშინ, ტურისტულ და სპორტულ მანქანებზე რატომ არის ეს გამონაკლისი დაშვებული? ურთიერთგამომრიცხავი რამეებია.

ასევე, დავინტერესდით, ჰქონდათ თუ არა ჩატარებული რაიმე სახის კვლევა, სადაც გამოკვეთილი იქნებოდა მარჯვენასაჭიანების უარყოფითი ტექნიკური მახასიათებლები და მეოთხე, – როცა მთავრობის სხდომებზე, პრემიერ-მინისტრებმა, ჯერ ღარიბაშვილმა და შემდეგში კვირიკაშვილმა განაცხადეს, რომ მარჯვენასაჭიანები საცობების წარმოქმნაში, ეკოლოგიურ დაბინძურებაში და მოძრაობის დროს საფრთხის შექმნაში ასრულებდნენ დიდ როლს, რას და ვის ინფორმაციას ეყრდნობოდნენ, იყო თუ არა შს სამინისტრო მათთვის ამ ინფორმაციის მიმწოდებელი. ასევე, გვაინტერესებდა, მაშინ, როცა ეს კანონპროექტი დაანონსდა, მას მერე თუ ჰქონდათ შეხვედრა ავტოდილერებთან, არ ვგულისხმობ ავტოიმპორტიორებს და თუ მოიკვლიეს, რა ზარალი ნახეს მათ.

პასუხებს რაც შეეხება – მინისტრის მოადგილეს არ ჰქონდა ინფორმაცია კონვენციებთან დაკავშირებით. ხუციშვილმა, ასევე, თავი აარიდა კითხვას, ვინ მიაწოდა ინფორმაცია ყოფილ და ამჟამინდელ პრემიერ-მინისტრებს, რითაც მოხდა მარჯვენასაჭიანი ავტომობილების დისკრედიტაცია. მაშინ, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ვსხედვართ და განვიხილავთ ამ საკითხს, ძალიან ბევრმა ადამიანმა, რომლებიც ამ სექტორში არიან დასაქმებულები, უზარმაზარი ზარალი ნახეს, საუბარია, საშუალოდ, 16 500 ადამიანზე და ეს მოხდა ერთი საჯარო განცხადების შედეგად. შესაბამისად, ჩვენ, ვაპირებთ, ავტოდილერებთან ერთად, ერთობლივი სარჩელით, საქმე აღვძრათ ყოფილი და მოქმედი პრემიერ-მინისტრების მიმართ, იმიტომ, რომ მათ გადააჭარბეს თავიანთ უფლებამოსილებას, ანტიპიარით დააზარალეს და გააკოტრეს ბიზნესჯგუფები. მინისტრის მოადგილე ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, როდესაც ბინზესსექტორის წარმომადგენლებმა ღიად უთხრეს, რომ მათთან შეხვედრა შედგა, მაგრამ შეთანხმებისთვის არ მიუღწევიათ.

# შს მინისტრის მოადგილე ავტოდილერებმა ტყუილში ამხილეს

## ექსპრემიერ ღარიბაშვილის და პრემიერ კვირიკაშვილის წინააღმდეგ ავტოდილერებს სარჩელები შეაქვთ





**— შეხვედრაზე რა გამოიკვეთა, რეალურად ვისი ინტერესები ტარდება ამ ცვლილებების დაკანონებით, მარტო საცობების მოხსნაა მიზეზი?**

– ფაქტი ერთია, ამ ყველაფრის ინიციატორი არაა მინისტრის მოადგილე. ის, უბრალოდ, პარლამენტში ამბის მიმტანია. ამ ყველაფრის ინიციატორები არიან ბევრად უფრო მაღლა მდგომი ადამიანები. მსგავსი მცდელობა შევარდნაძის დროსაც ჰქონდათ, შემდეგ, იგივე მცდელობა ჰქონდათ სააკაშვილის დროს, ორივე შემთხვევაში ხელისუფლებასთან დაახლოებული გარკვეული პირების ბიზნესინტერესები იკვეთებოდა. მაშინ ეს ვერ მოხდა და ახლა არის დიდი საფუძველი, ვიფიქროთ, რომ აქ არა მოძრაობის უსაფრთხოება, არამედ ბიზნესინტერესებია. დღესაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ყველაფრის უკან დგანან ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენები და ამიტომაც ცდილობს ხელისუფლება, ლობირება გაუწიოს ამ საკითხს.

ერთადერთი, რაშიც მინისტრის მოადგილეს დავეთანხმეთ, იყო ის, რომ, რა უნდა ვქნათ მაშინ, როცა მარჯვენა და მარცხენასაჭიანების რიცხვი ერთმანეთს გაუთანაბრდება. რა უნდა ვქნათ და კი არ უნდა ავკრძალოთ მარჯვენასაჭიანები, არამედ უნდა წავახალისოთ მარცხენასაჭიანები, უნდა გავაიაფოთ მასთან დაკავშირებული საკითხები.

> **„მსგავსი მცდელობა შევარდნაძის დროსაც ჰქონდათ, შემდეგ, იგივე მცდელობა ჰქონდათ სააკაშვილის დროს, ორივე შემთხვევაში ხელისუფლებასთან დაახლოებული გარკვეული პირების ბიზნესინტერესები იკვეთებოდა. მაშინ ეს ვერ მოხდა და ახლა არის დიდი საფუძველი, ვიფიქროთ, რომ აქ არა მოძრაობის უსაფრთხოება, არამედ ბიზნესინტერესებია“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი — ლიბიიდან ევროპაში შემოსვლას 800 000 ლტოლვილი ცდილობს



საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი ჟან-ივ დე დრიანი ფრანგულ რადიოსთან საუბარში აცხადებს, რომ ევროპაში შესვლას ლიბიის ასეულ ათასობით მაცხოვრებელი აპირებს. მისი თქმით, ლიბიის ირგვლივ ყველა სხვა მიმართულება მათთვის რისკიანი და სახიფათოა, რჩება ერთადერთი ევროპა, სადაც მეტ-ნაკლებად მიახლოებითი დათვლით საზღვრების გადაკვეთას 800 000 ადამიანი აპირებს.

2015 წელს ევროპაში მილიონზე მეტი მიგრანტი შევიდა, რომელთაგან უმრავლესობა გერმანიამ შეიფარა. 130 00 მიგრანტზე მეტი 2016 წლის პირველ 3 თვეში დაფიქსირდა. (euronews.ge)

## ახალგაზრდების ბიზნესინიციატივების დაფინანსების ინსტიტუტი, სავარაუდოდ, ერთ თვეში ამოქმედდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ტექნოლოგიურ პარკში, პროფესიული განათლების რეფორმის გეგმა წარადგინა. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, პროფესიულ განათლებაში გატარდება რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს დამსაქმებლის ჩართულობით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებასა და შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიების გამოკვეთას.– რეფორმის შედეგად, დასაქმების ეფექტი იქნება დაქირავებულ ადამიანად ჩამოყალიბება, ანუ სწავლის პროცესში სტუდენტებს ექნებათ ურთიერთობა პოტენციურ დამსაქმებლებთან და ასევე, იარსებებს შემდგომი დასაქმების პერსპექტივა. ეს სტუდენტებს, სამეწარმეო სულისკვეთების განვითარებასა და ინიციატივიანი ადამიანებისთვის საკუთარი ინიციატივის წამოწყების საშუალებას მისცემს. ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს და მომზადებულია დასაწყებად ინიციატივა სტარტაპის დაფინანსების საფინანსო ინსტიტუტის შექმნის თაობაზე. ეს იქნება საპარტნიორო ფონდთან ერთად არსებული სპეციალური ფონდი, რომელიც იქნება ახალგაზრდების ბიზნესინიციატივებზე ორიენტირებული, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ საშუალება, ჩვეულებრივი საბანკო პროცედურებისგან განსხვავებით, როდესაც საჭიროა, ასაღები თანხის და კიდევ უფრო მეტი რაოდენობის მიტანა, ყველანაირი უზრუნველყოფის გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესინიციატივის სიცოცხლის უზრუნველყოფის შეფასების საფუძველზე მიიღონ დაფინანსება და განახორციელონ საკუთარი ბიზნესინიციატივები, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

პრემიერის თქმით, საჯარო-კერძო პარტნიორობა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება არა მარტო კურსდამთავრებულთა დასაქმებას შეუწყობს ხელს, არამედ მეწარმეობის განვითარებასაც. (pia.ge)

## „ონლაინსესხების მიმართულებით, რეგულაცია უნდა არსებობდეს“

ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ფიქრობს, რომ ონლაინსესხების მიმართულებით, რეგულაციები უნდა არსებობდეს.

დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, ამ მიმართულებით ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს და საზოგადოება უახლოეს მომავალში რეგულაციებს იხილავს.

– ვთვლი, რომ ონლაინსესხების მიმართულებით რეგულირება უნდა არსებობდეს. თუ ჩვენ ვსაუბრობთ სესხებზე, ეს არის ერთმნიშვნელოვნად ეროვნული ბანკის პრეროგატივა და მან უნდა გააკეთოს ეს. ჩემი მონაცემებით, მათი ხედვა ჩემს ხედვებს ემთხვევა, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა. (pia.ge)

## ლესინი შესაძლოა, ცოცხალია და ის პუტინის წინააღმდეგ ამერიკელებს ჩვენებას აძლევს

რუსეთის პრესის, ტელერადიომაუწყებლობისა და კომუნიკაციების ყოფილი მინისტრი და „გაზპრომ-მედია“ ჰოლდინგის ყოფილი ხელმძღვანელი, ვლადიმერ პუტინის ყოფილი მრჩეველი მიხაილ ლესინი, ერთ-ერთი ვერსიით, შესაძლოა, ცოცხალი იყოს და პუტინის წინააღმდეგ ჩვენებას აძლევდეს.

მიხეილ ლესინის გამოცხადებული მკვლელობა, რომელიც ოფიციალური ინფორმაციით, შტატებში, ერთ-ერთ სასტუმროში მკვდარი იპოვეს, კვლავ გამოცანად რჩება. არსებობს ვერსია, რომ მისი მკვლელობა პუტინის დაკვეთით მოხდა, თუმცა ვრცელდება ახალი ვერსიები, რომლის მიხედვითაც ლესინი შესაძლოა, ცოცხალია და ის ამერიკულ დაზვერვას პუტინის კორუფციული სქემებისა და ფინანსების შესახებ ჩვენებას აძლევს მის წინააღმდეგ ყველა ბრალდების მოხსნის საფასურად. ყველა ანალიტიკოსი თანხმდება იმაზე, რომ პუტინის ყოფილი მრჩევლის აშშ-ის დედაქალაქში ჩასვლა ძალიან ჰგავს რუსეთიდან გაქცევას. ის მოულოდნელად გაემგზავრა მოსკოვიდან, რაც ძალიან საეჭვოდ მიიჩნევა. ერთ-ერთი მთავარი ვერსიის მიხედვით, ლესინი, რომელიც აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს გამოძიების ობიექტი იყო, გეგმავდა ჩვენების მიცემას რუსეთში არსებული კორუფციისა და პუტინის ანგარიშების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაკარგავდა აქტივებს, რომელიც მას ჰქონდა დასავლეთში და ამისთვის ის მოკლეს.

სტრატფორის ანალიტიკოსის, ლორენ გუდრიჩის აზრით, სინამდვილეში ლესინი ცოცხალია და ინფორმაციის სანაცვლოდ ის ჩართეს მოწმეების დაცვის ამერიკულ პროგრამაში, რაც ითვალისწინებს სახელისა და დოკუმენტების შეცვლას. (ნიუპოსტი)

ანა დოლიძე
592 112 109

— მილიონი რომ მოიგო, რაში დახარჯავ?!

— „ვივუსის“ სესხს გავისტუმრებ.

— დანარჩენს?

— დანარჩენს მერე გავისტუმრებ...



### უკმაყოფილო მომხმარებლები

# „450 ლარში 1100 ლარს ითხოვს „ვივუსი“ ერთ თვეში, ნორმალურია?!“

## უკმაყოფილო მომხმარებლები „ვივუსის“ შესახებ

ვივუს.GE — ფული თანამედროვე ხალხისთვის

ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოსახლეობის უმრავლესობას ონლაინ- და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან სესხი აქვს აღებული.

„უკმაყოფილო მომხმარებლის“ რუბრიკით ამჯერად ონლაინსესხების გამცემი კომპანია „ვივუსის“ შესახებ მოგიყვებით.

მიუხედავად იმისა, გაქვთ თუ არა სამსახური, თხოვნა „ხელფასამდე მასესხე“, ნებისმიერ შემთხვევაში აქტუალურია. ხოდა, როცა ყველა შეძლებული ნაცნობ-მეგობარი ამოგეწურებათ და ხელფასიც ჯერ არ გერიცხებათ, გინდათ თუ არა, გაგახსენდებათ ან ვინმე მაინც გირჩევთ (მტერი თუ მოგცემთ ასეთ რჩევას, მაგრამ ნუ, ერთ-ერთ ვერსიად განვიხილოთ) სწრაფი ონლაინსესხის აღებას – უმარტივესი პირობებითა და ბანკებისგან განსხვავებით „დაბალ“ პროცენტად, შეგიძლიათ, მხოლოდ პირადობის ნომრის საფუძველზე, მინიმუმ 250 ლარი აიღოთ, თან, სულ რაღაც, 15 წუთში. კიდევ უფრო სარფიანად მოგეჩვენებათ ეს საქმე, როცა გაიგებთ, რომ პირველი სესხი უპროცენტოა. ონლაინსესხების თავბრუდამხვევი წინადადებებითა და რეკლამებით მოჯადოებულს სულ დაგავიწყდებათ ხელშეკრულების წაკითხვა და იმ დეტალების გარკვევა, რომელიც 1 კვირის თავზე უზარმაზარ პრობლემებად იქცევა.

სოციალურ ქსელებში უამრავი გამოხმაურება ვნახე საკომისიოებზე, პროცენტებზე, ვადაგადაცილებულ დღეებზე, პირგასამტეხლოებსა და კიდევ ათას წვრილმანზე. კი, შეუძლებელია ყოველთვის მომხმარებელი იყოს მართალი და ბევრი გემრიელადაც სცოდავს, მაგრამ ცოდვა და ბოროტება თქვენ ონლაინსესხების გამცემი კომპანიებისა უნდა ნახოთ.

**თიკუნა ბარამიძე:**

„ეხლა ამის მერე ნაგლები არ ხართ? 98 ლარი ერთ თვეზე რა ჯანდაბაა?! სირცხვილია პროსტა და რომ ვერ გადაიხდიან, კიდე აქეთ ხალხს აწვებით თაღლითობის მცდელობაზე, არა??? ნეტა ერთი გაკოტრდეთ, რა“.


Tikuna Baramidze ▸ Vivus.ge
17 March at 02:03

exla amis mere naglebi ar xart ? 98 lari 1 tveze ra jandabaa .. sircxvilia prosta da ro ver gadaixdian kide aqet xalxs awvebit taglitobis mcdelobaze araaa ?? neta erti gakotrdet raaa

See translation



**დავით ყურაშვილი:**

„მომტყდეს ფეხი და დამეცეს მეხი, თუ ოდესმე თქვენ მოგეკაროთ, **vivus.ge**“.

ვალის გადაუხდელობის გამო ზოგიერთი ადამიანი სხვა საფინანსო ორგანიზაციებს მიმართავს, ზოგი ბანკისგან იღებს სესხს, ზოგიც სულ სხვა შემოსავალს ეძებს.

**თორნიკე კურტანიძე:**

„**vivus.ge**, დორტმუნდმა თუ ვერ გაიტანა, მე არ დამირეკოთ, გადაიხადეთო, იმათთან დარეკეთ, მე არაფერ შუაში არ ვარ.

20 წუთის შემდეგ – **vivus.ge**, მე გითხარით, არ დამირეკოთ!!! გაეტანა ერთი გოლი და მეც ვიხეირებდი და თქვენც“.

**ნი ნუ:**

„ვადაგადაცილებულ სესხზე კრედიტოფიცერს შევუთანხმდი გრაფიკზე ჩამოკლებით. 200 ლარი გადავიხადე და დანარჩენი გადამინაწილა. ორ კვირაში დამირეკეს, ის ბიჭი მოხსნესო და გრაფიკი კი არა, ერთიანად გადაიხადეო, ანუ 1500 ლარის გადახდა მოგიწევსო. ხოდა, მოგიწევს კი არა, დაიწყვეთ ეგ სესხის ფურცლები წინ და იკითხეთ დღედაღამე“.

ხელშეკრულება თავისთავად გულისხმობს, რომ ორივე მხარეს რაღაც უფლებები აქვს, მომხმარებელს – უფრო მეტად შეზღუდვები. ამ შემთხვევაში სწრაფი სესხის გამცემი კომპანია იმდენად უკონტროლოა, რომ არაადამიანურ პროცენტებს აწესებს, რადგან იცის, რომ გაჭირვებული ადამიანი ყველანაირ პირობაზეა წამსვლელი, როცა ფული სჭირდება – ამიტომ ბანკში ათასი საბუთისა და ცნობის მიტანას, ურჩევნია, თანხა მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე მიიღოს. ხოლო, როდესაც ვალის დაბრუნების დრო დგება, მაშინღა აცნობიერებს, რამდენად დიდი პროცენტის დაბრუნება უწევს. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა სწორედ მაღალი საპროცენტო განაკვეთია:

**გიორგი გოხაძე:**

„ცოტა საპროცენტო განაკვეთს რომ დაუწიოთ, უფრო მაგრად შემიყვარდებით :) 10 დღით 150 ლარი ვისესხე და ჯამში 165 ლარი გადავიხადე ანუ წლიურად გადავიხდი მიახლოებით 200 პროცენტს და შეიძლება ცოტა მეტსაც, თუ ყოველ მეათე დღეს შევიტან და გამოვიტან 150 ლარს. ეხლა მივხვდი, ჯიბეში ფულს რატომ ვერ ვიჩერებ“.

**ალექსანდრე გოგინაშვილი:**

„არანაირი შეთავაზება არ მოდის „ვივუსთან“, უნდათ, რომ მთლიანად გადაიხადო და თან ყოველდღე უმატებენ ჯარიმებს. არც იმაზე მოდიან, რომ გადავავადო ერთი თვით და მერე გადავუხადო“.

**ნაზი ღვალაძე:**

„450 ლარში 1100 ლარს ითხოვს „ვივუსი“ ერთ თვეში, ნორმალურია?!“

**სამწუხაროდ, გასაკვირი არ არის, რომ ონლაინსესხის გამცემი კომპანიები საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობენ. მათი შიდა დებულება მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ იყოთ საქართველოს მოქალაქე და ქართული ბანკის აქტიური ანგარიში გქონდეთ დავალიანების გარეშე. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ასეთი კომპანიების მუშაობა არ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და შესაბამისად, როგორც აწყობთ, ისეთ პირობებს აწესებენ — სულ რამდენიმე დღის წინ თბილისელმა ახალგაზრდამ იმის გამო, რომ ონლაინსესხის გადახდას ვერ ახერხებდა, თვითმკვლელობა სცადა, თუმცა საბედნიეროდ, მისი გადარჩენა მოხერხდა.**

**და რამდენი ადამიანი ვერ გადაარჩინეს სუიციდისგან ანალოგიური მიზეზის გამო?!.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისში ავტობუსების მარშრუტები დროებით იცვლება



თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ინფორმაციით, ბარათაშვილის ხიდის ქვეშ მიმდინარე სამუშაოების გამო, დროებით შეიზღუდება ავტომობილების მოძრაობა და შეიცვლება ავტობუსების მარშრუტები.

– იცვლება იმ მუნიციპალური ავტობუსების მარშრუტები, რომლებიც გაივლიან აღნიშნულ მონაკვეთს, კერძოდ: №31, 44, 50, 55, 71, 80, 102 – იმოძრავებენ მარჯვენა სანაპირო, მშრალი ხიდი, ათონელის ქ., ვირსალაძის ქ., ბარათაშვილის ქ. №59 – ბარათაშვილის ხიდი (აღმართი), ავლაბრის მოედანი, ბარათაშვილის აღმართი, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ მარცხენა სანაპიროზე (ბარათაშვილის ხიდის ქვეშ) მიმდინარეობს სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც უნდა დადაბლდეს ასფალტის არსებული საფარი, რათა გაიზარდოს სიმაღლე ხიდსა და საავტომობილო გზას შორის და მაღალი ტვირთამწეობის მანქანებმა ხიდის ძირითადი კონსტრუქცია არ დააზიანონ. (პირველი რადიო)

## მილტონ ჰეიგი: თუ ექვს ერში მოხვედრა ფული ღირს, გვითხარით, რამდენი



ბრიტანულ სპორტულ გამოცემა **ESPN**-თან საუბრისას საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, მილტონ ჰეიგმა აღნიშნა, რომ საქართველოს შეუძლია, „ექვს ერს“ ახალი ღირებულებები შემატოს.

– იმისთვის, რომ ქართული რაგბი კიდევ უფრო განვითარდეს, უფრო ძლიერ გუნდებს უნდა ვეთამაშოთ. თუ ექვს ერში მოხვედრა ფული ღირს, გვითხარით, რამდენი და ჩვენი მთავრობა და სპონსორები ხელიდან არ გაუშვებენ ამ შანსს. ეს არა სტატუს კვოს შენარჩუნებაზე, არამედ იმაზეა, რა შეგიძლია, ჩადო შენ და მისცე ახალი ღირებულება შეჯიბრს. ჩვენ ექვს ერს ღირებულებებს შევმატებთ, – განაცხადა მიტონ ჰეიგმა. (ipress.ge)

## იოჰან კრუიფი გარდაიცვალა




ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი 68 წლის ასაკში ფილტვის სიმსივნის შედეგად ბარსელონაში გარდაიცვალა. ამის შესახებ მისი ოფიციალური ვებგვერდიდან გახდა ცნობილი.

ფეხბურთელსა და მწვრთნელს ჰოლანდიის ნაკრების, „აიაქსისა“ და „ბარსელონას“ შემადგენლობაში კარიერის მანძილზე ნათამაშები აქვს 752 მატჩი და გატანილი აქვს 425 გოლი. სამჯერ გახდა „ოქროს ბურთის“ მფლობელი.

კრუიფმა საფეხბურთო კარიერა „აიაქსში“ დაიწყო, სადაც რვაჯერ მოიპოვა ერედევიზიის ტიტული და სამჯერ ჩემპიონთა ლიგის თასი.

1974 წელს კრუიფი საფეხბურთო კლუბ „ბარსელონაში“ გადავიდა, სადაც პირველივე სეზონში პრიმერა დივიზიონის გამარჯვებული გახდა და ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.

1999 წელს ის ევროპის საუკუნის ფეხბურთელად აირჩიეს, 2006 წლის სექტემბერში კატალონიის მთავრობამ ის წმინდა ხორდის პრიზით დააჯილდოვა, ხოლო 2010 წელს, კრუიფი „ბარსელონას“ საპატიო პრეზიდენტად დანიშნეს. (ნიუპოსტი)

## ფატუ ბენსუდა აგვისტოს ომის გამოძიების თემაზე „გარდიანში“ სტატიას აქვეყნებს



ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა გავლენიან გამოცემა „გარდიანში“ აქვეყნებს სტატიას, სადაც კიდევ ერთხელ განმარტავს 2008 წლის ომის გამოძიების საჭიროებას.

სტატიაში სათაურით: „რუსეთ-საქართველოს ომი: რატომ დაიწყო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ომის დანაშაულის გამოძიება“ ფატუ ბენსუდა წერს, რომ 2008 წელს ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების შედეგად ასობით ადამიანი დაიღუპა ან დაშავდა, მათ შორის მშვიდობისმყოფელები, ათასობით ადამიანი კი იძულებით გადაადგილებული პირი გახდა.

ფატუ ბენსუდა აღნიშნავს, რომ ქართული და რუსული მხარეები გამოძიებას ატარებდნენ, თუმცა საქართველოში ეს პროცესი შეჩერდა „სამხრეთ ოსეთსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების არასტაბილური ვითარების გამო“.

– ამგვარად, გასული წლის მარტში საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა ჩემს ოფისს, რომ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის დაკავშირებულ საქმეებზე შიდა გამოძიების შემდგომი პროგრესის პერსპექტივა აღარ არის, – აღნიშნავს ბენსუდა.

ბენსუდას განცხადებით, ამ ეტაპზე დაიწყება მტკიცებულებების შეგროვება სხვადასხვა წყაროდან, ხოლო ეჭვმიტანილთა იდენტიფიცირება მომდევნო ეტაპზე მოხდება.

– თუ მოპოვებული მტკიცებულებები მოგვცემს გონივრულ საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ პირმა ჩაიდინა ომის დანაშაული და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, მაშინ გადავალთ შემდეგ ეტაპზე – მივმართავთ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, გასცეს დაკავების ორდერი ან გამოსცეს ბრძანება სასამართლოში გამოცხადების შესახებ, – წერს ბენსუდა.

„გარდიანში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ის მკითხველს ახსენებს, რომ გამოძიება არის დამოუკიდებელი იურიდიული პროცესი და არ არის ვინმეზე გამიზნული, არ ეხება გეოპოლიტიკას ან პოლიტიკური უთანხმოებების მოგვარებას, „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის განსაზღვრას, ან ვინმესთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას სამხედრო მოქმედებების დაწყებისთვის.

ფატუ ბენსუდა საქართველოში ვიზიტსა და პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან, ასევე, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან გამართულ შეხვედრებს წარმატებულს უწოდებს და წერს, რომ ვიზიტის დროს საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოთქვა მზადყოფნა, სრულად ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

– ჩემს ოფისს იმედი აქვს, რომ კონფლიქტის ყველა მხარე ითანამშრომლებს, – წერს ფატუ ბენსუდა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ალმაშენებლის გამზირზე საავტომობილო მოძრაობა დროებით შეიზღუდება



პროექტ „ახალი ტიფლისის“ მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, დავით ალმაშენებლის გამზირზე, მარჯანიშვილის მოედნიდან — ზაარბრიუკენის მოედნამდე, მიწისქვეშა საკომუნიკაციო სამუშაოები იწყება. დაგეგმილი სამუშაოების გამო, 28 მარტიდან, საავტომობილო მოძრაობა დროებით შეიზღუდება.

შეზღუდვასთან დაკავშირებით, მერიის შესაბამისი სამსახურები, თბილისის საპატრულო პოლიციასთან ერთად, ალტერნატიული სატრანსპორტო სქემის ჩამოყალიბებაზე მუშაობენ, რათა აღნიშნული სამუშაოების გამო, გზებზე შეფერხება არ მოხდეს და მოსახლეობისთვის მაქსიმალურად მოსახერხებელი ალტერნატიული სქემა მოიძებნოს. გზის აღნიშნულ მონაკვეთზე, ცენტრალური სასმელი წყლის მილები, სადრენაჟე, სანიაღვრე და კანალიზაციის ქსელები მთლიანად შეიცვლება. დამონტაჟდება ელექტროობისა და გაზმომარაგების ახალი სისტემები. ასევე, განახლდება ინტერნეტ და სატელეფონო კაბელები. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რაზე შეთანხმდნენ ირაკლი ოქრუაშვილი „თავისუფალი დემოკრატები“ და „ნაციონალური მოძრაობა“



„თავისუფალ დემოკრატებთან“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთადერთ წევრთან შევთანხმდით, რომ ჩვენი წარმომადგენელი საკრებულოს თავმჯდომარე გამხდარიყო, მათ წარმომადგენლებს კი, სხვადასხვა თანამდებობები დაეკავებინათ“. — ამის შესახებ გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა. მისივე თქმით:

„მაგრამ მათ ჩვენი კედელთან მიყენება გადაწყვიტეს და ცოტა ხანში, შეთანხმება დაარღვიეს. განგვიცხადეს, რომ თავმჯდომარე „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი უნდა გამხდარიყო. ამ შემოთავაზებას იმ შემთხვევაში ვთანხმდებოდით, თუ ისინი ქალაქის ბიუჯეტის მიღებას ჩააგდებდნენ, რადგან ბიუჯეტი ქალაქის ინტერესებს არ პასუხობდა. აღმოჩნდა, რომ ბიუჯეტი არ ჩავარდა. ეს იყო სიგნალი, რომ მათი ნდობა არ შეიძლებოდა. ალტერნატიული გზა „ქართულ ოცნებასთან“ საერთო ენის გამონახვა იყო და ამას გნებავთ გარიგება დავარქვათ, გნებავთ ვაჭრობა. ფაქტია, რომ შეთანხმება ქალაქის ინტერესების შესაბამისი აღმოჩნდა“, — აღნიშნა ოქრუაშვილმა. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ფორმალური საბაბიც კი საკმარისი იქნება, რომ საქართველოშიც დატრიალდეს ის ტრაგედია, რაც ბრიუსელში მოხდა“



„ეს ტერაქტი სულ მცირე 6-8 თვის განმავლობაში იგეგმებოდა. ის საკმაოდ მაღალ დონეზე იყო დაგეგმილი და მასში სამხედრო ოპერაციის ელემენტები იყო გამოყენებული“, – აცხადებს უსაფრთხოების ექსპერტი ვახტანგ მაისაია. მისი თქმით, ბოლოდროინდელი ქმედებებით „ისლამურმა სახალიფომ“ გლობალური ჯიჰადი გამოაცხადა, რაც ნიშნავს იმას, რომ საფრთხეები საქართველოშიც არსებობს.

„ბელგია და ბრიუსელი შემთხვევით არ იყო გამოწვეული, ტერაქტები, რეალურად რომ ვთქვათ, ევროკავშირისა და ნატოს შტაბ-ბინის მიმართულებით განხორციელდა. იმით „ისლამურმა სახალიფომ“ გლობალური ჯიჰადი გამოაცხადა. ეს ნიშნავს, რომ ომი დაიწყო. გლობალური ჯიჰადის პირობებში ჩვენ ფაქტობრივად გადავიქეცით სამიზნედ. აქამდე ჩვენ შეიძლება თავი ქუდში გვქონდა. აქ ნებისმიერი ფორმალური საბაბიც კი საკმარისი იქნება, რომ საქართველოშიც მოხდეს ის ტრაგიკული მოვლენები, რომლებიც ბრიუსელში განხორციელდა. მაქსიმალურად ფრთხილად უნდა ვიყოთ. ამ მოვლენების გამოწვევისთვის ლაფანყურის სპეცოპერაციის თაროზე შემოდებული საქმეც კი შესაძლოა, საკმარისი იყოს“, — განაცხადა მაისაიამ.

მაისაიას თქმით, პარიზისა და ბრიუსელის ტერაქტების შემსრულებლები ერთი ქოლგის ქვეშ იყვნენ. მისი თქმით, აბდესლამის დაკავება და მისი ვითომდა თანამშრომლობა, ეს იყო ერთ-ერთი მანევრი, რომ ყურადღება ბელგიის სპეცსამსახურებს სხვა მიმართულებით გადაეტანათ და შესაბამისად განხორციელებულიყო ტერაქტების სერია, რაც განხორციელდა.

„ეს არის შაჰიდური შეტევები, ასეთი ადამიანების გამოვლენა ძნელია. ესენი რომ იყვნენ გარედან შესული ადამიანები და მათ ჩაეტარებინათ ეს ტერაქტები, მათი გამოვლენა უფრო იოლი იქნებოდა, მაგრამ ამას აკეთებენ ადგილობრივი მცხოვრებლები“, — აღნიშნა მაისაიამ.

ექსპერტის განცხადებით, ევროკავშირის ტერორიზმთან ბრძოლის სტრატეგია ძალიან რბილ კონცეფციაზეა აგებული და თანამედროვე გამოწვევებს ვერ უმკლავდება. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასმელით ინტოქსიკაციით თურქეთში საქართველოს მოქალაქე გარდაიცვალა

თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში საქართველოს მოქალაქე დაიღუპა. ახალგორის რაიონიდან დევნილი დავით გათენაშვილი ტრაპიზონში ალკოჰოლური ინტოქსიკაციით გარდაიცვალა. „კვირას“ ინფორმაციით, გათენაშვილთან ერთად კიდევ ორი პირი მოიწამლა, თუმცა ექიმებმა მათ სიცოცხლე შეუნარჩუნეს.

როგორც ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა განაცხადა, ცხედარი თურქეთიდან სოფელ წეროვანში უკვე ჩამოასვენეს. მისი თქმით, გათენაშვილს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები დარჩა.

„ამ გაჭირვების გამო, დათო გათენაშვილი პერიოდულად დადიოდა თურქეთში. იქ რას საქმიანობდა, არ ვიცი. დათოს დაღუპვის ამბავი სოფელში ორი დღის წინ შევიტყეთ. ამბობენ, რომ რამდენიმე კაცს სასმელი დაულევია და ეს დაიღუპა. ძალიან გაჭირვებულები არიან. სწორედ მათი ეკონომიური პირობების გამო, მუნიციპალიტეტიდან სარიტუალო ხარჯებისათვის 400 ლარი მივეცით. ჩვენ მეტის შესაძლებლობა არ გვაქვს“, — აღნიშნა თინიკაშვილმა.





ცნობისთვის, 2014 წლის იანვარში, თურქეთში, კუსტარულად დამზადებული ალკოჰოლური სასმელით, საქართველოს 5 მოქალაქე გარდაიცვალა. მაშინ, სასმელით საქართველოს 7 მოქალაქე მოიწამლა, რომელთაგან 5 დაიღუპა.

კიდევ ერთი ანალოგიური ფაქტი თურქეთში, 2012 წლის მაისში მოხდა. რა დროსაც ალკოჰოლური სასმელით მოწამლული საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე, 30 წლის გურამ გაბუნია საავადმყოფოში გარდაიცვალა. (kvira.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თანამდებობის პირებმა, რომლებზეც მაკომპრომეტირებელი ჩანაწერი არსებობს, თანამდებობები უნდა დატოვონ“



უმრავლესობის დეპუტატ თამაზ მეჭიაურის თქმით, თანამდებობის პირებმა, რომლებზეც მაკომპრომეტირებელი ჩანაწერი არსებობს, თანამდებობები უნდა დატოვონ.

– უმაღლესი თანამდებობის პირები, ერთი ისინი, რომლებიც იკავებდნენ ან იკავებენ და მეორე ისინი, ვისაც პრეტენზია აქვს მომავალში დაიკავოს. ამათზე თუ არსებობს ასეთი მაკომპრომეტირებელი მასალა, მიუხედავად იმისა, როგორი წარმომავლობით გახდა ეს ცნობილი, კანონიერი თუ უკანონო გზით, ასეთი მასალა თუ არსებობს, ალბათ, თანამდებობა უნდა დატოვოს, – განაცხადა მეჭიაურმა. (პირველი რადიო)

## ზურგი ეფხანებათ უკვე „ნაცებს“... მალე ფრთებიც ამოუვათ...



– ჩვენ არაერთგზის გაგვიცხადებია, რომ ვაცნობიერებთ იმ შეცდომებს, რაც ხელისუფლების ყოფნის პერიოდში დავუშვით. ბუნებრივია, როდესაც ხელისუფლებაში ხარ, ქვეყანაში რაც ხდება, კარგიც და ცუდიც, ყველაფერზე პასუხისმგებელი ხარ. მნიშვნელოვანი ისაა, როგორ რეაგირებ ამაზე, – ამის შესახებ „აიპრესთან“ საპარლამენტო უმცირესობის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა.

– ხელისუფლებას ყოველთვის აქვს რაღაც შეცდომები, მაგრამ მე ასე ვიტყოდი, რომ ჩვენი შეცდომა იყო, რომ არჩევნებამდე არ გავაკეთეთ ის, რაც გეგმაში გვქონდა და გამოქვეყნებულიც იყო. პირველ რიგში, ეკონომიკურ დანაშაულზე დეკრიმინალიზაცია. მეორე, რა თქმა უნდა, წარუმატებლობა იყო ჩვენი ხელისუფლების ციხეებში არსებული სიტუაცია, სასტიკი მოპყრობა პატიმრების მიმართ და მესამე – ზედმეტი სიმკაცრე წვრილმან დანაშაულებთან მიმართებაში, თუნდაც მარიხუანის მომხმარებლებთან მიმართებაში. (ipress.ge)

## თბილისში ინოვაციური ნაგვის ურნები განთავსდება



თბილისში, კარგარეთელის ქუჩის რეაბილიტაციის ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინოვაციური ნაგვის ურნები განთავსდება.

– კარგარეთელის ქუჩაზე ფასადების რეაბილიტაცია მიმდინარეობს – დაირგვება ახალი მცენარეები, გაკეთდება მზის ენერგიაზე მომუშავე გარე განათება. დაიდგმება ინოვაციური ურნები, რომელშიც მეტი მყარი ნარჩენი განთავსება და ურნა ნაგავს ავტომატურად დაპრესავს. ინოვაციურ ნაგვის ურნებთან ნაგვის დამცლელ მანქანას დღეში ორჯერ ან ერთხელ სჭირდება მისვლა, ამიტომ ეს ქუჩა უფრო ნაკლებად დაიტვირთება, – აღნიშნავს „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გიორგი გაბიძაშვილი.

პროექტის ფარგლებში, ასევე, იგეგმება ავტობუსების გაჩერებაზე მზის ენერგიაზე მომუშავე მოწყობილობების დამონტაჟება, რომლის მეშვეობითაც მობილური ტელეფონის დამუხტვა იქნება შესაძლებელი. (bpn.ge)

## პეტრიაშვილის დაჭრის საქმეზე ბიზნესმენი სოსო დოლიძე დაკითხეს

„თავისუფალი დემოკრატების“ გენერალური მდივნის ალექსი პეტრიაშვილის დაჭრის ფაქტის გამოძიების მიმდინარეობის შესახებ აქამდე უცნობი დეტალი გახდა ცნობილი.

როგორც ადვოკატი ლილი გელაშვილი ამბობს, პოლიტიკოსის დაჭრის დღესვე გამოძიებამ ბიზნესმენი სოსო დოლიძე დაკითხა.

მისი თქმით, დოლიძემ საგამოძიებო ორგანოს მას შემდეგ მიმართა, რაც სოციალურ ქსელში დაჭრის საქმეში მისი შესაძლო მონაწილეობის ვერსიები გაჩნდა.

– ბატონი სოსოს დაკითხვა იმ დღესვე მოხდა, როდესაც ბუკა პეტრიაშვილი დაჭრეს. მინდა ხაზი გაუსვა ერთ გარემოებას – მისით გამოძიება არ დაინტერესებულა. მას შემდეგ, რაც პეტრიაშვილის დაჭრის ფაქტი მოხდა, სოციალურ ქსელში აქტიურად სახელდებოდა სოსო დოლიძის გვარი. ეს ადამიანი შეწუხდა. დაგვიკავშირდა ადვოკატებს. სურვილი გამოთქვა, პროკურატურაში წასულიყო და ჩვენება მიეცა, რომ მას ამ დანაშაულთან არავითარი შემხებლობა არ ჰქონდა, – აცხადებს ადვოკატი.

კითხვაზე, იცნობს თუ არა დოლიძე ალექსი პეტრიაშვილის თავდასხმის საქმეზე დაკავებულ ლევან მექვაბიშვილს, ადვოკატმა თქვა, რომ მისმა კლიენტმა არც კი იცის, ვინ არის დაკავებული. (ნიუპოსტი)

## ფარული ვიდეოების საქმე — რომელი მაღალჩინოსნების გვარი დაუსახელა გამოძიებას მაცაცომ?



გიორგი ჩხარტიშვილი (მაცაცო) პროკურატურაში პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეოებზე დაიკითხა. როგორც ჩხარტიშვილი აცხადებს, ფარულ კადრებზე პროკურატურისთვის საინტერესო ინფორმაციას ფლობს.

ჩხარტიშვილის თქმით, მან გამომძიებელს ჩანაწერების დამზადებასთან დაკავშირებით კონკრეტული გვარები დაუსახელა, მათ შორის ორი ყოფილი მინისტრი.

– დასახელდა უკვე გამოძიების ეტაპზე ორი სახელი და გვარი, რომელსაც აქვს რაღაც გარკვეული მნიშვნელობა. მათ შორის, ყოფილი მინისტრები. მათ შორის, ერთი გვარი, ვის სახლშიც ხდებოდა კადრების გადაღება. ფარული კადრები მონტაჟდება საზღვარგარეთ, კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკაში. ვიდეო და აუდიოჩანაწერები ხდებოდა არა მხოლოდ წარსული ხელისუფლების დროს, არამედ ამ ხელისუფლების დროსაც, – განაცხადა ჩხარტიშვილმა. (ნიუპოსტი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



**იმის მიუხედავად, რომ ორიოდე კვირის წინ პრემიერმა კვირიკაშვილმა პროკურატურის, შსს-ს და უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელებს ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებული საქმეების სასწრაფო გამოძიება დაავალა, თვეების წინ შეტანილი საქმეც კი არ გამოუძიებია.**

**რატომ არ იძიებს პროკურატურა ფარული ვიდეოების ადრინდელ საჩივრებს? რატომ აღარ აინტერესებს ბიძინა ივანიშვილს ინტერპოლით ძებნილთა საქმეები?**

# პროკურატურამ პრემიერის გაფრთხილება „დაიკიდა“?



## რატომ არ იძიებენ ფარულ გადაღებაზე თვეების წინ შეტანილ საქმეს?

„ალიას“ „ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე“ **ზაზა ხატიაშვილი** ესაუბრა:

**— პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, რომ ერთმა ქალბატონმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მიმართა პროკურატურას ფარული ჩანაწერით შანტაჟის ფაქტზე და ჯერაც არ გამოუძიებიათ. რა ხდება, უუნაროები არიან თუ შეგნებულად არ იძიებენ?**

– ეს ამბავი საინტერესო ფაქტია. მე არ ვარ იმ ქალბატონის ადვოკატი, თუმცა მან მე მომმართა, როგორც უფლებადამცველს – გთხოვთ, კონტროლზე აიყვანოთ ეს საქმე, მტკიცებულებები მაქვს და მთავარ პროკურატურას მივმართე, რომ ფარულად ჩამწერა გერმანიის მოქალაქემ, წარმოშობით ავღანელმა კაცმა, რომელთანაც ინტიმური კავშირი მქონდა და შემდეგ ეს ჩანაწერი ჩემს 11 წლის ქალიშვილს აჩვენაო. ეს საცოდავი ბავშვი თურმე სამი წლის განმავლობაში ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. ამ ქალმა მითხრა, – ინგა გრიგოლიას ვუყურე, თავისი უფლებების დაცვა რომ დაიწყო და მეც იმედი მომეცა, რომ ამ ფაქტს გავახმაურებდი და ამით დაინტერესდებოდნენო. როდესაც ხელახლა გავთხოვდი ინგლისელ მოქალაქეზე, ის პიროვნება ჩემს ქმარს შეხვდა და უთხრა, – შენი ცოლი ასეთი და ასეთიაო და ფაილი გადასცაო. ეს კაცი ცოლს დაუდგა გვერდით და იჩივლა, რომ მის მეუღლეს აშანტაჟებდნენ. მე ვთქვი, როცა არის მტკიცებულებები, ამას არ იძიებთ და მტკიცებულებები რომ არ გაქვთ, იმის გამომძიებლები ხართ-მეთქი?

**— სწორედ ეგ მაინტერესებს, არ იძიებენ თუ არ შეუძლიათ გამოძიება?**

– ჯერ არ ვიცი დაზუსტებით, რატომ არ იძიებენ. როცა მოქალაქემ დაინახა, რომ საქართველოში დაიწყო ასეთი მოძრაობა, მტკიცებულებები წარადგინა ამის თაობაზე. პოლიტიკოსებზე რომ დაიდო ვიდეოები, ეუჰ, ეს სიბინძურეა, რომ მათზე გასაჯაროვდაო, მაგრამ მე ჩვეულებრივი მოქალაქე უფრო მეცოდება, რადგან, ხომ ხედავ, პოლიტიკოსებს რამდენი ქომაგი გამოუჩნდათ და ამ საცოდავ მოქალაქეებს, რომლებსაც მსგავსი ჩანაწერებით აშანტაჟებდნენ, არავინ ჰყავთ ქომაგი.

**— მამუკა ახვლედიანმა „ალიასთან“ განაცხადა, ერთ კვირაში სასამართლოს დავტოვებ, „ენჯეოს“ შევქმნი და სასამართლოს მხილებას გავაგრძელებო. ანუ ეს კაცი, ფაქტობრივად, იმის გაკეთებას აპირებს, რაზეც თქვენ წლებია, ხმაური არ შეგიწყვეტიათ. ხომ არ გისუბრიათ მასთან, რომ ერთობლივად იმოქმედოთ?**

– არ გვისაუბრია. მამუკა ახვლედიანთან სულ, მაქსიმუმ, 7-8-ჯერ ვარ შენახვედრი და ისიც, მხოლოდ ოფიციალურ მიღებებზე. მართალს ბრძანებთ: რასაც ჩვენ ვეწირებოდით, მე, თქვენ, „ალიელები“ – ქუჩაში რის გამოც ვიდექით და ვამბობდით, რომ სააკაშვილის რეჟიმის დროს მურუსიძე, ჩინჩალაძე, მეიშვილი და ცერცვაძე იყო ადეიშვილის საყრდენი და 6 წლის განმავლობაში იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა და გვეუბნებოდნენ, იგონებთო, დღეს აღმოჩნდა, რომ ამ კაცმა, რომელიც სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარეა, ყველაფერი ეს იცოდა, გამოვიდა და ღიად ისაუბრა. აღმოვჩნდით მართლები, რომ სააკაშვილის რეჟიმმა სასამართლო ხელისუფლება დააქცია და ბიძინა ივანიშვილი უფრო დიდი საშინელებაა, რომელმაც ეს სააკაშვილის რეჟიმის მურუსიძეები დაიცვა. რაც შეეხება მამუკა ახვლედიანთან მომავალში შესაძლო თანამშრომლობას: ამას არ გამოვრიცხავ კი არა, პირიქით, მივესალმები. სასამართლო სისტემა დღეს, ფაქტობრივად, არ არსებობს. ახლა რომელ ადამიანსაც ღირსება შერჩა და ამბობს, – არ მინდა ნინო გვენეტაძე-მურუსიძის და საერთოდ, „მურუსიძეების“ სასამართლო და ამას ვემიჯნებიო, ეს არის ჭაობი, რომელიც უნდა შეიცვალოსო, მე ყველასთან ვითანამშრომლებ.

**— დათა ახალაიაზეც გკითხავთ. ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლამდე ამბობდა, რომ ყველა დამნაშავე პასუხს აგებდა, მაგრამ კეზერაშვილის, ადეიშვილის და კოდუას შემდეგ, ინტერპოლმა ახალაიაც მოხსნა ძებნიდან, პოლიტიკური დევნის ნიშნებიაო. მოკლედ, ივანიშვილისთვის დამნაშავეების დაჭერა ღირსების საქმე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ორი დღეა, ხმა არ ამოუღია. რა ხდება თქვენი აზრით?**

– ალბათ, არ უნდათ ამათ მაგათი ჩამოყვანა, თორემ ჩამოიყვანდნენ, რა პრობლემა იყო მყარი მტკიცებულებების გაგზავნა ინტერპოლში? საერთაშორისო ორგანიზაციები გეუბნებიან, მთავარი ბიძინას სამართალი არა, ეფექტური გამოძიებააო. როგორ, კაცო, მაგალითად, რა დანაშაულიც მერაბიშვილმა ჩაიდინა, მარტო მერაბიშვილს რომ მიესაჯა, იქ სხვები არ არიან ჩართული? ეს კლანური სისტემა იყო, ხომ? ამიტომ ბიძინა ივანიშვილს ვინც მონური მორჩილება გამოუცხადა, მან მიიღო ხელშეუხებლობის გარანტია. მე მაგალითად, იმ ადამიანებს, ვისაც იჭერენ, უფრო მეტად ვცემ პატივს, რომლებსაც ეყოთ ღირსება, ციხეში ჩაჯდნენ და ამას არ შეეკვრნენ. ელემენტარულად, მარიკა ვერულაშვილი გახდა ლამის „ქართული ოცნების“ სახე, წარმოგიდგენიათ? ვერულაშვილმა ამათ რომ შეჰფიცა ერთგულება, მიიღეს და ამათ მორალზე როგორ უნდა ვისაუბროთ? თუ ივანიშვილზე იტყვი, რომ დავით აღმაშენებელია და მაგარია, რაც გინდა დანაშაული ჩაიდინე – ეს არის ბიძინას სამართალი და ამას როგორ შეეწირება თვითონ და ვისი ხელით მოხდება გასამართლება, ამას მე და თქვენ ვნახავთ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ტერორისტების მთავარ სამიზნეს ბელგიის ბირთვული სისტემა წარმოადგენდა



ბელგიური მედიის ინფორმაციით, ტერორისტების მთავარ სამიზნეს ქვეყნის ბირთვული სისტემა წარმოადგენდა, თუმცა ხელისუფლების მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ისინი იძულებული გახადა, უფრო „მარტივი“ სამიზნეები – აეროპორტი და მეტრო აერჩიათ.

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ გარკვეული დროის წინ ბელგიის ბირთვული განვითარებისა და კვლევების დირექტორის სახლთან არსებულმა კამერებმა ამ ტერიტორიაზე იბრაჰიმ და ხალიდ ელ ბაკრაუიები დააფიქსირეს. ამასთანავე, დადგინდა, რომ ბირთვულ კომპანიაში გარკვეული პერიოდი ტექნიკოსად მუშაობდა ბელგიელი ილიას ბუგალაბი, რომელსაც ნაცნობობა აკავშირებდა აბდელჰამიდ აბაუდთან და სხვა ჯიჰადისტებთან. ბუგალაბი 2014 წლის მარტში სირიაში დაიღუპა.

არსებობს ინფორმაცია, რომ ჯიჰადისტები აღნიშნული სისტემის თანამშრომლებს იბირებდნენ. ერთი ვერსიით, მათი გადაბირება ურანის მოპარვის მიზნით ხდებოდა, მეორე ვერსიით კი, ტერორისტების სამიზნე ბირთვული სადგურების დაზიანება იყო.

ამ ინფორმაციის გამჟღავნების შემდეგ თებერვალში ბელგიის ბირთვულ სადგურებზე უსაფრთხოების ზომები განსაკუთრებულად გაძლიერდა და შესაძლოა, სწორედ ეს გახდა სამიზნის შეცვლის მიზეზიც. (ნიუპოსტი)

## ივანიშვილმა „ლივერპულის“ აქციები იყიდა?



ჯერჯერობით დაუდასტურებელი ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო გუნდის მეპატრონე გახდა. ინგლისური პრესის ინფორმაციით, მილიარდერმა და საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა „ლივერპულის“ აქციების 7 პროცენტი შეიძინა. რა თანხა გადაიხადა ივანიშვილმა აქციებში, უცნობია. (fexburti.ge)

## თავად არ გესმით ერთმანეთის და ხალხი გაგიგებთ თქვენ, კაცო?!

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ზვიად კვაჭანტირაძე აცხადებს, რომ თამაზ მეჭიაურის განცხადებით გაოგნებულია.

– გაოგნებული ვარ ბატონი მეჭიაურის განცხადებით. მგონი, მისი მხრიდან ეს არის აბსოლუტურად დაუფიქრებელი განცხადება. მას, მგონი, სულ სხვა რამის თქმა უნდოდა. მე არ ვცდილობ მისი განცხადების „გათეთრებას“, მაგრამ ის ფორმა, რა ფორმითაც განცხადება გააკეთა, ჩემთვის გამაოგნებელია და ამას არავითარი კავშირი არ აქვს „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ პოზიციასთან, – აცხადებს ზვიად კვაჭანტირაძე.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, თამაზ მეჭიაური მიიჩნევს, რომ, თუ საქართველოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების წინააღმდეგ კომპრომატები არსებობს და ამ კომპრომატებს მათგან საიდუმლო ინფორმაციის მისაღებად იყენებენ, მაშინ თანამდებობები უნდა დატოვონ:

– თუ უმაღლესი თანამდებობის პირზე რაიმე კომპრომატი არსებობს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მის დასაშანტაჟებლად და ამ შანტაჟის გზით, მისგან შეიძლება მიიღონ საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია, ან ამ თანამდებობის პირს მიაღებინონ ისეთი გადაწყვეტილება, რაც სახელმწიფოს დააზიანებს, მაშინ მათი გადადგომა უნდა მოხდეს, – ამბობს მეჭიაური და ამტკიცებს, რომ ასეთი მიდგომა ევროპასა და ამერიკაში აპრობირებულია. (ნეტგაზეთი)

## ცხვრებივით არ მივყვებით ჩვენ ამ განცხადებას — პედაგოგთა ნაწილი თორდინავას წინააღმდეგ გამოდის

თბილისის ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის თემურ თორდინავას განცხადებას საბავშვო ბაღების მასწავლებლების ნაწილი მუქარად აღიქვამს.

მათი განცხადებით, ისინი დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად მზად არიან, თუმცა მშობლებს პროტესტის ნიშნად, შვილები ბაღებში არ მიჰყავთ.

პედაგოგების მეორე ნაწილი კი აცხადებს, რომ თემურ თორდინავას განცხადების მიუხედავად, ისინი პროტესტს არ შეწყვეტენ. ასევე, აპირებენ საპროტესტო აქციების გამართვას და არ აპირებენ სასწავლო პროცესის აღდგენას.

– ცხვრებივით არ მივყვებით ჩვენ ამ განცხადებას, ჩვენ ვაგრძელებთ საპროტესტო აქციას, უფრო მასშტაბურს ჩავატარებთ და მერიასთან გადავალთ საპროტესტო აქციით, სანამ ჩვენი, უკანონოდ განთავისუფლებული დირექტორი არ დაგვიბრუნდება, – განაცხადა 92-ე ბაღის თანამშრომელმა მანანა ბარათაშვილმა.

განთავისუფლებული დირექტორები და მასწავლებლები დედაქალაქის მერიასთან დღეს აქციას გამართავენ. (ნიუპოსტი)

## ხატია სიჭინავა დარწმუნდა, რომ მსოფლიოში მეორედ მოსვლა იწყება



ხატია სიჭინავა ბოლო დროს მომხდარმა ტერაქტების სერიამ, სამებაში გაჩენილმა ხანძარმა, როგორც ჩანს, ძალიან შეაწუხა და სოციალურ ქსელში წერს, რომ მეორედ მოსვლა იწყება...

„ინვის ტაძრები, მსოფლიო კვამლში და სისხლშია გახვეული, გმობენ რელიგიას, მოზარდები იკლავენ თავს, ქმარი ცოლს კლავს ან პირიქით, ბოღმა და ღვარძლი მეფობს სამყაროში, დარბიან ცისარტყელას დროშებით, გაუცხოვდნენ ადამიანები და დაშორდნენ ღმერთს...

კიდევ რამე ნიშანი გვინდა მეორედ მოსვლაში რომ დავრწმუნდეთ?! ერთადერთი, რასაც გთხოვ, ჩემი შვილების ლამაზ ცხოვრებას მომასწარი ღმერთო“, – წერს ხატია.

*etanews.ge*

## ნინო ჩხეიძის სექსუალურმა ფოტომ მამულიჩა გადარია — რა მისწერა მომღერალს

სოციალურ ქსელში ნინო ჩხეიძემ შავ კაბაში გამოწყობილი სექსუალური ფოტო გამოაქვეყნა... გარდა იმისა, რომ ფოტოზე საკმაოდ ვნებიანად გამოიყურება და უამრავი მოწონება დაიმსახურა, მომღერლის სურათს, როგორც ჩანს, გულგრილად ვერ აურა მამულიჩამ გვერდი და ჩხეიძეს კომენტარი დაუწერა:

„ვაააა, სად გნახო? ჰა, ჰა, ჰა“, – წერს მამულიჩა.

მომღერლისგან კი მხოლოდ სიცილი და გული დაიმსახურა.

*etanews.ge*

## თაკო გაჩეჩილაძემ საკუთარი თავი კურტ კობეინს შეადარა



ერთხელ კურტ კობეინს საკუთარმა ფანმა უთხრა, რომ მისი ცოლი ძალიან მოსწონდა.

„მოგწონს? ოჰ, მადლობა მეგობარო, ის ძალიან ბევრ ადამიანს არ მოსწონს“, – უპასუხა კობეინმა.

აღნიშნული დიალოგის ამსახველი გიფი სოციალურ ქსელში გააზიარა ქართველმა მომღერალმა თაკო გაჩეჩილაძემ წარწერით:

„არ ვიცოდი მე და კურტ კობეინს რომ ერთნაირი იუმორი გვქონდა. იგივეს ვპასუხობ ხოლმე – ოღონდ საკუთარ თავზე“.

*droni.ge*



ჯღანი — გაცვეთილი ფეხსაცმელი.

მეჯღანე — გაცვეთილი ფეხსაცმლის შემკეთებელი.

ხარაზი — ფეხსაცმლის მკერავი.

მეწაღე — ფეხსაცმლის მკერავი.

დღევანდელ ნომერში ფეხსაცმლის შემკეთებლების, მეჯღანეებისა და როგორც თავად ამბობენ, „საპოჟნიკების“ — ვალერი (აშოტა) მხითარიანისა და იოსებ ოთარაშვილის კურიოზებს გთავაზობთ.

### ვალერი მხითარიანი:



### „კრიშა“ მყავს

ერთი გოგო იყო, ამა და ამ კაცის ნათესავი ვარო, მატყუებდა, რა. იმ კაცის ნათესავი მე ვარ და ვეკითხები, რანაირი ნათესავი ხარ-მეთქი და დეიდაშვილი ვარო. მე ვუთხარი, მაგ ოჯახში ერთხელაც არ მინახიხარ და რა ნათესავი ხარ? შერცხვა და წავიდა. სულ უფასოდ უნდოდა გაკეთება, გაიგე?

ერთხელ მოვიდა კაცი და მეუბნება, კომუნისტების დროს ამ ხელობაზე ვმუშაობდი და აი, „მომენტს“ ვიყენებდითო, არადა კომუნისტების დროს სულ სხვა წებოთი ვმუშაობდით. ვეუბნები, მომენტი წებო ცხოვრებაში „საპოჟნიკებში“ არ იყო, სხვა იყო-მეთქი. აუჰ, გაგიჟდა, როგორ არა, ვმუშაობდიო, დამიწყო მტკიცება. რატომ მეუბნებოდა იცი? ვითომ იცის ხელობა და რომ არ მოვატყუო, წინასწარ მაფრთხილებს, რომ საქმეში ერკვევა, რა.

### წებო „მომენტი“

ადრიანი დილაა და თეთრი შარვალ-კოსტუმით კაცი შემოდის. ჩაცმულ „ტუფლზე“ ჩაუსხია პატარა მომენტი წებო და ფეხიც ზედ მიეკრო. ტიროდა კაცი, დამეხმარეო. მე ვუთხარი, რანაირად დაგეხმარო, შე კაი კაცო? ჰოდა, მეთქი, ერთადერთი ვარიანტია, ფეხსაცმელი უნდა გავჭრათ. არაო, როგორ უნდა გავჭრათო. ფეხის გადარჩენაც უნდოდა და ფეხსაცმლისაც. ადექი მაშინ და პოლიკლინიკაში წადი, იქ გიშველიან-მეთქი. იქ რა უნდა მიქნანო? მე რა ვიცი, თბილ წყალში ჩაგადებინებენ და რამენაირად გიშველიან. არაო, იქ არ წავალო, არ წახვალ და კარგად იყავი-მეთქი და გავუშვი.

ორმა კაცმა ერთნაირი ფეხსაცმელი მოიტანა გასაკეთებლად. ერთ-ერთის პატრონი მოვიდა, შეხედა, წაიღო. მოვიდა მეორეს პატრონი, მოიზომა – ვა, ერთი ფეხი არ ჩადის. მეჩხუბება, რა გაუკეთე, ტუფლს ვეღარ ვიცვამო. მე რა გავუკეთე, შენია? მეუბნება, ჩემია და რატომ არ ჩადის ფეხი? მე რა ვიცი, რატომ არ ჩადის. თურმე, ერთი 41 ზომა იყო, ერთი კიდე 43. კიდე კაი, ის პირველი იქვე ახლოს იყო, ვნახე და ვეუბნები, ფეხსაცმელი კარგად გაქვს-მეთქი? ჰო, რა ვიცი, ერთი ცოტა დიდი კია, მაგრამ არა უშავსო. ერთზე 41, მეორეზე 43 ზომა ჩაიცვა და წავიდა, პრობლემა არ ჰქონდა. სამაგიეროდ მეორეს ჰქონდა პრეტენზია და გავაცვლევინე.

ხანდახან წლობით ტოვებენ „ტუფლებს“ და არ აკითხავენ. შე დალოცვილო, გთხოვე, რომ მოიტანე? წაიღე, რა, დროზე. ერთხელ გოგომ ჩექმები დამიტოვა. იმის მერე გათხოვდა, ორი შვილი გააჩინა და ერთ დღეს ვხედავ, მოვიდა და მეკითხება, ჩექმები ხომ არ გადაგიყრიაო? არ მქონდა გადაყრილი და მივეცი.

მეგობარი მყავდა დატოვებული ერთი საათით და მოხუცი ქალი მოვიდა, ხედავს, გაკეთებული ჩექმა დევს და ჩემს მეგობარს ეუბნება, აი, ეგ ჩექმები ჩემია, გადახდილია და ყველაფერიო, დააბოლა, რა. გაატანა ამ ბიჭმაც. ორი დღის მერე პატრონი მოვიდა და ჩექმები მოიკითხა. მეთქი, ვაიმე. ალალად მითხრა, 25 ლარი მქონდა გადახდილიო. ავიღე და 25 ლარი მივეცი, რა უნდა მექნა?

სახლის ჩუსტებიც მოაქვთ ხოლმე, რომ შემოვუკერო. ცუდი ძაფითაა შეკერილი და მალე იშლება. მე ვშლი და ასე გამოდის, ახლად ვკერავ, ოღონდ 2-3 ლარად და იაფად გამოდიან.

ქალბატონს ფეხსაცმელები შემოვუკერე. წასაღებად რომ მოვიდა, სათვალით სულ წვრილად დაათვალიერა და მეუბნება, აი, ეს ნაკერი არ მომწონსო. ვუთხარი, ქალბატონო, ეს არის რემონტი, ახალი თუ გინდათ, უნდა იყიდოთ.

### იოსებ ოთარაშვილი:

ერთი „მეშოკი“ გავავსე და წავუღე, დაარიგე გაჭირვებულებში-მეთქი. ასე დავარიგებ, წლების მერე აკითხავენ.

აქ, ჩვენთან კაცი დადის, რძე და მაწონი დააქვს. ფეხსაცმელი დამიტოვა და 6 თვე არ მოუკითხავს. გაკეთებული სამჯერ დავშალე. რაღაც მასალა დამჭირდებოდა სხვა ფეხსაცმელზე, არ მქონდა, დავშლიდი ამ კაცის ფეხსაცმელს, ავაწყობდი მეორეს. მერე ვიყიდდი მასალას, ამ კაცის ფეხსაცმელს ავაწყობდი. ამის წინ მოვიდა, სად არის ჩემი „ტუფლები“, მეკითხება. მეთქი, დაშლილია, ხვალ მოდი. წავიდა, კიდევ ერთი კვირა დაიკარგა. მერე ცოლი მოვიდა და ძალით გავატანე, წაიღეთ, მომაშორეთ თქვენი „ტუფლები“-მეთქი.



### მიდი, გაიხადე და გაგიკეთებ...

ერთი ახლობელი ქალი შემოვიდა, სადღაც მიდიოდა და მეუბნება, სოსო, „ტუფლზე“ ქუსლი გამიტყდა და გამიკეთეო. მე რაღაცას ვშკურკავდი, არც მიმიხედავს, ისე ვეუბნები, ჰო, მიდი, გაიხადე და გაგიკეთებ-მეთქი. მიყურებს, მიყურებს და მეუბნება, ერთი ქმარს შეუძლია, ეგრე მითხრას და მეორე „საპოჟნიკსო“.

რამდენჯერმე წაუღიათ „ტუფლები“ და უკან მოუტანიათ, ჩემი არ არის, რას გამატანეო. ვა, რომ მიგქონდა, იქ არ იყავი, დალოცვილო?

ჩვენმა თანამშრომელმა შვილის ფეხსაცმელები მომიტანა, პატარა ბავშვის. რაღაც „ბაბოჩკები“ ჰქონდა და ეგ მოხსენი და კარგად მიაწებეო. სიმართლე გითხრათ, ნასვამი ვიყავი, ავდექი, მოვხსენი და შიგნიდან მივაწებე. თურმე, ბავშვმა ჩაიცვა და ხედავს, აღარ არის მისი „ბაბოჩკები“. მეორე დღეს თანამშრომელმა ისევ მომიტანა, რომ დავხედე, ვიფიქრე, გიჟი ხარ სოსო, რაებს აკეთებ...

მოიტანენ, ტოვებენ, აღარ მიაქვთ. მე კიდე მიგროვდება. სოფელში და მყავს გათხოვილი.

### „ინსპექტორები“

ერთხელ ნაცნობმა ახალი „ინსპექტორები“ დამიტოვა, შემომიკერე და ბარემ ისე ჩავიცვამო. მე გასული ვიყავი, ახლობელი დავტოვე და ტიპი მოსულა, რომელსაც „ინსპექტორები“ ჰქონდა დატოვებული. ხედავს, მე არ ვარ, იქვე ახალი „ტუფლები“ აწყვია. ამ ჩემს ახლობელს ეუბნება, აი, 5 ლარი, ეგ ახლები ჩემია და მომეო. ამანაც გაატანა. მეორე დღეს ის ნაცნობი მოვიდა, აბა, სოსო, რა იქნა ჩემი ახალი „ინსპექტორებიო“? ვეძებ, არ არის, მარტო ძველები ყრია. რა უნდა მექნა, 60 ლარი ჰქონდა გადახდილი, მივეცი ეს 60 ლარი. იმან კი იყიდა ახალი „ტუფლები“ და მე შემრჩა ძველი „ინსპექტორები“ და 60 ლარის ზარალი...

ნაცნობია ერთი, ჟორა, იმას ვუთხარი – ჟორა, რა ზომა გაქვს ფეხი, აბა ნახე, ეს „ინსპექტორები“ თუ ჩაგივა-მეთქი. ჩაიცვა, მოუვიდა და მეუბნება, – ბარემ ახალი ქუსლები დაარტყი და ისე მაჩუქეო.

## ვინ დასწყვიტა გული ია სუხიტაშვილს — „არიან ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყნიდან არ უნდა მიდიოდნენ...“



ცნობილი თეატრმცოდნე, არაერთი ცნობილი მსახიობის აღმზრდელი და პედაგოგი ვასილ კიკნაძე გუშინ საავადმყოფოში 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ბატონი ვასოს აღზრდილი მსახიობები ძვირფას პედაგოგს სოციალური ქსელის საშუალებით ემშვიდობებიან. მათ შორის არის ია სუხიტაშვილიც:

„ბატონი ვასო კიკნაძე ჩემი პედაგოგი იყო. არასოდეს დამავიწყდება მისი ლექციები. ეს იყო საოცრება. 45 წუთი, რაც მისი ლექციისთვის იყო განკუთვნილი, სამ-ოთხ საათს გრძელდებოდა. ბატონ ვასოს ლექციიდან არ ვუშვებდით. ბედნიერი ვარ, რომ ამ არაჩვეულებრივ ადამიანს ვიცნობდი. მეტიც, ბატონი ვასო ჩემი დიდი ქომაგიც იყო. ძალიან, ძალიან დამწყდა გული.

სულ ვამბობ, არიან ადამიანები, რომლებიც არ უნდა ბერდებოდნენ და არც ამ ქვეყნიდან უნდა მიდიოდნენ...“

*etanews.ge*

## როგორ გამოიყურება ნიკა თავაძისა და ნატა მურვანიძის ულამაზესი ქალიშვილი მანუ თავაძე



ნიკა თავაძისა და ნატა მურვანიძის წყვილი საზოგადოებას განსაკუთრებულად უყვარს. მიუხედავად იმისა, რომ წლების წინათ ურთიერთობაში პაუზა ჰქონდათ, დღემდე ერთად არიან და ერთ-ერთ მოსიყვარულე ოჯახად ითვლებიან.

ნიკას და ნატას ორი შვილი ჰყავთ. უფროსი ვაჟი დათა თავაძე თეატრალურ წრეებში ცნობილი რეჟისორია და არაერთ წარმატებას მიაღწია ამ კუთხით. რაც შეეხება მათ ქალიშვილს, 13 წლის მანუს საზოგადოება ნაკლებად იცნობს.

თუმცა, როგორც ჩანს, მასაც ხელოვნების გზა აქვს არჩეული, რადგან ბებიის, მაკა მახარაძის სტუდიაში ბალერინაა.

*etanews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ვაჟკაცობა ნაადრევი სიკვდილის მიზეზად დასახელდა




თურმე ვაჟკაცი ადამიანები უფრო ადრე კვდებიან და ამას ფრიად საინტერესო მიზეზი აქვს.

როგორც რატგერსკის უნივერსიტეტის ფსიქოლოგების კვლევამ აჩვენა, ვაჟკაცი ადამიანები ავადმყოფობას ყურადღებას არ აქცევენ და ექიმთან მისვლა სისუსტედ მიაჩნიათ. ყველა სიკეთესთან ერთად, თუ გარისკეს და ექიმთან მივიდნენ, მამრობითი სქესის მედიკოსებს ირჩევენ იმიტომ, რომ უფრო კომპეტენტურები ჰგონიათ.

თუმცაღა თუ ქალ ექიმს მიაკითხეს, უფრო იხსნებიან და თავიანთ ჩივილებზე გულწრფელად ლაპარაკობენ. ამასაც თავისი ახსნა აქვს – ქალებთან სისუსტეებზე საუბარი სტატუსის დაკარგვის განცდას არ უჩენთ.

ფსიქოლოგებმა 250 ისეთი ადამიანი გამოკითხეს, რომელიც თავს ვაჟკაცად მიიჩნევდა და 200-ზე მეტი ისეთი, ვისაც ამ სტატუსზე პრეტენზია არ ჰქონდა. აღმოჩნდა, რომ ვაჟკაცობასა და დამოუკიდებლობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანები, ექიმებს უფრო იშვიათად აკითხავდნენ და დაავადებებსაც თავისუფლად განვითარების საშუალებას აძლევდნენ, რაც საბოლოოდ მათი სიცოცხლის დღეების შემცირებას იწვევს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ამერიკაში შექმნილი სპეციალური ქვედაბოლო პატარძლებს საპირფარეშოში შესვლას გაუმარტივებს



რამდენად მნიშვნელოვანია ხოლმე ქალისთვის ქორწილი, ყველამ ვიცით. მაგრამ, როცა საქმე ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ეხება, ყველა ოცნება ქრება, ყველა სიხარული უფერულდება და პატარძალს ერთადერთი სურვილი რჩება – რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიოს საპირფარეშომდე. ხოლო საპირფარეშოში საპატარძლო კაბა რამდენად კომფორტული და მოსახერხებელია, თავადაც იცით.

პატარძლებისთვის ქორწილის განმავლობაში უწყვეტი ბედნიერების მინიჭების მიზნით ჰიზერ სტინლეიქმა კაბის შიგნით ჩასაცმელი ქვედა ბოლო შექმნა. ქვედა ბოლო გამჭვირვალეა და გვერდებზე ხელებისთვის ჭრილი აქვს დატანებული. პატარძალს შეუძლია ამ ქვედა ბოლოთი მთელი კაბა წამოიწიოს და დაიმაგროს.



ჰიზერი ამბობს, რომ იდეა 2002 წელს მოუვიდა, როცა საპატარძლო კაბების მაღაზიაში მუშაობდა. თურმე, პატარძლები ყველაზე იდეალურ კაბასაც წუნს სდებდნენ იმიტომ, რომ საპირფარეშოში არაკომფორტული იყო. ჰიზერიც ადგა და პატარძლებს ეს ერთადერთი გართულებაც მოუხსნა.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## აშშ-ს ბიბლიოთეკაში წიგნი 49 წლის შემდეგ დააბრუნეს




ჯეიმს ფილიპსმა ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ წიგნი დეიტონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან 1967 წელს წაიღო, როცა ის ჯერ კიდევ პირველ კურსზე იყო.

ჯეიმსმა დაბრუნებულ წიგნთან ერთად წერილიც დატოვა, სადაც ბოდიშს იხდიდა და მიზეზს წერდა, რატომ მიითვისა ბიბლიოთეკის ქონება მთელი 49 წლით.

ფილიპსმა არ იფიქროთ, რომ მოვიპარე ან გავაჩუქეო, კი მინდოდა დაბრუნება, მაგრამ სადღაც გამებნა და ამდენი წელი ვერაფრით ვიპოვეო. ბოლოს ისევ სახლში აღმოვაჩინე და აი, მოვიტანე კიდეცო.

ყოველ დაგვიანებულ დღეზე ლაშქრობებით დაინტერესებულ ჯეიმსს ჯარიმა ეწერებოდა, რამაც საბოლოოდ, დაახლოებით, 354 დოლარი შეადგინა, მაგრამ პატიოსან სტუდენტს ჯარიმა აპატიეს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფალსიფიცირებულ თაფლს იოდით გამოააშკარავებთ



ბაზარში თაფლის დახლთან კლიენტი მივიდა. ერთხელ ჩაყო ქილაში თითი, დააგემოვნა, მეორე, მესამედ, მეოთხედ, მეხუთედ... რომ აღარ გაჩერდა, გამყიდველს მოთმინებამ უმტყუნა და უსაყვედურა. კლიენტი განაწყენდა: „რა იყო, შე კაცო, ფუტკრის განავლის ჭამას მიკრძალავო?“. „ფუტკრის რომაა, იმიტომ გიკრძალავ, თორემ ჩემი რამდენიც გინდა, იმდენი ჭამეო“, – მიუგო გამყიდველმა...

ბევრმა არ იცის, რომ თაფლი ფუტკრის „განავალი“ სულაც არ არის, რადგან ამ სასარგებლო მწერს თაფლისთვის ცალკე ადგილი აქვს ორგანიზმში, საკვების ჭამისთვის და გადამუშავებისთვის კი – ცალკე.

მოკლედ, მართლა ძალიან გემრიელია თაფლი და კიდევ უფრო დასაფასებელია მისი სამკურნალო თვისებები. ამდენად ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა ბევრი პროდუქტის ფალსიფიცირებას მიმართავს.

სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ ფალსიფიცირებული თაფლის შეძენით არა მხოლოდ ფულს გადავყრით წყალში, არამედ ჯანმრთელობასაც რისკის ქვეშ დავაყენებთ.

ჰოდა, იმისთვის, რათა ამ უსიამოვნებებს გადაურჩეთ, ექსპერტების რეკომენდაციაა, წყალში გაზავებულ თაფლში ერთი წვეთი იოდი ჩაასხათ. თუკი ქიმიური რეაქციის შედეგად სითხეს მოცისფრო ლაქები გაუჩნდა, ესე იგი პროდუქტი ფალსიფიცირებულია.

*medkarta.com*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანელმა ჩიხუახუას მოდურ ნივთებზე 40 ათას დოლარზე მეტი დახარჯა



ყველაფერს აქვს საზღვარი, გარდა მარაზმისა!..

როცა მსოფლიო მასშტაბით ხალხს შიმშილისგან ჭიპი ხერხემალზე აქვს გაკრული, როგორ ფიქრობთ, რამდენი შეიძლება დაიხარჯოს ჩიხუახუას მოვლაში. მაქსიმუმ საკვებითა და ყელსაბმელით უზრუნველყოთ, ხომ?

აი, ბრიტანელი ჯოზეფინა კარტერი ასე არ ფიქრობს და ძაღლს უფრო მეტ თანხას ახარჯავს, ვიდრე საკუთარ თავს. სულ ახლახან ჩიხუახუას კოსმეტიკურ პროცედურებში 42 ათასი დოლარი გადაიხადა.

ძაღლი 2013 წელს აიყვანა და მას შემდეგ საკუთარ თავს აღარ ეკუთვნის. მისთვის სამოსს, ჩანთებს, აქსესუარებს ყიდულობს. დაჰყავს სპა სალონში, მასაჟს უკეთებს და კოსმეტოლოგებს სტუმრობს.

2014 წლის მონაცემებით, აშშ-ს მცხოვრებლებმა შინაური ცხოველების მოვლაზე 58 მილიარდი დოლარი დახარჯეს.

კარგით რა!

*lenat.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შექსპირის თავის ქალა მოიპარეს



ბრიტანელი არქეოლოგების განცხადებით, დრამატურგ უილიამ შექსპირის საფლავიდან თავის ქალა გაქრა. ამის შესახებ ბი-ბი-სი იუწყება.

„ვვარაუდობთ, რომ ვიღაც მოვიდა და მოიპარა შექსპირის თავის ქალა“, – განაცხადა არქეოლოგთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, კევინ კოლზმა დრამატურგის საფლავის სპეციალური რადარით სკანირების შემდეგ.

მისი მოსაზრებით, ეს იმ ადამიანებმა ჩაიდინეს, რომელთაც მისი შესწავლა სურდათ, რათა გაეგოთ, რაში მდგომარეობდა შექსპირის გენიალურობის მიზეზი.

ამასთანავე, არქეოლოგებმა დაადგინეს, რომ შექსპირი სასახლის გარეშე იყო დაკრძალული.

*accent.com.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ზღვა გვაბედნიერებს და აი, რატომ...



იტალიელი მეცნიერები 10 წლის განმავლობაში ჩვენს ემოციებზე ზღვის ზეგავლენას იკვლევდნენ და აღმოჩნდა, რომ ზღვა ჩვენში ბედნიერების ჰორმონის გამოყოფას აძლიერებს.

და მაინც, რა არის ის, რაც მაგნიტივით გვიზიდავს ზღვაში?

– ცისფერი სიმშვიდის შეგრძნებას ბადებს.
– სანაპიროზე დიდი ხნით ყოფნა ქვეცნობიერის განტვირთვას იწვევს
– წყალი გადაღლილ ტვინს აფხიზლებს
– ზღვასთან შეხება სიამოვნების გრძნობას ბადებს.

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანელმა გოგონამ ჭკუით აინშტაინს აჯობა



ბრიტანელმა ლორენ მარაბემ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში გამორჩეული იყო, მაინც ძალიან გააოცა თავისი პედაგოგები:

აღმოჩნდა, რომ მისი ინტელექტის კოეფიციენტი **IQ** იმდენად მაღალია, რომ ბევრ ცნობილ მეცნიერს აჯობა. ლორენს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. ჯერჯერობით კი მან ერთი წლით ადრე სკოლის გამოსაშვები გამოცდები რამდენიმე საგანში ბრწყინვალედ ჩააბარა. ლორენს სურს, დაანგრიოს მითი ქერათმიანთა შეურაცხმყოფელ სტერეოტიპზე – წარჩინებით დაამთავროს სკოლა და არქიტექტურა კემბრიჯის უნივერსიტეტში შეისწავლოს. გოგონა მარტო მეცნიერებებით არ არის გატაცებული, მას შესანიშნავი ვოკალური მონაცემები აქვს და კარგად უკრავს ფორტეპიანოზე.

ტაქსისტისა და უესტ-ენდის მომღერლის შვილი საერთაშორისო გენიოსების საზოგადოება **Mensa**-ს სიის კიდევ ერთი წევრია, მისი **IQ 161**-ის ტოლია.

*daijesti.pia.ge*

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მწვადის შესაწვავი ღუმელი
2. კომპოზიტორი ... პაულსი
3. ღია საზაფხულო კაბა
4. მზის საათი მოედანზე
5. დიდი სალექციო ოთახი
6. სოფი ლორენი ფილმში
7. შემქცნარი ყურძნის მტევანი
8. სახელმწიფო აფრიკაში
9. გოგი ქავთარაძე ფილმში
10. სახელმწიფო აფრიკაში
11. ცხვრის ქონი
12. გასასვლელი მდინარეზე
13. სამეფო სპარსეთის ყურეში
14. გემის მოძრავი კიბე
15. ძველებური ფირსაკრავი
16. გალეწილი ხორბლის ღერები
17. კუნძული ატლანტის ოკეანეში
18. „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი
19. მცენარე, მისი ფესვების ნახარშში კვერცხებს ღებავენ
20. 1000კგ
21. მიმართულება მხატვრობაში
22. ძველი ნახატის აღდგენა
23. რეჟისორი მარტინ ...
23ა. წამლებით გამოწვ. მოჩვენება
24. თანამედროვე გიგანტ. ხვლიკი
25. მეტის მეტად ღრმა ხევი
26. უეცარი შიში
27. დიდი საჯარისო შენაერთი
28. ღორის ბალანი
29. მსახიობი ... ჰეპბერნი
30. თურქეთის დედაქალაქი
31. პროვინცია ესპანეთში
32. მომღერალი სოფია ...
33. ხილი
34. ტარზანის როლში ჯონი ...
35. მეკარე ... იაშინი
36. მიწა, გრუნტი
37. მომღერალი პერი ...
38. სტადიონი რიოში
39. მამაკაცი ძიძა
40. ქართ. ხალხური ზღაპარი
41. სამშენებლო მასალა
42. ჩარხი
43. მსახ. ... ლი ჯონსი
44. დაღესტნური სოფელი
45. ზღვის ცხოველი ხვეტიანი ცხვირით
46. კურორტი ზუგდიდის რაიონში
47. სამაგიდო თამაში
48. სირიის დედაქალაქი
49. მხატვარი ედგარ ...
50. რეპტილია
51. შენობა. ჭრიან ფულს
52. ნორმიდან გადახრა
53. მომღერალი რამიშვილი
54. მხ/ფ „... კონფიდენციალურობა“
55. ვერცხლის ათცენტიანი
56. იტალიური ღვეზელი
57. რადიოლოკატორი
58. მუსიკოსი ... გილელსი
59. ჰიტი: „კეკელა და ...“
60. ქალის შიდა სამოსი
61. რა ქვეითდება შიდსის დროს
62. თოვლის ბაბუა სანტა-...
63. კრების ჩანაწერი
64. აქლემების მწკრივი უდაბნოში
65. შიშველი სხეულის მხატვრობაში
66. ერთკუზიანი აქლემი
67. მთათა სისტემა ამერიკ. კონტინენტ.
68. ესპანეთის დედაქალაქი
69. სოფელი ბორჯომის რაიონში
70. თინეიჯერი, ანუ ...
71. დედოფალი ძველ ეგვიპტეში
72. სოფელი გულრიფშის რაიონში
73. არბიტრი
74. ხის საჭრელი ბენზოხერხი
75. გარდაცვლილ. გამოსამშვიდობ. სიტყვა
76. დათვის ნაშიერი
77. მთავარი ღმერთი ოლიმპოზე
78. „გრაფი ... კრისტო“
79. მოგზაური ... პოლო
80. რეჟისორი ... დე ბონტი
81. ვაზის ჯიში
82. ნივთიერების უმცირესი ნაწილი
83. საყურე ნაწიბში
84. მარსი, ვენერა, მერკური
85. მომღერალი ... პიაფი
86. გემების სარემონტო ადგილი
87. ... შრომა, მერე ხტომა
88. ავსტრალიის ბინადარი ცხოველი
89. ბეკარი, ბემოლი, ...
90. საზოგადოების ნაღები ფენა
91. რეჟისორი ... კავალეროვიჩი
92. ბოსტნეული
93. ინგლისური ლუდი
94. შორ მანძილზე მორბენალი
95. ადამიანის ფეხის ნაწილი
96. მტაცებელი ფრინველი
97. ქვის ლობე
98. ზღვის ძუძუმწოვარი
99. საღეჭი რეზინი
100. მოხარშული ზეთი
101. ერთგვარი ბორანი
102. ტაილანდის ძველი სახელწ.
103. მწვავე ტონზილიტი
104. ფრანგის მეასედი
105. სახედარი
106. კატაბალახა, ანუ ...
107. გოლიათი ქართ. ზღაპრებში
108. რგოლებიანი პლანეტა
109. ლეგენდარ. ბასკი მეკარე
110. ავაზაკი
111. ბუდისტი მასწავლებელი
112. წყალქვეშა კლდე
113. სასიმინდე
114. კენიის დედაქალაქი
115. ტყის ფრინველი
116. მოდელი ... კროუფორდი
117. ბოსტნეული
118. ფულის ერთეული ვენესუელაში
119. იგავი
120. საქმელი ბავშვის ენაზე
121. მსახიობი ... აფლეკი
122. რკინის ჭედადი შენადნობი. დამატებული აქვს ნახშირბადი
123. ამერიკელი მომღერალი ქალი
124. ინდუისტური ღვთაება
125. საყანედ გაჩეხილი ტყე
126. ფიცი მწამს, ... მაკვირვებს
127. მსახიობი ... ასანტე
128. მფრინავი
129. სამკაციანი ანსამბლი
130. ნოტ დოს ძველი სახელწ.
131. შენობა სვანეთში
132. მწერალი ... კიზი
133. ბრედ პიტი ფილმში
134. მწერალი ... ჭავჭავაძე
135. მხ/ფ თავადის ქალი ...
136. ნაგებობა მდინარეზე
137. ვირის საპირისპირო ბრძანება
138. დიზაინერი ...-სენ ლორანი
139. კონტინენტი

პასუხები: 1. მაყალი; 2. რაიმონდ; 3. სარაფანი; 4. გნომონი; 5. აუდიტორია; 6. „ჩოჩარა“; 7. ჩამიჩი; 8. მავრიტანია; 9. „ჩარი-რამა“; 10. რუანდა; 11. დუმა; 12. ფონი; 13. ბაჰრეინი; 14. ტრაპი; 15. გრამოფონი; 16. ნამჯა; 17. გრენლანდია; 18. ჰომეროსი; 19. ენდრო; 20. ტონა; 21. სიურრეალიზმი; 22. რესტავრაცია; 23. სკორსეზე; 23ა. ჰალუცინაცია; 24. ვარანი; 25. უფსკრული; 26. ელდა; 27. არმია; 28. ჯაგარი; 29. ოდრი; 30. ანკარა; 31. მალაგა; 32. როტარუ; 33. გარგარი; 34. ვაისმიულერი; 35. ლევ; 36. ნიადაგი; 37. კომო; 38. მარაკანა; 39. ლალა; 40. „ასფურცელა“; 41. ებონიტი; 42. ჯარა; 43. ტომი; 44. აული; 45. ნარვალი; 46. ანაკლია; 47. ნარდი; 48. დამასკო; 49. დეგა; 50. კუ; 51. ზარაფხანა; 52. ანომალია; 53. ოთარ; 54. მის; 55. დაიმი; 56. პიცა; 57. რადარი; 58. ემილ; 59. მარო; 60. ლიფი; 61. იმუნიტეტი; 62. კლაუსი; 63. ოქმი; 64. ქარავანი; 65. ნიუ; 66. დრომადერი; 67. კორდილიერები; 68. მადრიდი; 69. ცემი; 70. ნინველი; 71. ნეფერტიტი; 72. დრანდა; 73. მსაჯი; 74. „დრუჟბა“; 75. ნეკროლოგი; 76. ბელი; 77. ზევსი; 78. მონტე; 79. მარკო; 80. იან; 81. საფერავი; 82. ატომი; 83. პირსინგი; 84. პლანეტა; 85. ედიტ; 86. დოკი; 87. ჯერ; 88. ინვენისკარტა; 89. დიეზი; 90. ელიტა; 91. ეჟი; 92. ნიორი; 93. ელი; 94. სტაიერი; 95. წვივი; 96. არწივი; 97. ყორე; 98. ლამანტინი; 99. „დიროლი“; 100. ოლიფა; 101. როროა; 102. სიამი; 103. ანგინა; 104. სანტიმი; 105. ვირი; 106. ვალერიანა; 107. დევი; 108. სატურნი; 109. ირიბარი; 110. ბანდიტი; 111. გურუ; 112. რიფი; 113. ნალია; 114. ნაირობი; 115. შოშია; 116. სინდი; 117. ჭარხალი; 118. ბოლივარი; 119. არაკი; 120. ფია; 121. ბენ; 122. ფოლადი; 123. ენია; 124. კრიშნა; 125. ახო; 126. ბოლო; 127. არმან; 128. პილოტი; 129. ტრიო; 130. უტ; 131. კოშკი; 132. კენ; 133. ტროა; 134. ილია; 135. მაია; 136. ხიდი; 137. მაინა; 138. ივ; 139. აზია. იკითხება: ყოჩივარდა.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## რა კავშირია კოსმეტიკასა და ბავშვების დაბადებაში?



ექსპერტები პანიკაში არიან: ჩვეულებრ კოსმეტიკას ქალებში... უნაყოფობის გამოწვევა შეუძლია! აღმოჩნდა, რომ მათ შემადგენლობაში ისეთი ნივთიერებები შედის, რომელთაც ბავშვის გაჩენის მხრივ უამრავი პრობლემის გამოწვევა შეუძლიათ.

სპეციალისტების თქმით, ქალებისთვის საყვარელ ნებისმიერ პომადაში შედის ისეთი ნივთიერებები, როგორებიცაა ტრიკლოზანი, ტყვია, მეტაკრილატები და სხვა ტოქსიკური ლითონები.

ამ ნივთიერებების ორგანიზმზე ზემოქმედება ბადებს არა მხოლოდ მოწამვლის საფრთხეს, არამედ ზრდის მამაკაცური ჰორმონების დონეს და ციკლის დარღვევის ალბათობას, რაც უშვილობით სრულდება.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სპეციალისტები მწარმოებლებს სთხოვენ, გაცილებით დიდი ყურადღება მიაქციონ უამრავ პრობლემას, ხოლო მშვენიერ სქესს მოუწოდებენ, უფრო მეტად იზრუნონ საკუთარ ჯანმრთელობაზე.

*myjane.ru*

## ღამის ცხოვრების სიყვარული ტვინს ანადგურებს



ახალგაზრდების არცთუ მცირე ნაწილი ღამის ცხოვრების ტრფიალია და გართობასა და დროს ტარებას ისე ეძლევა, არც კი ფიქრობს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ არჩევანს. გარდა ამისა, არსებობს არაერთი პროფესია, რომლის გამოც ღამის თენება, უბრალოდ, იძულებითი ნაბიჯია.

იმისთვის, რათა მედიკოსებს ღამის ცხოვრებისგან ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის მასშტაბები დაედგინათ, შემდეგი ექსპერიმენტი ჩაატარეს: რამდენიმე ათეული მოხალისიდან გარკვეული ნაწილი დროს ღამის კლუბებში ატარებდა, დანარჩენები კი, პროფესიიდან გამომდინარე, ღამის საათებში მუშაობდნენ.

ჰოდა, დადგინდა, რომ ორივე კატეგორიის შემთხვევაში თავის ტვინის მუშაობის რიტმი და შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იყო დარღვეული. კერძოდ, ტესტის შევსებისას „ღამურებმა" გაცილებით უარესი შედეგი აჩვენეს, ვიდრე ადამიანებმა, რომლებიც ღამეს, ჩვეულებრივ, გამოძინებისთვის იყენებენ.

– ღამის გათენება პირდაპირ ვნებს ტვინის ფუნქციებს. განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანია მუდმივი ღამის თევები, რასაც შესაძლოა, ქრონიკული დაავადებების განვითარებაც კი მოჰყვეს, – განმარტავენ კვლევის ავტორები.

*goroskop.ru*

## ინტერნეტ-აუქციონზე... ნამუსი იყიდება



ჩვენთან არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მგონი, ბევრს არ აწყენდა ასეთი „ლოტის" შეძენა, მაგრამ აბა, ვინ აღიარებს ხმამაღლა, „ნამუსი მინდა ვიყიდოო?"...

მართლაც უჩვეულო ლოტის პატრონი უკრაინელი მამაკაცია, რომლის ვინაობაც უცნობია. იგი ნამუსს ყიდის და „საქონელს" ასე ახასიათებს:

– საკმაოდ გაცვეთილი, თუმცა მუშაობისთვის ჯერ კიდევ ვარგისი...

გარდა ამისა, იგი ამბობს, რომ აუქციონზე საკუთარს კი არა, სხვის ნამუსს ყიდის, თავისი კი ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს:

– ორი ნამუსი ერთად, ძალიან რთული მისახედია, ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან, – ასეთია მორიგი განმარტება.

სხვათა შორის, სურვილის შემთხვევაში, „სხვისი ნამუსი" არც ისე იაფი ჯდება – ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე იგი 100 ათასი უკრაინული გრივნა ღირს, რაც შეეხება საწყის ფასს, აქ უფრო ადვილადაა საქმე, რადგან ლოტი, სულ რაღაც, 1 გრივნადაა შეფასებული.

ამ დროისთვის, ნამუსის შესაძენად ვიღაც-ვიღაცები უკვე მზად არიან 105 გრივნა გადაიხადონ, თუმცა აუქციონი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და შესაძლოა, ფასმა კიდევ მოიმატოს.

*top.rbc.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**25 მარტი:** შეეცადეთ, ძველი შეცდომების გამოსწორება დაიწყოთ. დღეს ამის გაკეთებას უპრობლემოდ შეძლებთ, ხვალიდან კი ძალიან რთული იქნება.

**კურო 22.04-21.05**
**25 მარტი:** დასვენების შესაძლებლობა მოგეცემათ, მაგრამ ესეც კი საგულდაგულოდ უნდა დაგეგმოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ ისიამოვნებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**25 მარტი:** ძალიან დიდი ყურადღება მიაქციეთ, ვის ესაუბრებით და რას ამბობთ. დიდი ალბათობით, შესაძლოა, ისეთი რამ თქვათ, რაც პრობლემებს შეგიქმნით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**25 მარტი:** იმდენად კაშკაშა იქნებით, წარმოუდგენელია, ვერ შეგამჩნიონ. ზოგიერთები თქვენს იგნორირებას მოინდომებენ, მაგრამ არაფერი გამოუვათ.

**ლომი 23.07-22.08**
**25 მარტი:** დღეს თქვენი საქმიანობის შინაარსი ბევრად მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე მოქმედების სქემა. ასე რომ, ყველაფერს საგულდაგულოდ მოეკიდეთ.

**ქალწული 23.08-22.09**
**25 მარტი:** პრობლემების მოგვარებას იმდენად ორიგინალური ხერხებით დაიწყებთ, ბევრს გააოცებთ. ერთადერთი დაბრკოლება, ალბათ, ენერგია იქნება, რომელიც, შეიძლება არ გეყოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**25 მარტი:** შეეცადეთ, დღეს რამე შეცვალოთ, მცირედით მაინც. ასეთ შემთხვევაში მოგეცემათ სტიმული, რომელიც დიდხანს გაგყვებათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**25 მარტი:** იმდენად ადვილად დაძლევთ სიძნელეებს, შესაძლოა, ცხოვრების ხელოვნურად გართულება მოინდომოთ. არ ღირს, უმჯობესია, სხვებს დაეხმაროთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**25 მარტი:** ზედმეტებს ნუ ილაპარაკებთ. შეიძლება ან თქვენი კომერციული საიდუმლო წამოგცდეთ, ან ისეთი რამ თქვათ, რაც შეიძლება თქვენს წინააღმდეგ გამოიყენონ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**25 მარტი:** შეიძლება წვრილმანებს იმდენად ჩაუღრმავდეთ, რომ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ვერ შეამჩნიოთ. ასე რომ, დიდი ყურადღება გმართებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**25 მარტი:** თქვენი სურვილების მიუხედავად, თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყება. მაქსიმალურად ირწმუნეთ საკუთარი შესაძლებლობები და წარმატებას მიაღწევთ.

**თევზები 19.02-20.03**
**25 მარტი:** როგორც ჩანს, დღეს პრიორიტეტების შერჩევაში დიდ დროს დახარჯავთ. ნუ გაიწვალებთ თავს, ფინანსური საკითხებით დაიწყეთ და ყველაფერი ამის შემდეგ გამოჩნდება.

**გაზეთი „ალია" სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**
**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**
**577 74 99 89**
**„ალიას" რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი**
**(15 საათიდან)**

**განცხადება**
შევისყიდი ძველებურ ნივთებს: ხმლებს, ხანჯლებს, ნახშირის სამოვრებს, მედლებს, ორდენებს, ვერცხლეულს, ძველებურ დამუშავებულ ქარვის, მარჯნისა და ფირუზის მძივებს. რუსულ მეფისდროინდელ მონეტებსა და ქაღალდის ფულს 1898 წლამდე, რუსულ წიგნებს 1940 წლამდე სამხედრო, ისტორიულ, კავკასიურ თემატიკებს. ლენინგრადისა და გერმანულ ფაიფურის ფიგურებს, ძველებურ რკინის მასიურ ქანდაკებებს. ძველებურ ავტორიან ნახატებს, ძველებურ ოქროსა და ვერცხლის სამკაულს, ბინაზე მომსახურებით.
**555 125 770; 596 777 773**

## ინდოელი მამაკაცის თირკმლებიდან 17 ათასი კენჭი ამოიღეს



თირკმლებში აღმოჩენილი კენჭები რომ ძვირფასი ქვების რიცხვს მიეკუთვნებოდეს, არ აშენდებოდა დანრაჯ ვადილი? აშენდებოდა და მერე როგორ, რადგან ამ 45 წლის ინდუსს ექიმებმა თირკმლებიდან 17 ათას 200 კენჭი ამოაცალეს.

ინდური მედიის ინფორმაციით, დიდი ხნის მანძილზე დანრაჯ ვადილის ცხოვრება ჯოჯოხეთად იყო ქცეული. გარდა იმისა, რომ მას ტკივილებისგან სული ჰქონდა გამწარებული, მუდმივად შეუძლოდ ყოფნის გამო იძულებული გახდა, სამსახურიდანაც გამოქცეულიყო. საბოლოო ჯამში, ექიმებმა პაციენტს დიაგნოზი დაუსვეს და ოპერაციაც წარმატებით ჩატარდა.

საინტერესოა, რომ, ამ მხრივ, წინა რეკორდიც ინდოეთში იყო დამყარებული. კერძოდ, რამდენიმე წლის წინათ ქირურგებმა კიდევ ერთ პაციენტს თირკმლებიდან 14 ათას 98 კენჭი ამოაცალეს.

*gazeta.ua*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



პატარა კოტე ბაბუამ ექიმთან მიიყვანა.

– აბა, კოტიკო, რა გაწუხებს, რატომ მოხვედით?

– მე კი არა, ბიძია ექიმო, ეს ამბავი ბაბუს აწუხებს, მისი ჯიბის საათი გადამეყლაპა და მაგიტომ მომიყვანა თქვენთან.

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

გაზეთი „ალია"
გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჟაჟვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.12